

სახელმწიფო დაპატიმრების

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2024, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2024, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2024, №9

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2024, №9

გადაწყვეტილებების შერჩევისა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ქეთევან ჟინგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

1. ჩუქება
გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა 4; 17
2. იჯარა
მეიჯარისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი 27
საიჯარო ქირის საშემოსავლო გადასახადის
გადახდის საკითხი 44
3. ნარდობა
საკუთრების გადაცემა დამზადებულ ნაკეთობაზე 64
შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება 73
ხელშეკრულების მოშლა მენარდის ინიციატივით 88
4. დავალება
გასამრჯელოს გადახდა შესრულებული სამუშაოს კვალობაზე,
მარწმუნებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას 102
5. საბანკო გარანტია
საბანკო გარანტიის თანხის დაკისრების მართლზომიერება 120
ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის ფორმა 134

1. ჩუქება

გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-246-2022

31 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული
ქონების გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. რ. პ-ძემ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „დედა“ ან „მჩუქებელი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. პ-ძის (შემდგომში – „მოპასუხე“, „დასაჩუქრებული“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ზესტაფონი, ..., ს.კ. ... (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონება“ ან „სადავო ქონება“) 2007 წლის 28 აპრილს დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და სადავო უძრავი ქონების მოპასუხისაგან გამოთხოვა.

2. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მოპასუხე არის მოსარჩელის შვილი. იგი ცხოვრობს ბელარუსში;

2.2. მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალების შემდგომ მოპასუხე საქართველოში ჩამოვიდა და აქ დაბრუნების სურვილი გამოთქვა, თუმცა გულისტკივილით აღნიშნა, რომ სადავო ქონების მის სახელზე აღრიცხვის შემთხვევაში, დაბრუნება უფრო გაუადვილდებოდა. მეუღლის გარდაცვალებით დამწუხრებულმა და შვილის დაბრუნების სურვილით გახარებულმა მოსარჩელემ მოპასუხეს უთხრა, რომ სახლი, რომელშიც ცხოვრობდნენ, მისი იქნებოდა, თუკი ის საქართველოში ჩამოვიდოდა და უკვე ხანშიშესულ დედას მოუვლიდა, რაზეც მოპასუხეს უარი არ განუცხადებია. აღნიშნულის შემდგომ მხარეთა შორის გაფორმდა სადავო უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება;

2.3. მოპასუხე წლების მანძილზე ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა საქართველოში და მოსარჩელეს მიდიოდა ზამთარში მასთან სტუმრად, თუმცა იგი 2017 წლის შემდეგ საქართველოში აღარ ჩამოსულა. ადრე

მოსარჩელის ამბავს ტელეფონით მაინც კითხულობდა, ბოლო ხანებში კი ტელეფონსაც აღარ პასუხობს. მას არც დედის, არც მისი დის და დისშვილების ხმის გაგონება არ უნდა;

2.4. მოპასუხემ დიდი უმადურობა გამოიჩინა დედის მიმართ. არ უვლიდა, არ ყიდულობდა საკვებს და მედიკამენტებს, არ დაუქირავებია მისთვის მომვლელი. მოსარჩელე მხოლოდ თავისი პენსიით ირჩენს თავს;

2.5. მოსარჩელეს სხვა ქონება არ გააჩნია, შესაბამისად, ჩუქებით მისი მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, განსხვავებით მოპასუხისგან, რომელსაც ძალიან კარგი მატერიალური მდგომარეობა აქვს;

2.6. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებით მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა არ დამძიმდება. სადავო ქონება ჩუქების შემდგომ მოპასუხეს არ გადასცემია და ეს უკანასკნელი მას არ დაუფლებია.

3. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, მას არასდროს მოუკლია მზრუნველობა დედისთვის არც ფინანსურად და არც ფიზიკურად. მან მხოლოდ რამდენჯერმე ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა. კერძოდ, 2012 წელს, როდესაც მძიმე ოპერაცია გაიკეთა; 2019 წელს, ვინაიდან ჩაიტარა სამედიცინო გამოკვლევა, რა დროსაც ისეთი დიაგნოზი დაუსვეს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში მკურნალობა ესაჭიროებოდა და 2020 წელს პანდემიის გამო. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებით გაუარესდება მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა, ვინაიდან სადავო ქონება საქართველოში მის ერთადერთ საცხოვრებელს წარმოადგენს, რომელსაც იგი დაუფლებულია როგორც ჩუქებამდე, ისე ჩუქების შემდგომ.

4. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მხარეთა შორის 2007 წლის 29 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, აღნიშნული ქონება გამოთხოვილ იქნა მოპასუხისგან და დაუბრუნდა მოსარჩელეს.

5. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გა-

რემოებები:

7.1. სადავო უძრავი ქონება წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებას;

7.2. მოსარჩელემ 2007 წლის 29 ოქტომბერს სადავო უძრავი ქონება აჩუქა მის შვილს, მოპასუხეს, რის საფუძველზეც აღნიშნული უძრავი ქონება იმავე დღეს აღირიცხა მოპასუხის საკუთრებაში;

7.3. მოპასუხემ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბელარუსში, სწავლის დასრულების შემდეგ იქ დარჩა საცხოვრებლად და დაიწყო მუშაობა. ამჟამად მის ძირითად საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ბელარუსი, ქალაქი მინსკი;

7.4. მოსარჩელე არის 81 წლის, პენსიონერი და თავის რჩენა არ შეუძლია. ამასთან, შრომის უნარის დაქვეითების გამო დამოუკიდებლად ვერ იქმნის საყოფაცხოვრებო პირობებს. 2018 წლიდან აქვს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები და საჭიროებს მუდმივ მკურნალობას, ასევე, საჭიროებს მოვლას, როგორც მატერიალურ, ისე ფიზიკურ მხარდაჭერას და არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი, გარდა სადავო უძრავი ქონებისა;

7.5. მხარეებს 2007 წლიდან 2018 წლამდე ჰქონდათ ნორმალური ურთიერთობა, კერძოდ, მოპასუხე ზაფხულობით ჩამოდიოდა საქართველოში, ზამთრის პერიოდში კი დედა მიჰყავდა თავისთან – უზრუნველყოფდა დედის მინსკში მგზავრობის ხარჯებს, აძლევდა გარკვეულ თანხას, ჰქონდა სატელეფონო კავშირი. 2018 წლის ზაფხულის შემდეგ მოპასუხე საქართველოში აღარ ჩამოსულა. იმავე პერიოდიდან მას აღარ აქვს კონტაქტი დედასთან, აღარ გამოუგზავნია მისთვის ფულადი თანხა, საკვები ან/და სხვა საჭირო ნივთები. ბოლო სატელეფონო კავშირი მოსარჩელემ მოპასუხესთან განახორციელა 2020 წლის ივლისის ბოლოს, რა დროსაც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მასთან საუბარზე და კომუნიკაციაზე.

8. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება, რომ მიუხედავად დედის ასაკისა (81 წლის) და ჯანმრთელობის მდგომარეობისა, მოპასუხე არც ფინანსურად და არც ფიზიკურად ზრუნავს მასზე, არ ეხმარება და არ უვლის მას, არ აქცევს ყურადღებას და მასთან სატელეფონო კომუნიკაციაზეც კი უარს აცხადებს. მოპასუხეს არ წარუდგენია ამ გარემოების გამაბათილებელი სათანადო მტკიცებულებები.

9. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილით, 1218-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ ქართულ საზოგადოებაში არსებული წესჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მოპასუხის ზემოაღნიშნული მოქმედებები დედის მიმართ, რომელმაც

მთელი თავისი ქონება შეიღოს აჩუქა, დიდი უმადურობის გამოხატვად უნდა ჩაითვალოს.

10. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

11. სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოპასუხის შედეგება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ, მართალია, მოპასუხე საქართველოში 2018 წლიდან აღარ ჩამოსულა და ამ პერიოდიდან აღარ ზრუნავს დედაზე, თუმცა საბოლოოდ მან 2020 წელს განწყვიტა მასთან ყოველგვარი კავშირი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან 2020 წლის ივლისში დედასთან სატელეფონო საუბარზეც უარი განაცხადა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ ეს გარემოება წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებულ დიდ უმადურობას, რაც მოსარჩელეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებას ანიჭებდა.

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადის ათვლა 2020 წლის ივლისის ბოლოდან უნდა დაიწყოს (სსკ-ის 529.3. მუხლი). შესაბამისად, ვინაიდან სარჩელი აღძრულია 2020 წლის 10 აგვისტოს, ხანდაზმულობის ვადის დაცვით, არ არსებობს ამ მოტივით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

13. მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

14. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

14.1. სასამართლო სხდომაზე მოწმედ დაკითხულმა მ. ც-ძემ (მოსარჩელის და) დაადასტურა, რომ მოპასუხე არამარტო 2007 წლიდან, არამედ მანამდეც ზრუნავდა თავის მშობლებზე და ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ჰყავდა მშობლები. მამის გარდაცვალების შემდეგ ზამთრობით დედა თავისთან, ქ. მინსკში მიჰყავდა. მოსარჩელე ბოლოს მოპასუხესთან 2018 წლის ზამთარში იმყოფებოდა. მოწმეც მასთან ერთად იყო ქ. მინსკში. მოსარჩელე ძალიან კმაყოფილი იყო თავისი შვილით და ხშირად უთქვამს მოწმესთვის, რომ „მოპასუხე მას დედოფალივით აცხოვრებს“;

14.2. 2018 წლის ზაფხულში მოპასუხეც ჩამოვიდა საქართველოში, 2019 წლიდან კი მას თვითონ შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები. აქვს ხორხის სიმსივნე და უჭირს სუნთქვა. ამასთან, 2020 წლიდან პან-

დემია დაემთხვა და ამიტომ ველარ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა;

14.3. მოპასუხეს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი დედასთან, არ შეუწყვეტია მასზე ზრუნვა. 2019-2020 წლებში მისი საქართველოში ჩამოსვლელობა მძიმე ავადმყოფობამ და სხვა ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა. სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ არაერთხელ განაცხადა, რომ დედას ხშირად სთავაზობდა საქართველოში მისი არყოფნის პერიოდში მომვლელის აყვანას, რის ხარჯებსაც თავად ანაზღაურებდა, თუმცა მოსარჩელე მოქცეულია მისი შვილიშვილის – ლ. ჭ-ძის გავლენის ქვეშ, რომლის მიზანსაც მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის საკუთარ სახელზე გადაფორმება წარმოადგენს, რასაც ამ უკანასკნელის ჩვენებაც ადასტურებს;

14.4. სასამართლომ ზნეობრივად გამართლებულად ჩათვალა დედის სურვილი ავადმყოფ შვილს ერთადერთი საცხოვრებელი სახლი წაართვას და შვილიშვილს გადაუფორმოს. მოპასუხეს არასდროს მიუღია მშობლიური სახლის გასხვისების გადაწყვეტილება, არ დაუტვირთავს ის იპოთეკით და არც მისი დისშვილის გამოსახლება უცდია იქიდან;

14.5. მოსარჩელე ზესტაფონის ავტოსადგურში მუშაობდა მოლარედ და მოპასუხეს შესთავაზა ბიზნესში ფულის ჩადება, რაც განხორციელდა მოპასუხის მიერ გამოგზავნილი თანხით. წლების განმავლობაში დივიდენდებს მოსარჩელე იღებდა. მას 2018 წელს დივიდენდის სახით მიღებული აქვს 10 000 აშშ დოლარი, რაც ადასტურებს, რომ იგი ფინანსურად უზრუნველყოფილი იყო. შესაბამისად, მისი განცხადება, რომ არ ჰქონდა წამლისა და საკვების შესაძენად საკმარისი თანხა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია;

14.6. სასამართლომ ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე მიუთითა დიდ უმადურობაზე. ამასთან, მართებულად არ შეაფასა ხანდაზმულობის საკითხი. სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებული ერთნაირი ვადის ათვლა უნდა მოხდეს 2018 წლიდან და არა 2020 წლიდან;

14.7. მოსარჩელე როდესაც მიხვდა, რომ სარჩელში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, მისი მოთხოვნა ხანდაზმული იყო, განაცხადა, თითქოს 2020 წლის ივლისში მოპასუხემ არ უპასუხა მოსარჩელის სატელეფონო ზარს. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ ყოფილა საქმეში წარდგენილი. სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის უსაფუძვლო განმარტებას და ყოველგვარი შეფასების გარეშე ეს გარემოება დიდ უმადურობად, ნეს-ჩვეულებებისა და ზნეობის ნორმების დარღვევად ჩათვალა.

15. მოპასუხემ, ასევე, მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 16 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც მას უარი ეთქვა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წარდგენილი მტკიცებულების საქმეზე

დართვაზე.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 07 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

18. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ჰქონდა თუ არა ადგილი დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ იმგვარი ქმედების განხორციელებას, რაც შესაძლოა ამ უკანასკნელის მიმართ გამოსატულ დიდ უმადურობად შეფასდეს.

19. კასატორი დავობს, რომ სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები. მისი განმარტებით, მას არასდროს მოუკლია დედისთვის მზრუნველობა, ხოლო ბოლო წლებში საქართველოში ჩამოუსვლელობა მისი ავადმყოფობითა და პანდემიით იყო განპირობებული.

20. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისა და სადავო ქონების მოპასუხისაგან გამოთხოვის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე [ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ; თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ; ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს] და 530-ე [თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში; გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში] მუხლები.

21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი გამჩუქებელს უფლებას ანიჭებს მოითხოვოს ჩუქების გაუქმება, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. კერძოდ, ჩუქების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს გამჩუქებელს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მის მიმართ. ნაჩუქრობა, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობა, გარკვეულწილად ავალდებულებს დასაჩუქრებულს. ეს ვალდებულება ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკრეტული პირობის სახით კი არაა მოცემული, არამედ ზნეობრივ-სამართლებრივი ვალდებულების სახით არსებობს. ეს ვალდებულება მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენისაგან თავის შეკავებაში მდგომარეობს და ვადით შეზღუდული არაა. ჩუქების გაუქმებით ამ შემთხვევაში სასამართლო ასრულებს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას (იხ. სუსგ საქმე №ას-582-2021, 14 ივლისი, 2021 წელი).

22. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა ნაჩუქრობის შინაარსის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მჩუქებლის უფლება უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათით არის განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ზნეობრივ საძირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა (იხ. ბ. ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 29).

23. „სამართალში და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში ყოველთვის აუცილებელია სამართალსა და ზნეობას შორის ფუნდამენტური ურთიერთობის გათვალისწინება. აუცილებელია იმ მსგავსებისა და განსხვავების გათვალისწინება, რომელიც არსებობს სამართლებრივ შეფასებასა და ზნეობრივ შეფასებას, სამართლებრივ ღირებულებასა და ზნეობრივ ღირებულებას შორის“. ნაჩუქრობა არის სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის გამოვლინება. ამიტომაც არის, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ უკავშირდება დასაჩუქრებულის მხრიდან, მართალია, არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებლის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 01 აპრილის №2/155 გადაწყვეტილება).

24. სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს, თუ რას მოიაზრებს უმადურობის ცნება. დიდი უმადურობა და მძიმე შეურაცხყოფა შეფასებითი კატეგორიაა. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შეფასებისას გასათვალისწინებელია როგორც მჩუქებლის მიერ გარემოებების აღ-

ქმა, ე.წ. სუბიექტური თვალსაზრისი, ასევე, მოსამართლის მიერ იმის შეფასება, თუ როგორ აღიქვამდა ამ გარემოებებს იმავე პირობებში მყოფი სხვა ადამიანი.

25. დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მოსარჩელის (მჩუქებლის) განსასაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმადურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს იჩენს თუ არა დასაჩუქრებელი უმადურობას გამჩუქებლის მიმართ, ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, რომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა (იხ. სუსგ საქმე №ას-62-59-2012, 05 ნოემბერი, 2013 წელი; №ას-1235-1176-2014, 24 თებერვალი, 2015 წელი; №ას-157-153-2016, 15 აპრილი, 2016 წელი).

26. კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა ჩუქების გაუქმება გამოწვეულია არა დასაჩუქრებულის უმადურობით, არამედ თვით მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. დასაჩუქრებულის ბრალი ამ დროს გამორიცხულია. მჩუქებელს ხელშეკრულების დადების დროს არავითარი მატერიალური ხასიათის პრობლემა არ აქვს. იგი ნებაყოფლობით გადასცემს სხვა პირს ქონებას საკუთრებაში, თუმცა გაჩუქების შემდეგ თუკი მჩუქებელი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის საფუძველზე, დასაჩუქრებულს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება მოსთხოვოს. იგულისხმება, რომ საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება მჩუქებელს გააჩნია იმ დროის განმავლობაში, ვიდრე გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს დასაჩუქრებულის მფლობელობაში. გარდა აღნიშნულისა, მჩუქებელს ეს უფლება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. გარდა ამისა, გამჩუქებელს უფლება არ აქვს, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს ნაჩუქარი ნივთის დაბრუნება, თუ ასეთი მოთხოვნის საფუძველი მან ხელოვნურად შექმნა, კერძოდ, თუ მძიმე მდგო-

მარეობა, რომელშიც იგი აღმოჩნდა, გამოწვეულია მისი განზრახი მოქმედებით, ან უხეში გაუფრთხილებლობით. მძიმე მდგომარეობის ხარისხი, რამაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეცვალოს ჩუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს (იხ. სუსგ საქმე №ას-1067-1006-2015, 29 დეკემბერი, 2015 წელი; №ას-1333-2019, 27 ნოემბერი, 2019 წელი).

27. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა (სსსკ-ის მე-5 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსსკ-ის მე-4 მუხლი) ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

28. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

29. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე-530-ე მუხლებით განსაზღვრული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების წინაპირობების დადასტურება.

30. წინამდებარე საქმეში მოსარჩელე მხარეთა შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას – დასაჩუქრებულის მხრიდან დიდი უმადურობის გამოჩენისა და ჩუქების შემდგომ მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის საფუძვლებით ითხოვდა. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებებზე და მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით დადგინა, რომ 2018 წლიდან მოპასუხეს აღარ აქვს კონტაქტი დედასთან, იმავე პერიოდიდან მას აღარ გამოუგზავნია მისთვის ფულადი თანხა, საკვები ან/და სხვა საჭირო ნივთები და აღნიშნუ-

ლი გარემოებები მოსარჩელის/დედის მიმართ დიდი უმადურობის გამო-
ხატულებად ჩათვალა, თუმცა სასამართლომ ისე დაადგინა ეს გარემოე-
ბები, რომ არ გამოუკვლევია საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები და
არ დაუსაბუთებია, რომელი მოწმის ჩვენებაზე დაყრდნობით მიიჩნია ალ-
ნიშნული გარემოებები დადგენილად და რის საფუძველზე.

31. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამო-
ქალაქო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არა-
ვითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამარ-
თლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც
უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილ-
ვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელო-
ბის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშ-
ნულიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მო-
ტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფა-
სება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდ-
გენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილ-
ვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. მტკიცებულე-
ბის გამოკვლევა, უპირველესად, გულისხმობს მისი შინაარსის სრულ-
ყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (და-
მაჯერებლობის, სარწმუნოების) შემოწმებას (იხ. სუსგ საქმე №ას-406-
383-2014, 17 აპრილი, 2015 წელი). აქედან გამომდინარე, მოწმის ჩვენე-
ბაც, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, უნდა შეფასდეს ყველა იმ
ობიექტური და სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულებების იუ-
რიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის
დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების
მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გად-
მოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა.

32. ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოცემულ შემთხვევაში სა-
სამართლომ ისე მიიჩნია სარჩელში მითითებული გარემოებები დადგე-
ნილად, რომ სათანადოდ არ გამოუკვლევია საქმეში არსებული მტკი-
ცებულებები, კერძოდ მოწმეთა ჩვენებები. წინამდებარე საქმეში მოწ-
მის სახით დაკითხულ იქნენ: თ. მ-ი, ლ. ჭ-ძე, ლ. ჭ-ძე და მ. ც-ძე, თუმცა
სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს მათი ჩვენე-
ბის შინაარსის ანალიზსა და შეფასებას, ასევე, შესაბამის დასაბუთე-
ბას, რა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორით იხელმძღვანელა სასა-
მართლომ მოწმეთა ჩვენებების მიღებისას და რა კრიტერიუმებით გან-
საზღვრა ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა.
აღნიშნული მტკიცებულების სათანადოდ გამოკვლევის გარეშე კი, შე-
უძლებელია სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩ-
ნევა. შესაბამისად, სახეზეა საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის

ხელახლა დაბრუნების საფუძველი.

33. კასატორი აგრეთვე დავობს, რომ სასამართლომ ხანდაზმულობის საკითხი არასწორად შეაფასა. მისი მტკიცებით, მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა მოხდეს 2018 წლიდან და არა 2020 წლიდან.

34. სამოქალაქო კოდექსი ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნისათვის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას ანესებს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

35. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე დიდ უმადურობას არა მხოლოდ ერთ გარემოებას, არამედ განგრძობად უმოქმედობას უკავშირებდა, რომელიც დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ მზრუნველობის განუხორციელებლობაში გამოიხატებოდა და რომელიც სარჩელის შეტანამდე გრძელდებოდა. შესაბამისად, კასატორის მითითება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე დაუსაბუთებელია, ისევე, როგორც დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადის ათვლა 2020 წლის ივლისის ბოლოდან უნდა დაიწყოს.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია.

37. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველია. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, სათანა-

დოდ უნდა გამოიკვლიოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, მონშეთა ჩვენებები და აღნიშნულის საფუძველზე დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების არსებობა/არარსებობა, რომელთა საფუძველზეც უნდა შეაფასოს არის თუ არა სახეზე იმგვარი გარემოებები, რაც ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, შესაძლოა დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ გამოხატულ დიდ უმადურობად შეფასდეს; ხოლო, აღნიშნული გარემოებების არარსებობის დადგენის შემთხვევაში, ასევე, უნდა გამოიკვლიოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლით გათვალისწინებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების წინაპირობების არსებობა/არარსებობა, ვინაიდან მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა ჩუქების შემდეგ მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის საფუძველსაც ეყრდნობოდა.

38. კასატორი, აგრეთვე, ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 16 დეკემბრის საოქმოდ განჩინების გაუქმებას, რომლითაც მას უარი ეთქვა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წარდგენილი მტკიცებულების საქმეზე დართვაზე.

39. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათი მოთხოვნების დასასაბუთებლად და მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად განერილ პროცედურას, რომლის შესაბამისად, მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლიათ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შესაბამისი წესების დაცვით. საქმის მომზადების დასრულების შემდეგ, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე მხარეები შეზღუდულნი არიან, ახსნა-განმარტებების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო გაცხადებული. იგივე წესი მოქმედებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, სადაც ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების დაშვება მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული საპატიო გარემოებების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი (სსსკ-ის 380-ე მუხლი).

40. ამდენად, მხარეთა მიერ ფაქტების მითითებისა და მტკიცებულებების წარდგენის პროცედურა მკაცრად ფორმალიზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია ფაქტები და მტკიცებულებები სასამართლოს კანონით დადგენილი წესითა და პროცედურის დაცვით წარედგინოს.

41. საქმეზე მტკიცებულებების დართვის ზემოაღნიშნული წესი დაკავშირებულია სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედ შეჯიბრებითობის პრინციპთან (სსკ-ის მე-4 მუხლი) და გულისხმობს იმას, რომ სასამართლო საქმის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს მხოლოდ იმ მტკიცებულებებით, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით დაერთვება საქმეს. სხვა მტკიცებულებები მხედველობაში არ მიიღება, თუნდაც მას საქმის მართებულად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს.

42. განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.12.2021წ. საოქმო განჩინებით აპელანტს უარი ეთქვა საქმეზე მტკიცებულების დათვაზე იმ საფუძველით, რომ მან ვერ მიუთითა საპატიო მიზეზზე, რის გამოც ამ მტკიცებულების წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს ვერ შეძლო. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ აპელანტს მართებულად ეთქვა უარი საქმეზე მტკიცებულების დართვაზე. მოპასუხის მითითება, რომ იგი მკურნალობას აგრძელებდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრული ამონაწერის წარდგენა სურდა, მტკიცებულების წარუდგენლობის საპატიო მიზეზად ვერ მიიჩნევა. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.12.2021წ. საოქმო განჩინება სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძვლები.

43. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

44. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. პ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. მ. პ-ძის მოთხოვნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 16 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განუქმებული ნივთის გამოთხოვა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-638-2023

23 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე**

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფ. ა-ვამ (შემდეგში მოსარჩელე) სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში ტ. ა-ვას (შემდეგში მოპასუხე, კასატორი) მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2019 წლის 14 თებერვალს უძრავ ქონებაზე, მდებარე, გარდაბნის რაიონი, სოფელი ... (ს/კ ...) დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და უძრავი ნივთის ფ. ა-ვას საკუთრებაში დაბრუნება.

1.1. მოპასუხემ წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ფ. ა-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. ტ. ა-ვასა და ფ. ა-ვას შორის 2019 წლის 14 თებერვალს დაიდო

ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე უძრავი ქონების, მდებარე: გარდაბნის რაიონი სოფელი ... (კოდი ...), მესაკუთრედ რეგისტრირებულია ფ. ა-ვა;

3.2. ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ ფ. ა-ვას მატერიალური მდგომარეობა გაუარესებული არ არის.

4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ფ. ა-ვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ფ. ა-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ტ. ა-ვასა და ფ. ა-ვას შორის 2019 წლის 14 თებერვალს დადებული უძრავი ქონების, მდებარე: გარდაბნის რაიონი, სოფელი ... (ს/კ...) ჩუქების ხელშეკრულება და აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხა ფ. ა-ვას სახელზე საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება:

6.1. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აპელანტს პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არ გააჩნია.

6.2. პალატის მითითებით, მხარეთა შორის სადავოდ არ გამხდარა ის ფაქტი, რომ უძრავი ქონების გაჩუქების შემდგომ მოსარჩელის საკუთრებაში უძრავი ქონება აღარ ირიცხება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება:

6.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პენსიის გარდა სხვა შემოსავლის არქონა, ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელის სახელზე უძრავი ქონება არ ირიცხება, ადასტურებს სადავო ნივთის გაჩუქების შემდეგ აპელანტის ეკონომიური მდგომარეობის არსებითად გაუარესებას, გაჩუქებამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

6.4. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის ახსნა-განმარტება, რომ ის ძირითადად დაკავებული იყო სოფლის საოჯახო მეურნეობით და მხარეებს შორის დავის წარმოშობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დასაჩუქრებულმა მოსარჩელეს აუკრძალა მიწის დამუშავება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა. მიწის ნაკვეთით სარგებლობის აკრძალვამ კი მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გა-

აუარესა.

6.5. პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ არსებობდა აღნიშნული მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული წინაპირობები, შესაბამისად, არსებობდა მხარეთა შორის 2019 წლის 14 თებერვალს გაფორმებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქონების უკან დაბრუნების საფუძველი.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 03 ივლისის განჩინებით სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2024 წლის 15 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

9. საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9.1. კასატორის მითითებით, სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და რიგი გარემოებების იგნორირებით მიიჩნია, რომ აპელანტის ეკონომიური მდგომარეობა არსებითად გაუარესდა. სადავო მინის ნაკვეთით სარგებლობის შეზღუდვა მიუთითებს არა მოსარჩელის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე, არამედ ფაქტზე, რომ მას შემოსავალი შეუმცირდა.

9.2. მოსარჩელემ ვერ შეძლო მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოების, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნის დადასტურება, რაც გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას

ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

12. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განმხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი (მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა). მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოანმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამონმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წინამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წინამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

13. „სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, ამ შემთხვევაში მთავარია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის შემთხვევაშიც ან არასწორად მითითების დროსაც კი, მოწინააღმდეგის პოზიციისა და საქმეზე მტკიცებულება-

თა ერთობლიობით გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული შეფასების საგანია (იხ. სუსგ. №ას-493-473-2016, 14.12.2016წ.).

14. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის გაუქმების საფუძველად მოსარჩელე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ი) 526-ე მუხლზე მიუთითებს (პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომ მხოლოდ სსკ-ის 526-ე მუხლი არ შეიძლება იყოს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რადგან დასახელებული ნორმა ჩუქების დაუშვებლობის წინაპირობას ადგენს და საარსებო წყაროს მოსპობის საფრთხის კონტექსტში, როგორც მჩუქებელს, ისე, მის კმაყოფაზე არსებულ პირებს უდგენს მოთხოვნის წარდგენის კანონით გათვალისწინებულ წანამდღვარს. მოცემულ საქმეში მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ჩუქების შემდეგ გამჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ქმნის სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის (თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში) საფუძველზე მოთხოვნის საფუძვლიანობის კვლევის წინაპირობას.

15. მითითებული მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ჩუქების გაუქმება გამოწვეულია მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. დასაჩუქრებულის ბრალი ამ დროს გამორიცხულია. მჩუქებელს ხელშეკრულების დადების დროს არავითარი მატერიალური ხასიათის პრობლემა არ აქვს. იგი ნებაყოფლობით გადასცემს სხვა პირს ქონებას საკუთრებაში, თუმცა გაჩუქების შემდეგ თუკი მჩუქებელი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს, დასაჩუქრებულს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება მოსთხოვოს. იგულისხმება, რომ საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება მჩუქებელს გააჩნია იმ დროის განმავლობაში, ვიდრე გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს დასაჩუქრებულის მფლობელობაში. გარდა აღნიშნულისა, მჩუქებელს ეს უფლება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. გარდა ამისა, გამჩუქებელს უფლება არ აქვს, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს ნაჩუქარი ნივთის დაბრუნება, თუ ასეთი მოთხოვნის საფუძველი მან ხელოვნურად

შექმნა, კერძოდ, თუ მიიმე მდგომარეობა, რომელშიც იგი აღმოჩნდა, გამოწვეულია მისი განზრახი მოქმედებით, ან უხეში გაუფრთხილებლობით. მიიმე მდგომარეობის ხარისხი, რამაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეცვალოს ჩუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს (იხ. სუსგ საქმე №ას-1067-1006-2015, 29 დეკემბერი, 2015 წელი; №ას-1333-2019, 27 ნოემბერი, 2019 წელი).

16. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

17. პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

18. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრვენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შე-

საძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

19. მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

20. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყევტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას.

21. მოსარჩელის ძირითადი პრეტენზია, როგორც უკვე აღინიშნა, შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მას შეეზღუდა ჩუქების ხელშეკრულების საგნით სარგებლობა და გაუარესდა მისი მდგომარეობა. მოსარჩელე აგრეთვე მიუთითებდა, რომ მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ დარჩა პენსია.

22. საკასაციო სასამართლო, არ იზიარებს მოსარჩელის მითითებას, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებით, ის იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლებია სახეზე. პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ბუნებრივია, ჩუქების ხელშეკრულების არსიდან და პირობებიდან გამომდინარე, გაჩუქებული ქონება გადის გამჩუქებლის საკუთრებიდან და გადადის დასაჩუქრებულის საკუთრებაში, რითაც გამჩუქებლის ქონებრივი მდგომარეობა მცირდება და დასაჩუქრებულისა იზრდება, სწორედ აღნიშნული გარემოებაა ჩუქების ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური ნაწილი, ვინაიდან, ჩუქების ხელშეკრულება არ არის ორ-

მხრივმავალდებულებელი გარიგება და დაფუძნებულია არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ზნეობრივ დამოკიდებულებებზეც. პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების დადების დროს მოსარჩელეს სხვა უძრავი ქონებაც გააჩნდა, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან 1 თვის შემდეგ სრულად გაასხვისა შვილიშვილზე. რაც შეეხება მისი შემოსავლის წყაროდ მხოლოდ პენსიაზე მითითებას, ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებამდეც იყო პენსიონერი და ამასთან, იგი არასდროს ყოფილა დასაქმებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო გაჩუქების შემდგომი შედეგების შესახებ, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ საქმეში სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაასხვისა სხვა უძრავი ქონება. ნიშანდობლივია ასევე ის, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მოსავლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი წარმოადგენდეს მოსარჩელის და მისი ოჯახის წევრების ერთადერთ საარსებო წყაროს და მისი მოსპობით მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. მოსარჩელის ინიციატივით დაკითხული მოწმეების ჩვენებებიდან არ დგინდება, რომ მოსარჩელეს სჭირდება დახმარება. მის კმაყოფაზე მყოფი პირების შესახებ მოსარჩელეს არ მიუთითებია, ხოლო მოწმეთა ჩვენებები ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელე ცხოვრობს შვილიშვილებთან ერთად, მისი შვილი გ. ა-ა სისტემატიურად მუშაობს თურქეთში, საიდანაც ფინანსურად ეხმარება ოჯახს.

23. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსკ-ის 530-ე მუხლის მე-2 ნაწილზეც, რომლის თანახმად, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში. პალატის მოსაზრებით, მართალია, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის სსკ-ის 530-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით მძიმე მდგომარეობაში ყოფნის ფაქტი, თუმცა, მოსარჩელის მიერ აღნიშნული გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც, განსახილველი სარჩელის საფუძვლიანობას გამოორიცხავს ის გარემოება, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მოსარჩელემ მის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ნივთიც გაასხვისა, რაც შეიძლება მისი მხრიდან განზრახ ან უხეშ გაუფრთხილებლობად ჩაითვალოს.

24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მისი ფინანსური მდგომარეობის იმდენად შეცვლა, რომ იგი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში და არ შე-

უძლია როგორც მისი, ასევე მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. შესაბამისად, მოსარჩელემ მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში ვერ შეძლო სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით დადგენილი იმ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ელემენტის დადასტურება, რაც მისი მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოშობდა.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

26. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიება, ხოლო, სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა, უნდა გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ტ. ა-ვას აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე გარდაბნის რაიონი, სოფ. ... (ს/კ ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით მოპასუხის მიერ გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, გადახდება მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ,

მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც მოპასუხის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია საკასაციო ინსტანციის სასამართლოში და, ამასთან, მისი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს, მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1500 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ტ. ა-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ფ. ა-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ტ. ა-ვას აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე გარდაბნის რაიონი, სოფ. ... (ს/კ ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.
5. ფ. ა-ვას (...) ტ. ა-ვას (...) სასარგებლოდ დაეკისროს 1500 ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. იჯარა

მეიჯარისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი

№ას-167-167-2018

21 იანვარი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ბ. ს-ისა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „მოიჯარე“ ან „პირველი კასატორი“) და შპს „ა.ჯ.დ.ჯ-იას“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „მეიჯარე“ ან „მეორე კასატორი“) შორის 2015 წლის 15 აგვისტოს დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ს.კ. ..., 300 კვ.მ კომერციული ფართი, ყოველთვიური საფასურის გადახდის სანაცვლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მოსარჩელეს. ხელშეკრულების 1.4 პუნქტით განისაზღვრა, რომ მოიჯარე აღნიშნულ ფართს გამოიყენებდა კომერციული დანიშნულებით. იჯარის ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 15 აგვისტოდან 2016 წლის 16 ივლისამდე.

2. იჯარის ხელშეკრულებით ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა – 1 კვ.მ-ზე 20 აშშ დოლარის ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, ხოლო მომსახურების ყოველთვიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე 2 აშშ დოლარის ეკვივალენტით. ხელშეკრულებით განისაზღვრა მოიჯარის მიერ პირველი და ბოლო თვის საიჯარო ქირის წინასწარ გადახდის ვალდებულება, რაც მის მიერ შესრულებულია. ამასთან, უდავოა, რომ მოიჯარემ საიჯარო ფართით სარგებლობისათვის გათვალისწინებული საიჯარო ქირა ბოლოს 2016 წლის მარტში გადაიხადა.

3. 2016 წლის 17 მარტს თბილისში, ... მდებარე სავაჭრო ცენტრის – „ა.ჯ.მ-ის“ ტერიტორიაზე გაჩნდა ხანძარი.

4. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის 04.04.2016წ. №001729216 დასკვნის მიხედვით: 1. შემთხვევის ადგილის დათვალიერებით და ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ქ. თბილისში, ..., მოპასუხის კუთვნილი სავაჭრო ცენტრის შენობაში

ხანძრის გაჩენის ტექნიკური მიზეზია ელექტრო გამანაწილებელ ფარში შემავალი ელექტრო სადენების შემაერთებელ კონტაქტებზე წარმოქმნილი დიდი გარდამავალი წინაღობა; 2. შემთხვევის ადგილის გამოკვლევით, ხანძრის განვითარების დინამიკის გათვალისწინებითა და ხანძრის ინტენსიური თერმული ზემოქმედების ლოკალური ნიშნების (კვლების) გაანალიზების შედეგებიდან გამომდინარე, ხანძრის გაჩენის კერა, ანუ არაკონტროლირებადი წვის პირველადი წარმოშობის ადგილი, დაფიქსირდა ტექნიკურ ოთახში, შესასვლელიდან მოპირდაპირე მხარეს, ელექტრო გამანაწილებელი ფარის განთავსების ზონაში; 3. ხანძრის გაჩენა სავაჭრო ცენტრის შენობაში ცეცხლის განზრახ ნაკიდებით, ნივთიერებებისა და მასალების თვითაალების მიზეზების გამო მოცემულ შემთხვევაში გამორიცხულია.

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის სახანძრო-ტექნიკური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით: 1. ელექტრონულად წარდგენილი სისხლის სამართლის მასალების შესწავლის, შემთხვევის ადგილის გამოკვლევისა და ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ... მდებარე სავაჭრო ცენტრ „გ-ში“ ხანძრის გაჩენა დაკავშირებულია ელექტროტექნიკურ მიზეზებთან, კერძოდ, გარდამავალ წინაღობასთან; 2. შემთხვევის ადგილის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ... მდებარე სავაჭრო ცენტრ „გ-ში“ ხანძრის გაჩენის კერა მდებარეობს პირველ სართულზე მდებარე ელექტრო გამანაწილებელ ოთახში, შესასვლელიდან მოპირდაპირე მხარეს არსებულ ელექტროგაყვანილობასთან; 3. ქიმიური მეთოდებით ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ქალაქის №2 კონვერტში მოთავსებულ ნაშენის ნიმუშებზე ნავთობპროდუქტების კვალის არსებობა არ აღინიშნება.

6. ქ. თბილისში, ... მდებარე სავაჭრო ცენტრ „ა.ჯ.მ-ის“ ტერიტორიაზე 2016 წლის 17 მარტს გაჩენილი ხანძრის შედეგად მოსარჩელეს მიადგა 181 204,61 ლარის ოდენობით ზიანი.

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის: ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, 18 120,46 ლარის, იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 9 000 აშშ დოლარისა (6 000 აშშ დოლარი ბოლო თვის საიჯარო ქირის საფასური, 3 000 აშშ დოლარი მარტის ნახევარი თვის საფასური) და მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, 66 262 ლარის გადახდის დაკისრება.

8. სარჩელის თანახმად:

8.1. მხარეთა შორის 2015 წლის 15 აგვისტოს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქო-

ნება, 300 კვ.მ კომერციული ფართი, ს.კ. ..., დროებით სარგებლობაში გადაეცა მოსარჩელეს ყოველთვიური საფასურის გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნულ ფართში განთავსებული იყო მაღაზია, სადაც მოიჯარე ახორციელებდა თავის ბიზნეს საქმიანობას, კერძოდ, ტანისამოსისა და აქსესუარების რეალიზაციას;

8.2. იჯარის ხელშეკრულებით განისაზღვრა მოიჯარის მიერ ბოლო თვის საიჯარო ქირის წინასწარ გადახდის ვალდებულება, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა. შესაბამისად, მიმდინარე ქირასთან ერთად მოიჯარემ წინასწარ გადაიხადა ერთი თვის საფასური – 6 000 აშშ დოლარის ოდენობით;

8.3. 2016 წლის 17 მარტს მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ობიექტზე, მდებარე: ქ. თბილისი, ... ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნესების დარღვევის შედეგად, გაჩნდა ხანძარი, რის გამოც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა საიჯარო ფართს. კერძოდ, მოხდა სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქციის დაზიანება. აღნიშნული დღიდან მოსარჩელემ ვეღარ შეძლო იჯარით აღებული ფართით სრულყოფილი და დანიშნულებისამებრ სარგებლობა;

8.4. ხელშეკრულების 3.2.2 პუნქტის თანახმად, მეიჯარის ვალდებულებად განისაზღვრა უზრუნველყო მოიჯარის მიერ საიჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეეშალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში. შესაბამისად, სწორედ მოპასუხის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა, რომ ყველა ღონე ეხმარა, რათა მოიჯარისათვის უსაფრთხო გარემო შეექმნა, მათ შორის, უზრუნველყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვა;

8.5. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს უკან უნდა დაუბრუნდეს მარტის თვის საიჯარო ქირის ნახევარი – 3000 აშშ დოლარი, რომელიც წარმოადგენს იმ პერიოდზე გათვლილ საფასურს, რა დროსაც მოსარჩელის სარგებლობაში არსებული ფართის ტერიტორიაზე საგამოძიებო და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. მოსარჩელეს ასევე უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ წინასწარ გადახდილი, საიჯარო ვადის ბოლო თვის საფასური 6 000 აშშ დოლარის ოდენობით, ვინაიდან მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება შეწყდა ივნისის თვის დასაწყისში;

8.6. მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დასკვნის მომზადება სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქტის ვარგისიანობასთან დაკავშირებით. დასკვნის თანახმად, მოსარჩელის მაღაზიის დარბაზში არსებული 181 204,61 ლარის ღირებულების საქონელი დაზიანებულია და სხვადასხვა

ხარისხით დაკარგული აქვს სასაქონლო სახე, რის გამოც, მათი პირვანდელი სახით რეალიზაცია შეუძლებელია;

8.7. მოსარჩელის სასაქონლო მარაგები დაზღვეული იყო სადაზღვევო კომპანია „ა. დ-ის“ მიერ, შესაბამისად, ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მის მიერ ანაზღაურდა, ხოლო ზიანი, რომლის ანაზღაურებაც არ მომხდარა, წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უპირობო ფრანშიზას თანხას, ზარალის 10%-ის ოდენობით, რაც 18 120,46 ლარს შეადგენს;

8.8. 2016 წლის 04 ივნისს მოსარჩელემ მიმართა მოპასუხეს, რათა შეესწავლა და შეეფასებინა დამკვეთის მიერ მისაღები წმინდა მოგება, რომელსაც იგი მიიღებდა 2016 წლის 15 მარტიდან 15 დეკემბრამდე პერიოდში. აღნიშნული პერიოდი დამკვეთისა და შემფასებლის მიერ განისაზღვრა იმ საფუძვლით, რომ ხანძრის დროს მაღაზიაში განთავსებული იყო სხვადასხვა სეზონის საქონელი, რომლის რეალიზაციაც სწორედ დასკვნაში გაწერილ პერიოდში უნდა განხორციელებულიყო. გათვალისწინებულია ისიც, რომ მოგება დათვლილია ყოველგვარი ხარჯის გამოკლებით. დათვლილია მხოლოდ შემოსავალი, რაც შესაძლებელია ყოფილიყო შემოსავალი რეალიზაციიდან, სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და დადებითი საკურსო სხვაობები. შეფასებით დადგინდა, რომ კომპანია მოცემულ პერიოდში მიიღებდა 66 262 ლარის მოგებას, რომელიც წარდგენილია დღგ-ს გარეშე;

8.9. მოსარჩელე შეეცადა მოპასუხესთან მოლაპარაკების გზით შეთანხმებას, თუმცა უშედეგოდ. შესაბამისად, იგი იძულებული გახდა შეენწყვიტა იჯარის ხელშეკრულება 2016 წლის ივნისიდან.

9. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო.

10. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი წარადგინა მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა მისთვის 38 619 ლარის გადახდის დაკისრება. მისი განმარტებით, მხარეთა შორის 15.08.2015წ. გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების 4.3.4 პუნქტი ითვალისწინებს მოიჯარის შესაძლებლობას, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეიჯარისათვის 90 კალენდარული დღით ადრე ვაგ ზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულების დარღვევისათვის იჯარის ხელშეკრულების 5.5 პუნქტით გათვალისწინებულია მეიჯარის უფლება, მოიჯარეს დააკისროს პირგასამტეხლო 3 თვის საიჯარო ქირის ოდენობით. შესაბამისად, ვინაიდან მოიჯარემ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დაცვით არ მიაწოდა მეიჯარეს ინფორმაცია ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, მას პირგასამტეხლოს სახით უნდა დაეკისროს სამი თვის საიჯარო ქირის გადახდა.

11. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი, რომლითაც შეგებებული სარჩელი არ ცნო.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით, დაეკისრა 18 120,46 ლარისა და მარტის თვის საიჯარო ქირის ნახევრის – 3 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; აგრეთვე, არ დაკმაყოფილდა მოპასუხის შეგებებული სარჩელი.

13. მხარეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივრები. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ბოლო თვის საიჯარო ქირის – 6 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა; ხოლო, მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

15. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

16. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 14.04.2016წ. დასკვნაში მითითებულ შემდეგ გარემოებაზე: ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილი, მოსარჩელის მალაზიის დარბაზში არსებული 181 204,61 ლარის ღირებულების (დღგ-ს ჩათვლით) საქონელი, რომელიც განთავსებულია სტელაჟებზე და ჩამოკიდებულია საკიდებზე, დაზიანებულია და სხვადასხვა ხარისხით აქვთ დაკარგული სასაქონლო სახე, რის გამოც მათი პირვანდელი სახით რეალიზაცია შეუძლებელია.

17. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4.1, 102.1, 102.2, 105.2 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.1, 317.1, 361.2, 394.1 მუხლებით და იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის 17 მარტს გაჩენილი ხანძრის შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის 90% ანაზღაურდა სს „ა. დ-ის“ მიერ, მიიჩნია, რომ მოპასუხეს მართებულად დაეკისრა ხანძრის შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით, 18 120,46 ლარის გადახდა.

18. სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იჯა-

რის ხელშეკრულების 3.2.2 ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მეიჯარის ვალდებულებას წარმოადგენდა მოიჯარის მიერ საიჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობის უზრუნველყოფა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში ხელის არშეშლა. სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ მეიჯარის კონტროლს დაქვემდებარებულ სივრცეში გაჩენილი ხანძრის შედეგად მოიჯარეს ზიანი მიადგა. მოპასუხემ ვერ წარადგინა დამაჯერებელი და სამართლებრივად წონადი არგუმენტები, რაც სასამართლოს დაარწმუნებდა, რომ მეიჯარეს არ ჰქონდა ხანძრის თავიდან აცილების, წარმოშობის/გავრცელების, მისი გამომწვევი მოქმედების ან/და შედეგების შემცირების შესაძლებლობა. შესაბამისად, სახელშეკრულებო პირობებით ბოჭვის, ასევე, იმის მხედველობაში მიღებით, რომ მოპასუხემ მისი მტკიცების ტვირთი სათანადოდ ვერ განახორციელა, სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხე მართებულად იქნა მიჩნეული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად.

19. სააპელაციო პალატის მითითებით, 2016 წლის ივნისის თვიდან მოსარჩელემ ცალმხრივად შეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება, რის შესახებაც დადგენილი წესით ეცნობა მეიჯარეს. სახელშეკრულებო სამართალურთიერთობა ნების ავტონომიის პრინციპს ეფუძნება, ამდენად, კონტრაქტორი მხარის დასაბუთებული ინტერესისა და კანონისმიერი ბოჭვის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეებს სახელშეკრულებო ურთიერთობებშიც აქვთ ცალმხრივად მოქმედების შესაძლებლობა. სახელშეკრულებო თავისუფლების გამოვლინებაა არა მხოლოდ ხელშეკრულების დადება, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა, კონტრაქტის არჩევა და ა.შ. არამედ, ცალმხრივად ხელშეკრულებიდან გასვლა, ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულების შეწყვეტა. განსახილველ შემთხვევაში, მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ 2016 წლის 17 მარტის შემდეგ (ხანძრის გაჩენის თარიღი) მოსარჩელის მიერ იჯარის ხელშეკრულების ობიექტი კომერციული საქმიანობისათვის გამოყენებული აღარ ყოფილა. უდავო გარემოებას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს მარტის თვის საიჯარო ქირა სრულად ჰქონდა გადახდილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მარტის თვის საიჯარო ქირის ნახევრის – 3 000 აშშ დოლარის უკან დაბრუნების შესახებ მართებულად დაკმაყოფილდა.

20. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეები იჯარის ხელშეკრულებით იმთავითვე შეთანხმდნენ ხელშეკრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის სამართლებრივ შედეგებზე. კერძოდ, ხელშეკრულების 2.5 პუნქტის ბოლო წინადადების მიხედვით, მოიჯარის მიერ ხელ-

შეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, იგი არ არის უფლება-
მოსილი მოსთხოვოს მეიჯარეს ბოლო თვის საიჯარო ქირა. აღნიშნული-
დან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბოლო თვის
ქირის სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას თვით ხელშეკრუ-
ლებაში დაფიქსირებული მხარეთა ერთობლივი ნება გამორიცხავდა.

21. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მხარეებმა წარადგინეს
საკასაციო საჩივრები. პირველმა კასატორმა გასაჩივრებული განჩინე-
ბის ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპა-
სუხისათვის ბოლო თვის საიჯარო ქირის – 6 000 აშშ დოლარის დაკის-
რება მოითხოვა; ხოლო, მოპასუხემ გასაჩივრებული განჩინების ნაწი-
ლობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკ-
მაყოფილებაზე სრულად უარის თქმა.

**22. პირველმა კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა საა-
პელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებ-
ზე:**

22.1. იჯარით გადაცემულ ფართში განთავსდა მაღაზია, სადაც მოი-
ჯარე ახორციელებდა სხვადასხვა ბრენდის ტანსაცმლისა და აქსესუა-
რების რეალიზაციას. ხელშეკრულების თანახმად, მეიჯარის ვალდებუ-
ლებას წარმოადგენდა უზრუნველყო მოიჯარის მიერ საიჯარო ობიექ-
ტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეეშალა ამ ხელშეკრუ-
ლებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში (3.2.2). ვალ-
დებულების შეუსრულებლობისა და არასათანადოდ შესრულების შემ-
თხვევაში, მხარეები პასუხს აგებდნენ ამ ხელშეკრულებითა და საქარ-
თველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით; ხელშეკრულე-
ბის პირობების დამრღვევი მხარე ვალდებული იყო მეორე მხარისათ-
ვის აენაზღაურებინა დარღვევით მიყენებული ზიანი (5.1);

22.2. 2016 წლის 17 მარტს მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ობი-
ექტზე (მდებარე: ქ. თბილისი, ...) გაჩენილი ხანძრის შედეგად, მნიშვნე-
ლოვანი ზიანი მიადგა საიჯარო ფართში განთავსებულ მოსარჩელის სა-
ქონელს. კერძოდ, მოხდა სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქცი-
ის დაზიანება (დაიკვამლა, გაიჭვარტლა, ფერი იცვალა და აუვიდა ნამ-
წვის სუნი). შესაბამისად, მათი რეალიზება შეუძლებელი გახდა. გასათ-
ვალისწინებელია, რომ მაღაზიაში სარეალიზაციოდ გამოტანილი იყო
ბრენდული პროდუქცია და საქონლის რეალიზება შეთანხმებული წე-
სების დაცვით ხდებოდა. კერძოდ, განსაზღვრული იყო სარეკომენდა-
ციო ფასი, რომელზე ნაკლებადაც ნივთების რეალიზება შეზღუდულია;

22.3. საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაოების შე-
დეგად დადასტურებულია, რომ ხანძარი გაჩნდა ტექნიკურ ოთახში (და-
ხურულ ფართში) და მის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენდა ე.წ. გარდა-
მავალი წინაღობა. გაჩენილი ხანძარი ნელა ვითარდებოდა ამ ოთახში

ჟანგბადის სათანადო რაოდენობის არარსებობის გამო. დადასტურებულია ასევე, რომ ხანძრის განვითარება მოხდა ტექნიკური ოთახის კარის გამოღების შემდგომ, რაც გახდა ხანძრის კერისათვის ჟანგბადის მიწოდების საფუძველი. ამ ფაქტამდე წვა მიმდინარეობდა კარის ღრიჭობიდან შესული არასაკმარისი ჟანგბადის მიწოდებით. ექსპერტიზის დასკვნითა და გამოძიებლის მიერ შედგენილი ოქმით არ დასტურდება ტერიტორიაზე ხანძარსა და ალმდეგოს სისტემის არსებობა. ასევე, არ დასტურდება ფართში ცეცხლმაქრების არსებობისა და მათი გამოყენების ფაქტები;

22.4. 2016 წლის 17 მარტს გაჩენილი ხანძრის შედეგად მოსარჩელის მფლობელობაში არსებული მაღაზიის, საიჯარო ფართის დაზიანებამ წარმოშვა შეცვლილ გარემოებებთან 2015 წლის 15 აგვისტოს იჯარის ხელშეკრულების მისადაგების აუცილებლობა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საიჯარო ქირის შემცირება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რასაც მოპასუხე არ დაეთანხმა. შესაბამისად, მოსარჩელემ 2016 წლის ივნისიდან ცალმხრივად შეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება, რის შესახებაც დადგენილი წესით ეცნობა მეიჯარეს;

22.5. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა მოსარჩელის მიერ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულება, ხოლო მოპასუხის მიერ მათი უგულებელყოფა;

22.6. მოსარჩელე მის სარგებლობაში არსებული კომერციული ფართით იყო კმაყოფილი, ეტაპობრივად მოზიდული ჰყავდა მომხმარებელი და გრძელვადიანი პერსპექტივით სურდა ფართით სარგებლობა, თუმცა 2016 წლის 17 მარტის ხანძრის შემდეგ და მოპასუხის მიერ წარმოებული არასათანადო პროცესების გათვალისწინებით, იგი იძულებული გახდა მიეღო ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილება. მოპასუხის არასათანადო ქმედება გამოიხატებოდა იმაში, რომ მან არ გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები:

- ხანძარი, რომელიც გაჩნდა სავაჭრო ცენტრში, წარმოიშვა მის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე;

- ხანძრის შედეგად განადგურდა (სარეალიზაციოდ უვარგისი გახდა) მოიჯარის კომერციულ ფართში განთავსებული გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია (რომელიც სულ რამდენიმე დღის ჩამოტანილი და განთავსებული იყო);

- პროდუქციის განადგურებით მოიჯარეს მოეშალა ფუნქციონირების საშუალება სულ მცირე 3-4 თვით, რადგან სწორედ ეს პერიოდია საჭირო ახალი კოლექციის გამოსაწერად და ჩამოსატანად;

- მიუხედავად იმისა, რომ ახალი კოლექციის ჩამოტანამდე მოიჯარე-

რე იძულებული იყო დაეკეტა კომერციული ფართი, იგი გამოთქვამდა მზადყოფნას, ფართის ყოველ კვ.მ-ზე გადაეხადა 5 აშშ დოლარი და ამით შეენარჩუნებინა ფართი;

– მიუხედავად მოიჯარის არაერთი მცდელობისა, შეთანხმებაზე პასუხი ან ალტერნატიული, ადეკვატური შეთავაზება მიეღო მოპასუხისაგან, იგი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა გაურკვეველ ვითარებაში მოპასუხის წარმომადგენელთა მხრიდან;

– ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, დაახლოებით აპრილის ბოლოს, მოპასუხემ მიმართა მოსარჩელეს და მოითხოვა კომერციული ფართის დაცლა, ან დაუყოვნებლივ ფუნქციონირების განახლება. ეს უკანასკნელი შეუსაბამო მოთხოვნას წარმოადგენდა, ვინაიდან მოპასუხემ შესანიშნავად იცოდა, თუ რა მიზეზით იყო შეფერხებული კომპანიის საქმიანობა. მან ასევე იცოდა და იცის მსგავსი ტიპის ბიზნესის სპეციფიკა – ახალი კოლექციით მაღაზიის შევსება არ არის მოკლე ვადებთან დაკავშირებული და მას 3-4 თვე მაინც სჭირდება;

22.7. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს წინასწარ ჰქონდა გადახდილი იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული ბოლო თვის – 16.07.2016წ. გადასახადი. სადავო არ არის, რომ მოსარჩელემ სრულად გადაიხადა 2016 წლის მარტის თვის საიჯარო ქირაც – 6 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით. ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 17 მარტიდან მოსარჩელე შესაბამისი დანიშნულებით ვერ იყენებდა საიჯარო ფართს. შესაბამისად, მან იჯარის ხელშეკრულება 2016 წლის ივნისიდან ცალმხრივად შეწყვიტა. კასატორმა მოიხმო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 554-ე, 398-ე მუხლები და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს, მიიღოს წინასწარ გადახდილი ბოლო თვის ქირა, ვინაიდან ხანძრის შემდეგ მაღაზია ვერ ფუნქციონირებდა. მოსარჩელე საქონლის რეალიზაციას ვერ ახორციელებდა იმ მიზეზით, რომ საქონელი იყო დაზიანებული და სხვადასხვა ხარისხით დაკარგული ჰქონდა სასაქონლო სახე, რის გამოც, მათი პირვანდელი სახით რეალიზაცია შეუძლებელი იყო, ხოლო 2-3 თვეში ახალი საქონლის ყიდვა, ჩამოტანა და რეალიზაცია ვერ მოხდებოდა;

22.8. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მეიჯარის კონტროლს დაქვემდებარებულ სივრცეში ხანძრის გაჩენის შედეგად მოიჯარეს ზიანი მიადგა. მიუხედავად იმისა, რომ მხარეები იმთავითვე შეთანხმდნენ ხელშეკრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის სამართლებრივ შედეგებზე, კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე იძულებული იყო შეენწყვიტა ხელშეკრულება იმ გარემოებათა გამო, რაზეც პასუხისმგებლობა მოპასუხეს ეკისრება. მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების მოშლა განპირობებული იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგ-

რძელების შეუძლებლობით. ხელშეკრულების 3.2 პუნქტი ამ ვითარებაში არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, ვინაიდან დადასტურებულია, რომ ხანძარი გაჩნდა ტერიტორიაზე, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა მოპასუხეს ეკისრებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ბოლო თვის საიჯარო ქირის – 6 000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება.

23. მეორე კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

23.1. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუკი ზიანის მიყენებისას იკვეთება კონკრეტული პირის ბრალი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ისე დააკისრა მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება, რომ ხანძრის გამომწვევ მიზეზებთან მიმართებით მისი ბრალეულობა არ დგინდება. მოცემულ შემთხვევაში, არც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევას აქვს ადგილი;

23.2. სასამართლო მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად ადგენს, რომ ვინაიდან ხანძარი წარმოიშვა კასატორის კონტროლს დაქვემდებარებულ სივრცეში, დამდგარ ზიანზეც ის არის პასუხისმგებელი. ასეთ დასკვნამდე სასამართლო მივიდა მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების 3.2.2 პუნქტის არასწორი განმარტების შედეგად. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტის მიხედვით, დადგენილია მეიჯარის ვალდებულება, უზრუნველყოს მოიჯარის მიერ საიჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში. სასამართლოს განმარტებით, შეუფერხებელი სარგებლობა გულისხმობს მეიჯარის პასუხისმგებლობის სფეროში ნებისმიერი სახელშეკრულებო რისკის არსებობას, რაც არამართებულია, ვინაიდან ზემოაღნიშნული პუნქტი გულისხმობს მეიჯარის ვალდებულებას, რომ მან თავისი ქმედებით ან უმოქმედობით ხელი არ შეუშალოს მოიჯარის საქმიანობას. მეიჯარე ვერ აიღებდა პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მისი კონტროლის სფეროს სცდება;

23.3. ექსპერტიზის დასკვნით, ხანძრის გამომწვევ მიზეზებში კასატორის ბრალი არ დგინდება. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ხანძრის მიზეზს წარმოადგენდა დიდი გარდამავალი წინაღობა, რომლის ხანძარსაშიშროება განისაზღვრება იმით, რომ სწორედ შესრულებულ ელექტრო დაცვით სისტემასაც არ შეუძლია შენობის ელექტროქსელის გათიშვა, შესაბამისად, კასატორს არ შეეძლო ხანძრის გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილება;

23.4. მცდარია ასევე სასამართლოს შეფასება, რომლითაც განიმარ-

ტა, რომ ხანძარი წარმოიშვა კასატორის კონტროლს დაქვემდებარებულ სივრცეში და სწორედ ამიტომ ხანძრის წარმოშობის შედეგად დაზარალებულ ზიანზე პასუხისმგებლობა შეიჯარეს უნდა დაეკისროს. ხანძრის გაჩენის მომენტისათვის ტერიტორია, სადაც ხანძრის კერა დაფიქსირდა, წარმოადგენდა შპს „გ-ის“ საიჯარო ფართს, მის მფლობელობაში და კონტროლ ქვეშ იყო, რაც დასტურდება საქმეში წარდგენილი საჯარო რეესტრის 17.03.2016წ. ამონაწერით. ვინაიდან, ხანძრის გამომწვევ მიზეზებში კასატორის ბრალი არ იკვეთება, ხანძარი არ წარმოშობილა მის კონტროლირებად ტერიტორიაზე, ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ კასატორის მიერ დროულად იქნა მიღებული ღონისძიებები ხანძრის ლიკვიდაციისა და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად, მოპასუხეს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა;

23.5. დაუსაბუთებელია, რომელი ნორმის საფუძველზე დაეკისრა მოპასუხეს ქირის ნაწილის – 3 000 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის დაბრუნება. სასამართლო მიუთითებს, რომ ხელშეკრულების მხარეებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში აქვთ ცალმხრივად მოქმედების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან საიჯარო ფართი ხანძრის შედეგად არ დაზიანებულა, ხოლო საიჯარო ფართში არსებული საქონლის ნაწილობრივ დაზიანებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდა სადაზღვევო კომპანიის მიერ. აგრეთვე, ხანძრის შედეგები სრულად იქნა ლიკვიდირებული და სავაჭრო ცენტრი შეუფერხებლად ფუნქციონირებდა ხანძრის გაჩენიდან 2 კვირის ვადაში. შესაბამისად, არ არსებობდა 3 000 აშშ დოლარის დაკისრების რაიმე ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძველი;

23.6. აქვე აღსანიშნავია, რომ ხანძრის გაჩენა მოხდა 17 მარტს და იმ შემთხვევაშიც, თუკი იარსებებდა მარტის თვის ქირის მოსარჩელისათვის დაბრუნების ვალდებულება, აღნიშნული სულ მცირე, არ უნდა გავრცელდეს მარტის 16 დღის საიჯარო ღირებულებაზე, ვინაიდან ცხადია, რომ მოსარჩელე მარტის 17 რიცხვამდე შეუფერხებლად სარგებლობდა საიჯარო ფართით. შესაბამისად, სასამართლოს პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც კი, მარტის თვის მთლიანი ქირის დაბრუნების ვალდებულება მოპასუხეს არ უნდა დაკისრებოდა.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

25. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრების სა-

ფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

26. წინამდებარე საქმეში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მეიჯარისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების მართლზომიერება; ასევე, მოიჯარისათვის მის მიერ გადახდილი საიჯარო ქირის ნაწილის დაბრუნებისა და წინასწარ გადახდილი ბოლო თვის საიჯარო ქირის დაბრუნებაზე უარის თქმის მართლზომიერება.

27. მეორე კასატორი/მეიჯარე დავობს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის მოიჯარისათვის მიყენებულ ზიანში. მისი მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განმარტა მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების 3.2.2 პუნქტი და არამართებულად დაასკვნა, რომ ვინაიდან ხანძარი მეიჯარის კონტროლს დაქვემდებარებულ სივრცეში წარმოიშვა, დამდგარ ზიანზე პასუხისმგებლობა მას ეკისრება; ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტი გულისხმობდა მეიჯარის ვალდებულებას, თავისი ქმედებით ან უმოქმედობით ხელი არ შეეშალა მოიჯარის საქმიანობისთვის; მეიჯარე ვერ აიღებდა პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მისი კონტროლის სფეროს სცდებოდა; კასატორს არ შეეძლო ხანძრის გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილება.

28. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

29. იჯარის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და კონსესუალური ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც ხდება კონკრეტული ან განუსაზღვრელი ვადით მოიჯარის სარგებლობაში ქონების დროებით გადაცემა. მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს გადასცეს საიჯარო ქონება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში, რათა შეიძლებოდეს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება და იჯარის მთელი დროის განმავლობაში უზრუნველყოს ასეთ მდგომარეობაში მისი შენახვა, რისთვისაც უნდა შეასრულოს კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები, რათა საიჯარო ქონება ყოველთვის იმყოფებოდეს ვარგის მდგომარეობაში და მოიჯარეს, მისი სწორად გამოყენების შედეგად, ჰქონდეს შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. ეს გულისხმობს იმ შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, რომელიც

საიჯარო ქონების მიზნობრივად გამოყენების შედეგად არის მოსალოდნელი (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 154-157).

30. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2015 წლის 15 აგვისტოს დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელეს დროებით სარგებლობაში გადაეცა მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში: ქ. თბილისი, ... ქ. №1, ს.კ. ..., მდებარე 300 კვ.მ კომერციული ფართი. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა – თვეში 6 000 აშშ დოლარის ოდენობით; სადავო არ არის, რომ იჯარის ობიექტს მოსარჩელე იყენებდა კომერციული დანიშნულებით, კერძოდ, აღნიშნულ ფართში განთავსებული იყო ტანსაცმლისა და აქსესუარების მაღაზია; დადგენილია ასევე, რომ 2016 წლის 17 მარტს მოპასუხის კუთვნილ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაში მდებარე სავაჭრო ცენტრის – „ა.ჯ.მ-ის“ ტერიტორიაზე გაჩნდა ხანძარი, რის შედეგადაც მოპასუხეს 181 204,61 ლარის ოდენობით ზიანი მიაღდა.

31. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ხანძრის გაჩენის შედეგად მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, თუმცა სადავოა ზიანის დადგომაში მოპასუხის ბრალეულობის საკითხი, რაც ზიანის ანაზღაურების დაკისრების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

32. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას, იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. ამდენად, იმისათვის, რომ ვალდებულების დარღვევა მოვალეს შეეარცხოს, მას უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

33. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამდენად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (Totalreparation-ის პრინციპი). იმავე კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ

იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

34. საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამ გარემოებების დამტკიცება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

35. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოვალეს ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება, აწევს თავად მოვალეს. რაც შეეხება ვალდებულების დარღვევის ფაქტს, ეს ფაქტი კრედიტორმა უნდა ამტკიცოს.

36. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

37. წინამდებარე საქმეში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს რადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის 04.04.2016წ. №001729216 დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, ... მოპასუხის კუთვნილი სავაჭრო ცენტრის შენობაში ხანძრის გაჩენის ტექნიკური მიზეზია ელექტრო გამანაწილებელ ფარში შემავალი ელექტრო სადენების შემაერთებელ კონტაქტებზე წარმოქმნილი დიდი გარდამავალი წინალობა; ამასთან, ხანძრის გაჩენის კერა დაფიქსირდა ტექნიკურ ოთახში, შესასვლელიდან მოპირდაპირე მხარეს, ელექტრო გამანაწილებელი ფარის განთავსების ზონაში. აღნიშნული ასევე დადასტურებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის

სახანძრო-ტექნიკური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით.

38. დასახელებული ექსპერტიზის დასკვნებიდან არ იკვეთება ხანძრის გაჩენაში კონკრეტული პირის, მათ შორის, მოპასუხის ბრალეულობა. თუმცა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ დადგენილ გარემოებას, რომ უძრავ ქონებაში ხანძარი მოპასუხის კონტროლს დაქვემდებარებულ სივრცეში გაჩნდა. კერძოდ, ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებულია, რომ ხანძრის გაჩენის კერა მდებარეობდა სავაჭრო ცენტრში მდებარე ტექნიკურ ოთახში. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მეორე კასატორის მითითება, რომ ხანძარი შპს „გ-ის“ მფლობელობაში არსებულ ფართში გაჩნდა; ამასთან, იჯარის ხელშეკრულების 3.2.2 პუნქტის თანახმად, მეიჯარის ვალდებულებას წარმოადგენდა უზრუნველყო მოიჯარის მიერ საიჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეეშალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში. აღნიშნული მეიჯარის ზოგად ვალდებულებასაც წარმოადგენს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირის დადგენისათვის უნდა განისაზღვროს შეეძლო თუ არა მეიჯარეს ხანძრის წარმოშობის ან/და გავრცელების თავიდან აცილება ან/და მისი შედეგების შემცირება, ვინაიდან ხელშეკრულების მხარეს, რომელსაც ზიანის წარმომშობი გარემოებების გაკონტროლების საშუალება აქვს, ეკისრება კიდევ მისი თავიდან აცილების ვალდებულება. სწორედ აღნიშნული ქმნის მეიჯარისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

39. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში არ წარუდგენია ზემოაღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები. მხოლოდ მისი ახსნა-განმარტება სადავო გარემოების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის/მოიჯარისათვის მიყენებულ, აუნაზღაურებელ (მიყენებული ზიანის ნაწილი ანაზღაურდა სადაზღვევო კომპანიის მიერ) ზიანზე პასუხისმგებლობა მოპასუხეს/მეიჯარეს მართებულად დაეკისრა.

40. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

41. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 554-ე მუხლის თანახმად, თუ დამქირავებელს ხელი ეშლება სარგებლობაში თავისი მიზეზით, იგი ქირის გადახდისაგან არ თავისუფლდება.

42. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ დამქირავებელს დაქირავებული ნივთის მიღების შემდეგ თავისი მიზეზით ხელი ეშლება სარგებლობაში, იგი ქირის გადახდისაგან არ თავისუფლდება. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე დასკვნა, რომ დამქირავებელი უფლებამოსილია მოითხოვოს არა მარტო ქირის შემცირება (სსკ-ის 536-ე მუხლის საფუძველზე), თუკი სახეზეა მისი ბრალის გარეშე საიჯარო ქონების ღირებულების შემცირება, არამედ იგი საერთოდ გათავისუფლდება ქირის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ იგი დაქირავებული ნივთით ვერ სარგებლობს და ამაში მას ბრალი არ მიუძღვის (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 124-125).

43. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მოიჯარემ მეიჯარეს სრულად გადაუხადა იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2016 წლის მარტის თვის საიჯარო ქირა – 6 000 აშშ დოლარის ოდენობით; ამასთან, სადავო არ არის, რომ მოიჯარეს ხანძრის გაჩენის დღიდან, 2016 წლის 17 მარტიდან, საიჯარო ფართი შესაბამისი დანიშნულებით აღარ გამოუყენებია. მოსარჩელის განმარტებით, ამ დროიდან მის სარგებლობაში არსებული ფართის ტერიტორიაზე საგამოძიებო და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა.

44. შესაბამისად, ვინაიდან მოიჯარეს საიჯარო ფართით სარგებლობაში ხელი მისი ბრალის გარეშე შეეშალა, ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, მოპასუხეს ასევე მართებულად დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი 2016 წლის მარტის თვის ქირის ნახევრის – 3 000 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

45. პირველი კასატორი დავობს, რომ ვინაიდან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის (დადგენილია, რომ იჯარის ხელშეკრულება შეწყდა 2016 წლის ივნისის თვიდან) საფუძველს წარმოადგენდა გარემოება (ხანძარი), რომელზედაც პასუხისმგებლობა მოპასუხეს ეკისრება, ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს მოიჯარის მიერ გადახდილი ბოლო თვის საიჯარო ქირის – 6 000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება.

46. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას და მიუთითებს იჯარის ხელშეკრულების 2.5 პუნქტზე, რომლის თანახმად, მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, იგი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს მეიჯარეს ბოლო თვის საიჯარო ქირა. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოიჯარის მიერ გადახდილი ბოლო თვის ქირის უკან დაბრუნება მხარეებმა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ერთობლივი ნებით გამოირიცხეს, რის გამოც არ არსებობს მოსარჩელისათვის მის მიერ გადახდილი ბო-

ლო თვის საიჯარო ქირის თანხის დაბრუნების საფუძველი.

47. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

48. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

49. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორების მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ბ. ს-ისა“ და შპს „ა.ჯ.დ.ჯ-იას“ საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საიჯარო ქირის საშემოსავლო გადასახადის გადახდის საკითხი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1161-2019

9 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საიჯარო ქირის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. გ-ძეს, ლ. გ-ძესა და გ. გ-ს (შემდგომში – „მოპასუხე“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) შორის 2008 წლის 01 ივნისს ზეპირი ფორმით დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოპასუხეს იჯარით გადაეცა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ... (შემდგომში – „იჯარის საგანი“).

2. ლ. გ-ძემ 2010 წლის 17 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილი მიჰყიდა ვ. ი-ს (შემდგომში – „მოსარჩელე“); ასევე, ი. გ-ძემ 2010 წლის 27 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, იმავე უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილი მიჰყიდა მოსარჩელეს. შესაბამისად, 2010 წლის 27 აპრილიდან აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს მოსარჩელე წარმოადგენს.

3. 2010 წლის 27 აპრილის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულები-სა და 2010 წლის 17 მარტის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელე აღირიცხა უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ს.კ. ..., მესაკუთრედ.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე №2/4201-10) სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტის თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის სახით, 9 400 აშშ დოლარის გადახდა. იმავე გადაწყვეტილების მე-7 პუნქტით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის გადახდა 2 000 აშშ დოლარის ოდენობით 2010 წლის 01 იანვრიდან საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-

გის 2011 წლის 12 იანვრის განჩინებით (საქმე №2/4201-10) იმავე სასამართლოს 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს საიჯარო ქირა 2011 წლის 01 იანვრიდან 2 000 აშშ დოლარი საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივნისის განჩინებით (საქმე №23/619-11) მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ი. გ-ძის, ლ. გ-ძისა და მოსარჩელის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 07 თებერვლის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ივნისის განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №23/865-12) მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4, მე-5, მე-9, მე-10 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

8. 2013 წლის 10 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის თაობაზე განცხადებით მიმართა მოსარჩელემ და პირველად მოთხოვნასთან ერთად, მოითხოვა მოპასუხისათვის 2012 წლის 23 იანვრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველ თვეზე საიჯარო ქირის 2 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 მაისის განჩინებით (საქმე №2/15278-12) მოსარჩელეს აღნიშნული განცხადების მიღებაზე ეთქვა უარი.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2013 წლის 20 სექტემბერს 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე №2/4201-10) სარეზოლუციო ნაწილის მე-6 და მე-7 პუნქტებზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც კრედიტორად მითითებულია მოსარჩელე, ხოლო მოვალედ მოპასუხე.

10. კერძო აღმასრულებელმა, ნ. კ-ამ 2014 წლის 25 თებერვალს მო-

ვალეს, მოპასუხეს გაუგზავნა წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის მიხედვით, მოვალეს 2013 წლის 20 სექტემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, ჯამში კრედიტორის, მოსარჩელის სასარგებლოდ ეკისრება 9 495 აშშ დოლარის გადახდა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №33/516-15) მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხის სარჩელი დაკმაყოფილდა; კერძო აღმასრულებელს, ნ. კ-ას დაევალა კრედიტორის, მოსარჩელისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2013 წლის 20 სექტემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის (საქმე №2/4201-10) დაბრუნება.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №2/16550-14) დადგენილია, რომ (გადაწყვეტილების 3.1.7 პუნქტი) 2010 წლის მაისიდან, მას შემდეგ, რაც უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ..., მესაკუთრე გახდა მოსარჩელე, 2011 წლის თებერვლის ჩათვლით საგადასახადო შემონმებამ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის გადახდილი იჯარის ღირებულება 35 976 ლარი მიიჩნია, როგორც არარეგისტრირებულ, არარეზიდენტ ფიზიკურ პირზე გადახდილად და მოპასუხეს გადასახდელად დააკისრა საშემოსავლო გადასახადი, ჯარიმა და საურავი, საერთო ჯამში 13 182,82 ლარის ოდენობით. იმავე გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილების 3.2.1 პუნქტი), ლ. გ-ძე და მოსარჩელე გადასახადის გადამხდელნი არ იყვნენ; აღნიშნული ფაქტის თაობაზე იმთავითვე ცნობილი იყო მოსარჩელისათვის (წინამდებარე საქმეში მოპასუხე); ამასთან, გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოპასუხეებს (წინამდებარე საქმეში მოსარჩელე, ასევე ლ. გ-ძე) არ გააჩნდათ.

13. სსიპ შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსარჩელე 15.02.2012 წლის მდგომარეობით ფიზიკურ პირად არ ყოფილა რეგისტრირებული. სსიპ შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ბაზის მონაცემებით, იგი ფიზიკურ პირად რეგისტრირებულია 2012 წლის 28 მარტიდან.

14. მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის 2012 წლის 24 ოქტომბერს, საბანკო ანგრიშნორების გზით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების (საქმე №2ბ/865-12) საფუძველზე, ჩარიცხულია 9 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

15. მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის 2011 წლის 22 ივნისს მაისის თვის საიჯარო ქირის სახით, საბანკო ანგარიშსწორების გზით, ჩარიცხულია 1 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2011 წლის 28 ივლისს ივნისის თვის საიჯარო ქირის სახით, ჩარიცხულია 1 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2011 წლის 20 სექტემბერს ივლისის თვის საიჯარო ქირის სახით, ჩარიცხულია 1 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2011 წლის 28 დეკემბერს სექტემბერ-ოქტომბრის საიჯარო ქირის სახით, ჩარიცხულია 3 200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2012 წლის 04 აპრილს იანვრის საიჯარო ქირის სახით, საბანკო ანგარიშსწორების გზით, ჩარიცხულია 2 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2012 წლის 01 მაისს თებერვლის თვის იჯარის სახით, ჩარიცხულია 2 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2012 წლის 24 ივლისს მარტისა და აპრილის თვის საიჯარო ქირის სახით, ჩარიცხულია 4 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2012 წლის 05 სექტემბერს მაისის თვის საიჯარო ქირის სახით, ჩარიცხულია 2 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

16. მოპასუხის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე 2011 წლის 22 ივნისს, 2011 წლის 28 ივლისს, 2011 წლის 20 სექტემბერს, 2011 წლის 28 ოქტომბერს, 2011 წლის 28 აპრილს და 2011 წლის 05 თებერვალს იჯარის გადასახადიდან დაქვითული 20%-ის სახით ჩარიცხულია 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, ხოლო 2011 წლის 28 დეკემბერს იჯარის გადასახადიდან დაქვითული 20%-ის სახით, ჩარიცხულია 800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2012 წლის 31 იანვრის იჯარის გადასახადიდან დაქვითული 20%-ის სახით, ჩარიცხულია 800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2012 წლის 04 აპრილის იჯარის გადასახადიდან დაქვითული 20%-ის სახით, ჩარიცხულია 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში; 2013 წლის 30 აპრილს 2010 წლის მაისის, ივნისის, ივლისის და აგვისტოს იჯარის გადასახადიდან დაქვითული 20%-ის სახით, ჩარიცხულია 2 641,28 ლარი; 2013 წლის 18 მაისს 2010 წლის აპრილის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვის ასევე 2011 წლის იანვრის და თებერვლის თვის იჯარის გადასახადიდან დაქვითული 20%-ის სახით, ჩარიცხულია 3 272 ლარი.

17. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის საიჯარო ქირის დავალიანების – 9 495 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

18. მოსარჩელემ წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 და 11 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გარდა, სარჩელის საფუძვლად შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

18.1. მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა ამ დრომდე არ შეწყვეტილა;

18.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგიის 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც განისაზღვრა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება 2011 წლის 01 იანვრიდან საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ყოველთვიურად 2000 აშშ დოლარის ოდენობით (აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი) შესულია კანონიერ ძალაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ყოველთვიურად გადასახდელი საიჯარო ქირის ოდენობა, ამ უკანასკნელმა დაარღვია ქირის გადახდის ვალდებულება;

18.3. კერძოდ, მოიჯარემ მეიჯარეს 2011 წლის 01 იანვრიდან 2012 წლის 01 იანვრამდე გადაუხადა მხოლოდ 1600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, ასევე, 2013 წლის მარტისა და აპრილის საიჯარო ქირის სახით გადაიხადა მხოლოდ 2 164,63 ლარი, რაც იმ დროს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, შეადგენდა 1 305 აშშ დოლარს (1 აშშ დოლარი = 1,658 ლარი);

18.4. შესაბამისად, მოიჯარის მიერ ამ დრომდე მეიჯარისათვის არ არის ანაზღაურებული 2011 წლის 01 იანვრიდან 2012 წლის 01 იანვრამდე დარჩენილი საიჯარო ქირა თვეში 400 აშშ დოლარის ოდენობით, რაც 12 თვეზე შეადგენს 4 800 აშშ დოლარს; 2013 წლის მარტისა და აპრილის სრული ორი თვის საიჯარო ქირა, ჯამში 4000 აშშ დოლარის ოდენობით და 2013 წლის მაისის თვის დარჩენილი ქირა 695 აშშ დოლარის ოდენობით;

18.5. ამრიგად, მოპასუხის ჯამური დავალიანება მოსარჩელის მიმართ შეადგენს 9 495 აშშ დოლარს, რომლის ნებაყოფლობით გადახდაზეც იგი უარს აცხადებს.

19. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, სააღსრულებო საქმის მასალებითა და 30.10.2015წ. გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლიდან გამომდინარე, დაექვითა საიჯარო ქირა. სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელე დაქვითვის კანონიერებაზე არ დავობს. იგი თვლის, რომ მოპასუხეს გააჩნია საიჯარო ქირის დავალიანება. თუმცა, სანამ არ გაირკვევა მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის საგადასახადო ვალდებულების დაფარვის მიზნით დაქვითული და საგადასახადო ორგანოში გადარიცხული საიჯარო ქირის დაქვითვის კანონიერება, მანამდე დავალიანების არსებობა ეჭვქვეშ დგას და დაუდასტურებელია.

20. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9 495 აშშ დოლარის ანაზღაურება.

21. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

23. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-16 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

24. სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ სადავო პერიოდში გადახდილი საშემოსავლო გადასახადი საიჯარო ქირიდან არ უნდა გამოქვითულიყო.

25. სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581.1 და 327-ე მუხლებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს. შესაბამისად, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სადავოდა გამხდარი სწორედ საიჯარო ქირის ოდენობა, კერძოდ, ის გარემოება, ყოველთვიური საიჯარო ქირა – 2000 აშშ დოლარი მოიცავდა თუ არა საშემოსავლო გადასახადსაც, მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მხარეთა მიერ საიჯარო ქირის განსაზღვრასთან მიმართებით გამოვლენილი ნების განმარტება. ამასთან, ვინაიდან სახეზეა ზეპირი იჯარის ხელშეკრულება, მხარეთა ნების განმარტება საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების ერთობლივი ანალიზით უნდა შეფასდეს, რა დროსაც ყურადღება უნდა მიექცეს წლების განმავლობაში მხარეთა მიერ განხორციელებულ ქმედებებს, როგორც მათი კონკლუდენტური ქცევის წესს დადებული გარიგების შესრულების მიზნებისათვის.

26. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 52-ე მუხლებით და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს და საქმეში წარდგენილი კანონიერ ძალაში შესული არაერთი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ 2008 წლის 01 ივნისს ი. გ-ძეს, ლ. გ-ძესა და მოპასუხეს შორის ზეპირი ფორმით დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს იჯარით გადაეცა უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ... 2010 წლის 27 აპრილიდან აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს მოსარჩელე წარმოადგენს. შესაბამისად, დადგენილია, რომ მან საიჯარო ურთიერთობაში სწორედ ის სამართლებრივი მდგომარეობა დაიკავა, რომელიც ლ. გ-ძესა და ი. გ-ძეს გააჩნდათ. საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით დასტურდება, რომ მო-

პასუხე და უძრავი ქონების იმდროინდელი მესაკუთრეები ყოველთვიური საიჯარო ქირის – 2000 აშშ დოლარის გადახდაზე შეთანხმდნენ. თავად აპელანტი მის მიერ წარდგენილ შესაგებელსა და სააპელაციო საჩივარში აღიარებს, რომ იგი საიჯარო ქირას ყოველთვიურად 2000 აშშ დოლარის ოდენობით იხდიდა მანამ, სანამ გაიგებდა საშემოსავლო გადასახადის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის შესახებ. სწორედ აღნიშნულის შემდეგ გადაწყვიტა აპელანტმა საშემოსავლო გადასახადი 20%-ის ოდენობით (400 აშშ დოლარი) გადასახდელი ქირიდან გამოეკეთა. 2016 წლის 31 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №2/16550-14) დადგენილია, რომ ლ. გ-ძე და მოსარჩელე არ იყვნენ გადასახადის გადამხდელნი. აღნიშნული ფაქტის თაობაზე იმთავითვე ცნობილი იყო მოსარჩელისათვის. ამასთან, გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოპასუხეებს (იმ საქმეში) არ გააჩნდათ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული საიჯარო ქირა საშემოსავლო გადასახადს არ მოიცავდა, აღნიშნულს მოპასუხის მიერ ზეპირი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ განხორციელებული კონკლუდენტური მოქმედებაც ცხადყოფს, კერძოდ, საიჯარო ქირას იგი სწორედ 2000 აშშ დოლარის და არა 1600 აშშ დოლარის ოდენობით იხდიდა.

27. სააპელაციო პალატის მითითებით, იმ შემთხვევაშიც, თუ სააპელაციო პალატა გონივრული განსჯის შედეგად არ მივიდოდა ზემოაღნიშნულ დასკვნამდე, საქმის მასალებში არსებობს 2016 წლის 31 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ გადაწყვეტილების 3.1.7 პუნქტით დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ საგადასახადო შემოწმებით მოპასუხეს გადასახდელად დაეკისრა საშემოსავლო გადასახადი, ჯარიმა და საურავი, როგორც ლ. გ-ძის, ასევე მოსარჩელისათვის გადახდილ საიჯარო ქირაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე არ ეთანხმებოდა საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებას, მას უფლება ჰქონდა საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით სადავოდ გაეხადა წარდგენილი საგადასახადო მოთხოვნა და ამ გზით საკუთარი უფლება დაეცვა. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი არ ყოფილა საგადასახადო ორგანოს მიერ ლ. გ-ძის ან მოსარჩელის, როგორც არარეგისტრირებული პირების დაჯარიმების თაობაზე გადაწყვეტილება, ამდენად იმ ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხისათვის საგადასახადო ორგანოს შემოწმების შედეგად დარიცხული თანხები მოპასუხეების (იმ საქმეში) მიერ შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენდა, მოსარჩელის (იმ საქმეში) მიერ საქმეში წარდგენილი არ ყოფილა. აღნიშნული

დავის ფარგლებში სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას შეეფასებინა წარმოადგენდნენ თუ არა ლ. გ-ძე და მოსარჩელე გადასახადის გადამხდელ პირებს, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ისინი გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულნი არ იყვნენ. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა ის ფაქტი, რომ საგადასახადო ორგანომ მოპასუხეს არასწორად დააკისრა გადასახადები, ხოლო მოსარჩელე და ლ. გ-ძე მოპასუხის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდნენ. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო გადასახადის (საშემოსავლო გადასახადის) გადამხდელ პირად საგადასახადო ორგანომ მოპასუხე მიიჩნია, აღნიშნულის საპირწონე მტკიცებულება კი მოსარჩელემ (იმ საქმეში) ვერ წარადგინა, შესაბამისად მოპასუხის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

28. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გარდა ზემოთ მითითებული გადაწყვეტილებისა, საქმის მასალებში ასევე არსებობს 2011 წლის 05 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საიჯარო ქირის ოდენობად 2000 აშშ დოლარი განისაზღვრა და სადავო პერიოდისთვის მოპასუხეს მოსარჩეულების (იმ საქმეში) სასარგებლოდ საიჯარო ქირის გადახდა სწორედ ამ ოდენობით დაეკისრა. მართალია, 2012 წლის 30 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №23/865-12) მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4, მე-5, მე-9, მე-10 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თუმცა დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, შესაბამისად, ვინაიდან საიჯარო ქირის ოდენობა 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით იქნა დადგენილი, იგი კანონიერ ძალაში სწორედ ამ ფორმით შევიდა. უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული ქირის ოდენობა მოიცავდა თუ არა საშემოსავლო გადასახადსაც. სააპელაციო სასამართლოში გამართულ ზეპირ სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მას არ გამოუყენებია მისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით მინიჭებული უფლება და სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება არ მოუთხოვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, სასამართლოს მიერ 2016 წელს მიღებული გადაწყვეტილებისა და აპელანტის კონკლუდენტური მოქმედების ურთიერთშეჯერებით, სააპელაციო სასამართლოს შეექმნა შინაგანი რწმენა, რომ მოპასუხემ იცოდა იმ გარემოების შესახებ, რომ მხარეთა შეთანხმება საიჯარო ქირის 2000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე საშემოსავლო გადასახადს არ მოიცავდა. შესაბამისად,

თუ მას აღნიშნული გადასახადის გადახდა კანონით ევალდებოდა, უნდა განხორციელებულიყო დამატებით და სადავო თანხა გადასახდელი ქირიდან არ უნდა გამოქვითულიყო.

29. სააპელაციო პალატამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე და 266-ე მუხლებს და განმარტა, რომ წინამდებარე განჩინებაში მითითებული 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც საიჯარო ქირის ოდენობად 2000 აშშ დოლარი დადგინდა და 2016 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად საგადასახადო ორგანომ მოპასუხე და არა მოსარჩელე ანლ. გ-ე მიიჩნია, კანონიერ ძალაშია შესული, მისი განხილვისას იდენტური მხარეები მონაწილეობდნენ, რაც მათ განსახილველი დავის მიზნებისთვის პრეიუდიციულ ფაქტებად აქცევს და განსაკუთრებით მყარი მტკიცებულების ძალას ანიჭებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, პრეიუდიციული ძალის მქონე გადაწყვეტილების ობიექტურ ფარგლებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადაწყვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-341-326-2016). სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილში მითითებული და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები მათ სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს ამართლებს, რაც ციტირებულ გადაწყვეტილებებს პრეიუდიციულ ძალას სძენს, მითითებულ ფაქტებს კი ყოველგვარი დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე დამტკიცებულად მიიჩნევს.

30. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მხოლოდ ზოგადი მითითებები გააკეთა საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირებისა და ბუნების შესახებ, აღნიშნული სასამართლოს მიერ მიღებულ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს ვერ გააქარწყლებს და მათ საპირწონე მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებლად მიიჩნია, როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით.

31. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა

საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

32. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

32.1. სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს; მთელი რიგი არსებითი საკითხები იურიდიული შეფასების მიღმა დატოვა; არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და კანონი არასწორად განმარტა;

32.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ სადავო პერიოდში გადახდილი საშემოსავლო გადასახადი საიჯარო ქირიდან არ უნდა გამოქვითულიყო. სასამართლო აღნიშნულ გარემოებაზე მსჯელობისას დაეყრდნო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების განმარტებას, თუმცა ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ კონტრაქტების ნების განმარტება ხდება მაშინ, როდესაც მხარეებმა რეალურად გამოავლინეს კონკრეტული ნება და აღნიშნული შემდგომ მეორე მხარის მიერ არასწორად იქნა აღქმული ან ინტერპრეტირებული, ან ამგვარი ნების შინაარსი ბუნდოვნად იქნა ჩამოყალიბებული ხელშეკრულებაში;

32.3. მოცემულ შემთხვევაში, საინტერესოა ის გარემოება, რომ რეალურად საშემოსავლო გადასახადს მოიცავდა თუ არა საიჯარო ქირა, მხარეებს არ შეუთანხმებიათ, აღნიშნულზე საერთოდ არ უფიქრიათ და, შესაბამისად, ნებაც არ გამოუვლენიათ. სამოქალაქო სამართალში მოქმედი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანახმად, სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტები თავად განსაზღვრავენ იმ ურთიერთობათა შინაარსს, რომელ ურთიერთობაშიც სურთ შესვლა. სასამართლოს არ აქვს უფლება ჩაერიოს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპში და თვითონ დაადგინოს ხელშეკრულების შინაარსი და, ამდენად, თავად მოგვევლინოს სამოქალაქო სამართალურ ურთიერთობის სუბიექტად. სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ორგანო, უფლებამოსილია ჩაერიოს არა მხარეთა ნების თავისუფლებაში, არამედ ამგვარი თავისუფლების ფარგლებში გამოვლენილი ნების ბუნდოვანების შემთხვევაში, ობიექტურად შეაფასოს მისი ნამდვილი შინაარსი, რასაც ლოგიკურად ადგილი ვერ ექნება, როდესაც ამგვარი ნება უზრალოდ არ გამოვლენილა. ასეთი დაშვების შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან ცალსახად ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვა იქნება სახეზე და მოხდება არა არსებული ვითარების სამართლებრივი კვალიფიკაცია, არამედ სახელშეკრულებო პირობების დადგენა, რაც ფაქტობრივად ანგრევს კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ფუნდამენტურ პრინციპებს;

32.4. შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში, იმ ვითარების

მხედველობაში მიღებით, რომ მხარეებს საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ საშემოსავლო გადასახადის გადახდის საკითხი, სასამართლო უნდა ამოვიდეს არა მხარეთა ნების განმარტებიდან, არამედ შესაბამისი საკანონმდებლო დანაწესიდან, რადგანაც ის საკითხები, რასაც კონკრეტული ხელშეკრულება არ ფარავს, წესრიგდება შესაბამისი კანონით – საქართველოს საგადასახადო კოდექსით. ასეთ შემთხვევაში სახეზე სრულიად სხვაგვარი რეალობა იქნებოდა;

32.5. კერძოდ, საგადასახადო სამართალში გადასახადის გადამხდელთან მიმართებით მოქმედებს შემდეგი პრინციპი: საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს ამ კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელმაც ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. ამდენად, საგადასახადო აგენტი ასრულებს არა თავის პირად საგადასახადო ვალდებულებას, არამედ ახდენს სხვა პირის საგადასახადო ვალდებულების ადმინისტრირებას. იმავე კოდექსის 79-ე მუხლის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი ფიზიკური პირი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან;

32.6. ამდენად, საგადასახადო კოდექსი საგადასახადო აგენტს აკისრებს მხოლოდ და მხოლოდ სხვა პირის საგადასახადო ვალდებულების ადმინისტრირების ვალდებულებას. საგადასახადო კოდექსი ამგვარ ვალდებულებას საგადასახადო აგენტს აკისრებს იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახადი იბეგრება წყაროსთან. მაგალითად, შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში ხელფასი, როგორც შემოსავალი/სარგებელი, იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. გადასახადის გადამხდელი, ანუ პირი, რომელსაც ეკისრება საშემოსავლო გადასახადის გადახდა, არის დასაქმებული, რომელიც იღებს შემოსავალს, სარგებელს. ამდენად, საშემოსავლო გადასახადით იბეგრება სწორედ დასაქმებულის ხელფასი. თუმცა, საგადასახადო ადმინისტრირების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, საგადასახადო კოდექსი ადგენს, რომ ხელფასი იბეგრება წყაროსთან ანუ დამსაქმებელთან, რაც იმას ნიშნავს, რომ დამსაქმებელი ხელფასიდან უქვითავს დასაქმებულს ამ უკანასკნელის გადასახდელ საშემოსავლო გადასახადს და რიცხავს ბიუჯეტში. ამდენად, გადასახადი გადაიხდება დასაქმებულის ხელფასიდან და არა დამსაქმებლის ბიუჯეტიდან. ეს უკანასკნელი მხოლოდ ფორმალურ პროცედურას ახორციელებს და დასაქმებულის მაგივრად ის ახდენს ამ თანხის ადმინისტრირებას;

32.7. მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე არ იყო გადასახადის გადამხდელი, მისი საგადასახადო ვალდებულებების – საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა მოპასუხეს, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალდება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, სანარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, კერძოდ, სანარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, ნოტარიუსისა, კერძო აღმასრულებლისა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში), რომელიც ინდივიდუალურ მენარმედ დარეგისტრირებული არ არის. შესაბამისად, მოპასუხე (როგორც საგადასახადო აგენტი) ვალდებული იყო მოსარჩელისათვის, როგორც გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირისათვის, დაექვეთნა საშემოსავლო გადასახადი;

32.8. საგადასახადო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ლიზინგით, უზუფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები. ამდენად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია – იჯარის საფასური ანუ იმ თანხას, რომელიც პირმა შემოსავლის სახით უნდა მიიღოს კონტრაქტისგან, აკლდება საშემოსავლო გადასახადი და ირიცხება ბიუჯეტში;

32.9. აქედან გამომდინარე, როდესაც მხარეები თანხმდებიან კონკრეტულ თანხაზე და ამავდროულად შეთანხმებით არ განსაზღვრავენ მოიცავს თუ არა ეს თანხა რაიმე გადასახადს, ითვლება, რომ აღნიშნული არის საიჯარო ფასი ანუ ის თანხა, რაც პირმა უნდა მიიღოს შემოსავლის სახით და, შესაბამისად, სწორედ აღნიშნული თანხა (შემოსავალი) ექვემდებარება დაბეგვრას, ხოლო დარჩენილი თანხა ესაა პირის წმინდა შემოსავალი. სწორედ ამ ლოგიკითაა, რომ ამჟამად მოპასუხე მოსარჩელეს იჯარის ფასის სახით უხდის 2 000 აშშ დოლარს, ვინაიდან მას მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არ აქვს აღნიშნული თანხიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავების ვალდებულება, არამედ აღნიშნული ვალდებულება აკისრია მონინალმდევე მხარეს. ამრიგად, მოსარჩელე საიჯარო თანხის აღებისთანავე ვალდებულია, მისი 20% გადაიხადოს ბიუჯეტში, რაც გულისხმობს იმას, რომ მას ხელზე ყოველთვიურად უნდა დარჩეს 1600 აშშ დოლარი, ისევე როგორც მაშინ, როდესაც საშემოსავლო გადასახადის გადახდის

ვალდებულება მოპასუხეს გააჩნდა და მას ხელზე აძლევდა 1600 აშშ დოლარს. ამდენად, შედეგი ერთია, მხოლოდ ადმინისტრირების წესია შეცვლილი;

32.10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოდის, რომ მხარეები შეთანხმდნენ 2000 აშშ დოლარზე, როგორც საიჯარო ქირის ოდენობაზე, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება დაბეგვრას და, შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში მოსარჩელეს „ხელზე ასაღები“ თანხა რჩება 1 600 აშშ დოლარი. სააპელაციო სასამართლოს ლოგიკას თუ გავყევით, გამოდის, რომ თუ მოსარჩელისათვის ხელზე ასაღები თანხა (და არა საიჯარო ქირა) უნდა ყოფილიყო 2 000 აშშ დოლარი, ე.ი მხარეებს საიჯარო საფასური განუსაზღვრავთ 2 500 აშშ დოლარის ოდენობით, ვინაიდან სწორედ საიჯარო საფასურიდან გამოიანგარიშება საშემოსავლო გადასახადი. აღნიშნული კი არცერთი სასამართლო გადაწყვეტილებით არ დადასტურებულია;

32.11. 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა იჯარის საფასური – 2 000 აშშ დოლარი. მას არ უმსჯელია – აღნიშნული თანხა მოიცავდა თუ არა საგადასახადო კოდექსით დადგენილ საშემოსავლო გადასახადს. სასამართლოს მიერ ეს ფაქტი არათუ დადგენილი, არამედ მსჯელობის საგანიც არ გამხდარა. შესაბამისად, ის რაც არ დადგენილა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტი ვერ იქნება. ამასთან, ის, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ბუნებრივია, ვერც განიმარტებოდა. ამდენად, სრულიად გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ვინაიდან მოპასუხემ არ მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, ივარაუდება, რომ მან იცოდა, თითქოს 2 000 აშშ დოლარი საშემოსავლო გადასახადს არ მოიცავდა;

32.12. საყურადღებოა ასევე სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ 2016 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად საგადასახადო ორგანომ მოპასუხე და არა მოსარჩელე ან ლ. გ-ძე მიიჩნია. აღნიშნულ გარემოებაზე პირდაპირი მითითება და გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ საფუძვლად მიჩნევა პირდაპირ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ან სათანადოდ ვერ შეაფასა საგადასახადო კანონმდებლობის პრინციპი გადასახადის გადამხდელის ცნებასთან მიმართებით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საგადასახადო აგენტი ახდენს მხოლოდ და მხოლოდ სხვა პირის საგადასახადო ვალდებულების ადმინისტრირებას – დაკავებას გადასახადის გადამხდელის შემოსავლიდან და ბიუჯეტში პროცედურულ გადარიცხვას. შე-

საბამისად, ვინაიდან საგადასახადო აგენტი გადასახადის გადამხდელის პროცედურულ ვალდებულებას ასრულებს, საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტი გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან. ამდენად, საგადასახადო შემოწმების შედეგად, საგადასახადო ორგანოს არ დაუდგენია, რომ მოპასუხე თავის საშემოსავლო გადასახადს იხდიდა და არა მოსარჩელისა და ლ. გ-ძის, არამედ დაადგინა, რომ მას ჰქონდა აღნიშნული გადასახადის დაკავებისა და ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება და ამ კუთხით იგი გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან. სააპელაციო სასამართლომ იურიდიული შეფასების მიღმა დატოვა აღნიშნული საკითხები, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მოხდა მოცემული საკითხების შეფასება როგორც სააპელაციო საჩივარში, ისე დასახელებულ შეპასუხებაში;

32.13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2010 წელში მოპასუხეს უნდა დაექვითა 3 600 აშშ დოლარი და 2012 წელს 1200 აშშ დოლარი, რაც მას არ მოუხდენია და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მოსარჩელე იღებდა 2 000 აშშ დოლარს ქირის სახით, რაც მას არ ეკუთვნოდა. აღნიშნული გამომწვეული იყო კანონმდებლობის ამ ნაწილის არცოდნით. ხოლო, როდესაც მოპასუხისათვის ცნობილი გახდა აღნიშნულის შესახებ, საგადასახადო შემოწმების დროს, 2013 წელს, გადასახდელი საიჯარო ქირიდან მოხდა წინასწარ ზედმეტად გადახდილი თანხის გამოქვითვა, რომელიც ისევე როგორც დანარჩენი დაქვითული თანხები, სრულად გადარიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. მოსარჩელეს მარტის თვეში დაექვითა 2 000 აშშ დოლარი, აპრილის თვეში ასევე 2 000 აშშ დოლარი, ხოლო მაისის თვეში 695 აშშ დოლარი, ჯამში 4 695 აშშ დოლარი. შესაბამისად, ამ პერიოდის განმავლობაში, მოპასუხის მიერ მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტში 4 800 აშშ დოლარის გადახდა, რაც ასევე შესაბამისობაშია 2010 წლისა და 2012 წლის კანონმდებლობასთან;

32.14. მოპასუხის ქმედების მართებულობას ადასტურებს ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით ცალსახად დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილება ავტომატურად აღსასრულებელი არ არის. შესაბამისად, მოცემული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უკან დაუბრუნდა საალსრულებო ფურცელი.

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

34. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

35. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დავის საგანია მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის საიჯარო ქირის ანაზღაურება.

36. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის ოდენობა მოიცავდა თუ არა საშემოსავლო გადასახადს.

37. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და საქმის გარემოებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად, მხარეთა მიერ საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით გამოხატული ნება განმარტა იმგვარად, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული საიჯარო ქირის ოდენობა საშემოსავლო გადასახადს არ მოიცავდა, რასაც კასატორი არ ეთანხმება. მისი განმარტებით, ვინაიდან მხარეებს იჯარის ხელშეკრულებით საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ საშემოსავლო გადასახადის გადახდის საკითხი, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი კანონმდებლობით – საგადასახადო კოდექსით და არა ნების გამოვლენის განმარტებით, ვინაიდან ნების განმარტება ხდება მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების ბუნდოვანების შემთხვევაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

38. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა. ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ“ (იხ. სუსგ საქმე №ას-178-167-2017, 14 ივლისი, 2017 წელი); „ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე, მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა“ (იხ. სუსგ საქმე №ას-282-270-2015, 13 მაისი, 2015 წელი); „ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსე-

ბა კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საექ-
ვო აზრის დაზუსტება, მაგრამ თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასი-
ათი აქვს, ე.ი სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზ-
ნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნ-
ველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო
ვინაა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაწილე მხარეებს შორის ურ-
თიერთობის გარკვევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ
გარიგების მონაწილეებისათვის“ (იხ. სუსგ საქმე №ას-635-602-2014, 25
მაისი, 2015 წელი; ხელშეკრულების ბუნდოვანი პირობების განმარტე-
ბის თაობაზე იხ. ასევე სუსგ საქმე №ას-1026-984-2014, 10 სექტემბე-
რი, 2015 წელი; №ას-815-779-2014, 30 ოქტომბერი, 2015 წელი; №ას-
563-534-2015, 30 ოქტომბერი, 2015 წელი; №ას-358-343-2016, 03 ივნი-
სი, 2016 წელი; №ას-178-167-2017, 14 ივლისი, 2017 წელი).

39. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეები იჯარის
ზეპირი ხელშეკრულებით შეთანხმდნენ საიჯარო ქირის ოდენობაზე,
თუმცა სადავო არ არის, რომ მათ საიჯარო ქირასთან დაკავშირებული
საშემოსავლო გადასახადის გადახდის საკითხი ცალკე არ მოუწესრი-
გებიათ.

40. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის პირველი
ნაწილის თანახმად, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადას-
ცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და სა-
იჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძ-
ლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად
შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათ-
ქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც
ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქი-
რის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც.

41. წინამდებარე საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამო-
ქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 05 იანვრის კანონიერ ძალაში
შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის ზეპირი
ფორმით დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც საიჯარო ქირის
ოდენობა ყოველთვიურად 2 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. აღნიშ-
ნული გადაწყვეტილებით სასამართლოს არ დაუდგენია, რომ საიჯარო
ქირის ოდენობა საშემოსავლო გადასახადს არ მოიცავდა, სასამართლოს
საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით საერთოდ არ უმსჯელია,
რაც სწორედ იმას გულისხმობს, რომ მოცემულ შემთხვევაში საიჯარო
ქირის ოდენობა 2 000 აშშ დოლარს შეადგენს და მოიცავს საიჯარო ქი-
რის გადახდასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს, მათ შორის, საშე-
მოსავლო გადასახადსაც, მიუხედავად იმისა, ვის ეკისრება მისი აღმი-
ნისტირება და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა.

42. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ის, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დადგენილა, არ „იგულისხმება“. შესაბამისად, არასწორია დაშვება, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ საიჯარო ქირის ოდენობა საშემოსავლო გადასახადის გარეშე ივარაუდა. მოპასუხეს იმ ოდენობის საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება ეკისრება, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 05 იანვრის გადაწყვეტილებით დაადგინა. როგორც აღინიშნა, დასახელებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 2 000 აშშ დოლარს. ამასთან, პრეზუმირებულია, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სწორია და არ შეიძლება მხარეს დაეკისროს იმაზე მეტი ვალდებულება ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებით არის დადგენილი. სასამართლოს გადაწყვეტილების იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც მხარეს უფრო მეტ ვალდებულებას აკისრებს, არასწორია.

43. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამ გარემოებების დამტკიცება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

44. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

45. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ 2010 წლის მაისიდან 2011 წლის იანვრის ჩათვლით მოპასუხე მოსარჩელეს საიჯარო ქირის სახით თვეში 2 000 აშშ დოლარს უხდიდა; ამასთან, თბილისის საქა-

ლაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/16550-14) დადგენილია, რომ ამ პერიოდში საიჯარო ქირიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება გადახდის წყაროს, ანუ მოიჯარეს/მოპასუხეს ეკისრებოდა. კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, 2010 წლის მაისიდან 2011 წლის თებერვლის ჩათვლით მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის გადახდილი იჯარის ღირებულება საგადასახადო შემონმებამ მიიჩნია არარეგისტრირებულ, არარეზიდენტ ფიზიკურ პირზე გადახდილად და მოპასუხეს გადასახდელად დააკისრა საშემოსავლო გადასახადი, ჯარიმა და საურავი. შესაბამისად, ვინაიდან მხარეთა მიერ განსაზღვრული საიჯარო ქირის ოდენობა საშემოსავლო გადასახადის ოდენობასაც მოიცავს, ხოლო მოპასუხეს მოსარჩელისათვის გადახდილი საიჯარო ქირის თანხის (ყოველთვიურად 2 000 აშშ დოლარი) გარდა, დამატებით დაეკისრა საშემოსავლო გადასახადის გადახდაც, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ მას ამ დროის განმავლობაში – 2010 წლის მაისიდან 2011 წლის იანვრის ჩათვლით მოსარჩელისათვის საიჯარო ქირის სახით ზედმეტად აქვს გადახდილი სახელმწიფო ბიუჯეტში ამ უკანასკნელის მიერ გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი ოდენობა. კასატორის განმარტებით, მას 2010 წელს ზედმეტად აქვს გადახდილი 3 600 აშშ დოლარი. ამ გარემოებაზე მოპასუხე სარჩელზე წარდგენილ შესაგებელშიც უთითებდა, რაც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხემ მის მიერ 2010 წელს მოსარჩელისათვის ზედმეტად გადახდილი თანხა მართებულად დაუქვითა მას შემდგომ თვეებში გადასახდელი საიჯარო ქირიდან.

46. დადგენილია და სადავო არ არის არც ის გარემოება, რომ მოპასუხე 2011 წლის იანვრიდან 2012 წლის იანვრამდე მოსარჩელეს საიჯარო ქირის სახით უხდიდა 1600 აშშ დოლარს, ხოლო დარჩენილ 400 აშშ დოლარს, როგორც საშემოსავლო გადასახადს, რიცხავდა სახელმწიფო ბიუჯეტში, ვინაიდან, მისი განმარტებით, ამ პერიოდში საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირების ვალდებულება სწორედ მას ეკისრებოდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ პერიოდში მოპასუხეს სრულად და ჯეროვნად აქვს შესრულებული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება და მას არ ეკისრება მოსარჩელისათვის საიჯარო ქირის სახით დამატებით 4800 აშშ დოლარის (12x400) გადახდა.

47. დადგენილია ასევე, რომ მოპასუხეს 2012 წლის იანვრიდან 2012 წლის მაისის ჩათვლით მოსარჩელისათვის გადახდილი აქვს საიჯარო ქირა ყოველთვიურად 2 000 აშშ დოლარის ოდენობით; ამასთან, მოსარჩელე გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლის 28

აპრილიდან და იგი ამ დროიდან თავად იყო ვალდებული ეხადა საიჯარო ქირიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადი, ხოლო 2012 წლის მარტამდე ამ ვალდებულების შესრულება მოპასუხეს, მოიჯარეს ეკისრებოდა. შესაბამისად, ამ პერიოდში მოპასუხეს მოსარჩელისათვის ქირის სახით უნდა გადაეხადა თვეში 1600 აშშ დოლარი. ამდენად, ვინაიდან დადგენილია, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის საიჯარო ქირის სახით 2012 წლის იანვარში და თებერვალში გადახდილი აქვს არა 1600, არამედ 2000 აშშ დოლარი, ზედმეტად გადახდილი 695 აშშ დოლარი (რაც, ზედმეტად გადახდილ რეალურ თანხაზე, 800 აშშ დოლარზე ნაკლებია) მან მართებულად გაუქვითა მოსარჩელეს საიჯარო ქირაში.

48. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლება-მოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

49. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

50. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

51. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელეს გადაუვადდა სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის – 650 ლარის გადახდა საქმის განხილვის დასრულებამდე. შესაბამისად, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით წინამდებარე საქმეზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ სარჩელზე გადასახდელი და ზემო-

აღნიშნული განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 650 ლარის გადახდა.

52. მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 1033,1 (995,7+37,40) ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 1412,52 ლარი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად 995,7 ლარის, ხოლო საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად 1412,52 ლარის, ჯამში 2 408,22 ლარის გადახდა. ამასთან, მოპასუხეს უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში მის მიერ ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 37,40 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ვ. ი-ს (პ/ნ: ...) ვ. გ-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს 2 408,22 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. ვ. ი-ს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს 650 ლარის გადახდა;
6. ვ. გ-ს (პ/ნ: ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2019 წლის 11 თებერვალს სააპელაციო საჩივარზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 37,40 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ნარდობა

საკუთრების გადაცემა დამზადებულ ნაქიმოგაზა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთ

№ას-1401-2022

15 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: მესაკუთრედ ცნობა, უძრავი ნივთის ყადაღისგან გან-
თავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2008 წლის 25 ივლისს, შპს „დ.დ.ო-სსა“ (შემდეგში – პირველი მო-
პასუხე, მენარდე, სანარმო) და ი. ა-ს (შემდეგში – მოსარჩელე, კასატო-
რი ან შემკვეთი) შორის ნარდობის ხელშეკრულება (შემდეგში – ნარ-
დობის ხელშეკრულება, ხელშეკრულება ან სადავო ხელშეკრულება) და-
იდო.

2. ხელშეკრულებით მენარდემ შემკვეთისათვის მრავალსართული-
ანი საცხოვრებელი კომპლექსის მე-14 ბლოკის მე-3 სადარბაზოს მე-7
სართულზე მდებარე 118.19 კვ.მ მშენებარე ბინის (შემდეგში – უძრავი
ნივთი, უძრავი ქონება ან სადავო ბინა) საკუთრებაში გადაცემის ვალ-
დებულება იკისრა, რის სანაცვლოდაც შემკვეთს მენარდისათვის 47
276 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა.

3. შემკვეთმა მენარდეს შეთანხმებული საზღაური გადაუხადა და
2010 წლის 27 ივლისს მხარეთა შორის „უძრავი ქონების სამომავლო სა-
კუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულება (შემდეგში
– მეორე ხელშეკრულება) დაიდო.

4. მეორე ხელშეკრულებით შემკვეთს უძრავ ნივთზე საკუთრების
უფლება შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისთანავე უნდა
წარმოშობოდა. ამავე ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ უძ-
რავ ქონებაზე საჯარო რეესტრში უფლების წინასწარი რეგისტრაცია
განახორციელა და სადავო ბინის მომავალ მესაკუთრედ დარეგისტრირ-
და.

5. მენარდის საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნ-

ველსაყოფად სსიპ შემოსავლების სამსახურის (შემდეგში – მეორე მოპასუხე ან შემოსავლების სამსახური) 2010 წლის 6 დეკემბრის ბრძანებით უძრავ ნივთს ყადაღა დაედო.

6. მენარდის, შემოსავლების სამსახურის, „შპს ე-ისა“ (შემდეგში – მესამე მოპასუხე) და შპს „ნ. ჰ-ის“ (შემდეგში – მეოთხე მოპასუხე) წინააღმდეგ შემკვეთმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლითაც სადავო ბინის მესაკუთრედ ცნობა და უძრავი ქონების ყადაღისგან განთავისუფლება მოითხოვა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე უძრავი ნივთის მესაკუთრედ იქნა ცნობილი და ხსენებული ქონება ყადაღისგან გათავისუფლდა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით შემოსავლების სამსახურმა გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით:

– შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

– პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა;

– სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე გადაწყვეტილების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანი იქნებოდა, თუკი იგი სადავო ბინაზე მისი საკუთრების უფლების არსებობას დაამტკიცებდა. ამ დასკვნის საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – სპეციალური კანონის) 40.1 მუხლზე, 63¹-ე მუხლის პირველ პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 170.1, 172-ე მუხლებზე მიუთითა.

9.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სსკ-ის 629-ე მუხლის (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) შინაარსის გათვალისწინებით შემკვეთსა და მენარდეს შორის ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდა. სადავო ხელშეკრულებით მოსარჩელეს მენარდის მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა, თუმცა სადავო ნივთზე საკუთრება მას არ შეუძენია, შემდეგი გარემოებების

გამო:

9.2.1. სსკ-ის 183.1 მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების შემძენზე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

მოსარჩელეს მენარდისგან სადავო ნივთზე არც საკუთრების უფლება არ მიუღია და არც საჯარო რეესტრში მესაკუთრედ არ დარეგისტრირებულა. ხელშეკრულებებიდან ჩანდა, რომ მენარდეს მოსარჩელისათვის სადავო ნივთი საკუთრებაში არა ხელშეკრულების დადების მომენტში, არამედ „შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისთანავე“ უნდა გადაეცა. ქ.თბილისში, ... მდებარე სახლი კი, რომლის არსებით შემადგენელ ნაწილსაც სადავო ბინა შეადგენდა, ექსპლუატაციაში მიღებული არ ყოფილა, იგი მშენებარე იყო, რაც იმას გულისხმობდა, რომ მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო ჯერ არ შეუსრულებია. გარდა ამისა, საჯარო რეესტრის მონაცემებით უძრავი ქონების მესაკუთრე კვლავ მენარდე იყო, ხოლო მოსარჩელეს მასზე მხოლოდ უფლების წინასწარი რეგისტრაცია ჰქონდა შესრულებული.

9.2.2. სსკ-ის 316.1 მუხლიდან (ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება მოსთხოვოს) გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორს, მხოლოდ, მოვალის და, არა – მესამე პირის მიმართ გააჩნია.

9.2.3. სპეციალური კანონის 12.2 მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია გამორიცხავს გარიგების საფუძველზე ამ ნივთზე რაიმე სხვა უფლების რეგისტრაციას და საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შესაბამისად, უფლების წინასწარი რეგისტრაცია ამ უფლების შეძენას არ ნიშნავს, საჯაროსამართლებრივი მიზნებისათვის იგი კრედიტორის მოთხოვნას ადასტურებს და მას მოვალის არაკეთილსინდისიერი მოქმედებებისგან იცავს.

რაკი საჯარო რეესტრში მოსარჩელე უძრავი ნივთის „მომავალ მესაკუთრედ“ დარეგისტრირდა, ეს იმაზე მიუთითებდა, რომ მან უფლების წინასწარი რეგისტრაცია შეასრულა, რაც არა მოსარჩელის საკუთრების, არამედ მენარდის მიმართ მისი მოთხოვნის უფლებას ადასტურებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე სადავო ნივთის მესაკუთრე არ იყო და სპეციალური კანონის 63¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მენარდე მას სადავო ბინაზე საკუთრებას ვერც გადასცემდა.

10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი მოსარჩელემ შემოიტანა, ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

საკასაციო საჩივარი შემდეგნაირადაა დასაბუთებული:

10.1. ნასყიდობის ხელშეკრულებების ნაცვლად სადავო ხელშეკრულებებს სასამართლო ნარდობის ხელშეკრულებებად მოიხსენიებს, რაც არასწორია. სსკ-ის 505-ე მუხლის მიხედვით, განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია მყიდველს ნივთი ფასის გადახდამდე გადასცეს. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ნაწილ-ნაწილ, დროის განსაზღვრულ შუალედში ხდება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ თანხა გადაიხადა, უძრავ ქონებას დაეუფლა და გარკვეული სარემონტო სამუშაო ჩაატარა, რაც შემოსავლების სამსახურის მიერ უძრავი ნივთის დაყადაღებამდე განხორცილდა.

10.2. იგივე კორპუსში მცხოვრები მეზობლები იგივე საფუძვლით სასამართლოში დავობენ. საცხოვრებელ ბინებზე ისინიც მომავალ მესაკუთრეებად დარეგისტრირდნენ, ხოლო სასამართლომ მათი სარჩელები დააკმაყოფილა და მომავალ მესაკუთრეებად აღიარა. სადავო საკითხზე სასამართლო პრაქტიკაც არსებობს, რაც სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 391-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

2023 წლის 1 მარტის განჩინებით, სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო პალატამ საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა დაადგინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. საკასაციო პალატის მიერ განსახილველი საკითხი შემდეგია: რამდენად კანონიერია მოსარჩელის მოთხოვნა სადავო ბინის მესაკუთრედ ცნობისა და უძრავი ქონების ყადაღისგან განთავისუფლების თაობაზე.

13. სარჩელის კანონიერების გასარკვევად, უწინარესად, უძრავ ნივთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმოშობის საკითხია დასადგენი, ე.ი. განსასაზღვრია, არსებობს თუ არა ამ ნივთის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

14. დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობაა შესაფასებელი.

არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ, მრავალ განჩინებასა თუ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ნასყიდობის ხელშეკრულება მიმართულია უკვე არსებული ქონების გადაცემასთან და, განსხვავებით ნარდობის ხელშეკრულებისაგან, ქონების წარმოება-დამზადებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას არ აწესრიგებს. ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის შედეგი“ (მდრ. იხ. სუსგ №ას-879-2018, 23.07.2019). როგორც აღნიშნულ საქმეებზე საკასაციო პალატამ მიუთითა, „ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება, ამავე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით აეშენებინა და მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა წინასწარ განსაზღვრული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები. აქედან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ხელშეკრულებებს ნარდობის ხელშეკრულების შინაარსი აქვთ“ (მდრ. სუსგ №ას-1162-1091-2012, 7.03.2013).

მოცემულ შემთხვევაში, სადავო ხელშეკრულებების მიხედვით ამკარაა, რომ პირველმა მოპასუხემ უძრავი ნივთის აშენებისა და მოსარჩელისათვის მისი საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება იკისრა, რაც ნარდობის ხელშეკრულების ცნების მომწესრიგებელი სსკ-ის 629.1 მუხლის (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) შინაარსს შეესაბამება.

15. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით სადავო სამართალური ურთიერთობის ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობად შეფასების ნაწილში სააპელაციო სასამართლოსეული მსჯელობა გასაზიარებელია, თუმცა პალატისათვის გასაზიარებელი არაა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქმეზე დამდგარი პროცესუალური შედეგი, კერძოდ, მესაკუთრედ ცნობისა და უძრავი ნივთის ყადაღისგან განთავისუფლების შესახებ შემკვეთის სარჩელის უარყოფა.

15.1.1. რაკი მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდა, შესაბამისად, მესაკუთრედ ცნობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 629.2 მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგების ქვეშ უნდა მოექცეს.

დასახელებული მუხლის პირველი წინადადების შინაარსი ასეთია: თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს

გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე.

განსახილველი საკითხის შეფასებისას საქმეზე დადგენილი შემდეგი გარემოებებია საყურადღებო:

– ნარდობის ხელშეკრულებით მენარდემ შემკვეთისათვის სადავო ბინის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება იკისრა, რის სანაცვლოდაც შემკვეთს მენარდისათვის 47 276 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა.

– შემკვეთმა მენარდეს შეთანხმებული საზღაური გადაუხადა და 2010 წლის 27 ივლისს მხარეთა შორის „უძრავი ქონების სამომავლო საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ მეორე ხელშეკრულება დაიდო.

– მეორე ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთი სადავო ბინის მომავალ მესაკუთრედ დარეგისტრირდა.

– მენარდის საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 6 დეკემბრის ბრძანებით უძრავ ნივთს ყადაღა დაედო.

15.1.2. საკასაციო პალატის განსჯით, შექმნილი ფაქტობრივი მოცემულობა იმის მაუწყებელია, რომ მენარდის მიერ აშენებულ სადავო ბინაზე შემკვეთი საკუთრების უფლების მისთვის გადაცემის მოთხოვნის უფლებით აღიჭურვა, გამომდინარე სსკ-ის 629.2 მუხლის პირველი წინადადების დანაწესიდან – თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე.

კანონის დასახელებული ნორმის შინაარსი მკაფიოდ მიუთითებს, რომ შემკვეთს საკუთრება ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დამზადებულ ნაკეთობაზე გადაეცემა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ხსენებული ნორმით გათვალისწინებული საკუთრების წარმოშობა შესაბამისი ნაკეთობის დამზადებასთანაა დაკავშირებული, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (სადაც სადავო ბინაა განთავსებული) აშენების ვალდებულების შესრულებაში გამოიხატება და მოცემული ნორმის მიზნისათვის საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებას არ უკავშირდება.

ამრიგად, მესაკუთრედ ცნობის ნაწილში სარჩელი სამართლებრივად ვარგისია და დაკმაყოფილებას ექვემდებარება.

16. რაკი სადავო ბინაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება დადგინდა, მენარდის საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ყადაღისგან აღნიშნული ბინის განთავსულების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველიც გამოიკვეთა, გამომდინარე სსკ-ის 170.1 (მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და

სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას), 172-ე (მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით) მუხლებიდან, ასევე, სპეციალური კანონის 32.1 მუხლისა (თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ) და 63-ე მუხლის პირველი პუნქტის (უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვნის, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვის გამოცხადებას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის, ხოლო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებზე ყადაღის დადება – ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის საფუძველზე. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადაღის დადების ან გაუქმების აქტი/მიმართვა დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს) დანაწესებიდან.

17. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ

გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხის შეფასებისას შემდეგი გარემოებებია გასათვალისწინებელი:

პირველმა მოპასუხემ და მეოთხე მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი ცნეს; რაც შეეხება მესამე მოპასუხეს, ეს უკანასკნელი სასამართლო სხდომაზე სარჩელს არ დაეთანხმა, თუმცა არც შესაგებელი არ წარუდგენია და არც დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე არ მიუთითებია; პირველი ინსტანციის სასამართლოს 2019 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა ლ. ს.-ს მიერ გადახდილი 3000 ლარიდან 2 900 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟი, რადგან პირველ მოთხოვნასთან მიმართებით მოპასუხემ სარჩელი ცნო; მეორე სასარჩელო მოთხოვნაზე, როგორც არაქონებრივ მოთხოვნაზე, მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟის სახით 100 ლარით გადაიხადა, რასაც ემატება ამ უკანასკნელის მიერ სარჩელის უბრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე გადახდილი 50 ლარი.

შექმნილ ფაქტობრივ მოცემულობაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ მეორე მოპასუხეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ჯამურად 6 150 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 53-ე, 264.3, 257.1, 253-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ი. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
 - 3.1. ი. ა-ი ცნობილ იქნეს თბილისში, ... მდებარე №78-ე ბინის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...) მესაკუთრედ;
 - 3.2. თბილისში, ... მდებარე №78-ე ბინა (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...) გათავისუფლდეს ყადაღისგან (მომართვა №38268, 24.052013 წელი; სააღსრულებო წარმოება №13076185, 12.062017 წელი);
4. სსიპ შემოსავლების სამსახურს ი. ა-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ჯამურად 6 150 ლარი.
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთო

№ას-870-2019

29 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, პირგასამტეხლოს დაკისრება, ზიანის ანაზღაურება (სარჩელში), პირგასამტეხლოს დაკისრება, ზიანის ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „მ. კ-ნმა“ (შემდგომ – თავდაპირველი მოსარჩელე, შეგებებული მოპასუხე, მენარდე, აპელანტი, პირველი კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „კ.მ.გ-ის“ (შემდგომ – მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე ან შეგებებული სარჩელის ავტორი, შემკვეთი, მეორე კასატორი) მიმართ და მოითხოვა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს ორი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 81 597 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო 2016 წლის 10 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 8.5 დოლარი და 2016 წლის 13 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 40.5 აშშ დოლარი, ასევე – ზიანის ასანაზღაურებლად 2016 წლის 13 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 22 აშშ დოლარი.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელის მითითებით, 2015 წლის 9 ოქტომბერს, მხარეებს შორის გაფორმდა აღმასით (სვეტური) ბურღვის სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მან შეასრულა 74 070 აშშ დოლარის სამუშაოები, საიდანაც ნაწილი – 60 000 აშშ დოლარი მოპასუხემ გადაიხადა და ასანაზღაურებელი დარჩა 14 070 აშშ დოლარი. ამასთან, იმავე სახის ხელშეკრულება მხარეებს შორის 2016 წლის 20 ივლისს გაფორმდა, რომლის საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ღირებულების ნაწილი, 35 910 აშშ დოლარი, მოპასუხემ გადაიხადა, 67 527 აშშ დოლარი კი, გადასახდელი დარჩა. ორივე ხელშეკრულებით გათვალის-

წინებული შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებელი ღირებულება ჯამურად 81 597 აშშ დოლარია.

3. მოსარჩელის განმარტებით, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იყო, რომ დამკვეთი მენარდეს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას გადაუხდიდა მიღება-ჩაბარების აქტების შედგენიდან სამი თვის ვადის განმავლობაში. 2015 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი 2015 წლის 9 ნოემბერს გაფორმდა, მოპასუხემ სამი თვის ვადის მიხედვით – 2016 წლის 9 თებერვლამდე არ შეასრულა ვალდებულება – არ გადაიხადა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე 14 070 დოლარი, რომლის 0.06% (ორივე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პირგასამტეხლო – ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და ვადების დარღვევისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,06 პროცენტი) 8.5 აშშ დოლარია, შესაბამისად, მას ყოველდღიურად ეს თანხა უნდა დაეკისროს 2016 წლის 10 თებერვლიდან გადანეყვებილების აღსრულებამდე. ასევე, მოპასუხემ 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება არ შეასრულა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (2016 წლის 19 სექტემბრიდან) სამი თვის ვადის დაცვით და 2016 წლის 19 დეკემბრამდე არ გადაიხადა 67 527 აშშ დოლარი, რომლის 0.06% არის 40.5 დოლარი, რაც მას 2016 წლის დეკემბრიდან გადანეყვებილების აღსრულებამდე უნდა დაეკისროს.

4. მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების დადგენილი ვადის მიხედვით შეუსრულებლობით მიადგა ზიანი, კერძოდ, 81 597 აშშ დოლარიდან მიიღებდა იმდენ შემოსავალს, რამდენიც დადგენილია სადავო პერიოდში საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ითხოვს 2016 წლის დეკემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 81 597 დოლარის 10 პროცენტს, რაც 22 დოლარია.

მოპასუხის შესაგებელი

5. მოპასუხემ წარდგენილი წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არ აღიარებს 2015 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ არსებულ დავალიანებას. რაც შეეხება 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებას, მოპასუხის მითითებით, მოსარჩელის უფლებამოსილი პირის მიერ აღიარებულია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით გაბურღულია 467 გრძივი მეტრი, ხოლო 300 გრძივმა მეტრმა ვერ დააკმაყოფილა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და გამოუსადეგარი იყო დამკვეთისთვის, აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავალიანება შეადგენდა 27 634.75 აშშ დოლარს, რაზეც მოსარჩელეს ინვოისი უნდა გამოეგზავნა, მაგრამ, მიუხედავად მოპასუხის მზაობისა, ინ-

გოისის მიღების შემდეგ გადაეხადა თანხა, არაფერი მიუღიათ.

შეგებებული სარჩელი

6. შეგებებული მოსარჩელე დაზუსტების შემდეგ ითხოვს, შეგებებული სარჩელის მოპასუხეს შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს ხელშეკრულების ვადის დარღვევისათვის პირგასამტეხლო – 1065.61 აშშ დოლარი, ასევე, მიყენებული ზიანი – 6106 აშშ დოლარი (შეგებებული მოსარჩელის მითითებით, შეგებებული მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო №11 ჭაბურღილიდან ამოღებული კერნი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, გამოუსადეგარი იყო და ვერ მოხერხდა მისი გამოკვლევა, ამ ჭაბურღილზეც იძულებული გახდა, მოწვეული ექსპერტის მომსახურების თანხა – 6106 აშშ დოლარი გადაეხადა). ამასთან, გაიქვითოს მის მიერ აღიარებული 41694.75 აშშ დოლარი და მის მიერ მოთხოვნილი 7171.61 აშშ დოლარი. შეგებებულ სარჩელში მოსარჩელე მიუთითებს, რომ სარჩელს ცნობს 41694.75 აშშ დოლარის ნაწილში (2015 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 14070 აშშ დოლარს და 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 27624.75 აშშ დოლარს).

7. შეგებებული სარჩელის ავტორი საკუთარი მოთხოვნის დასადასტურებლად ასახელებს მოპასუხის მიერ სამუშაოების დაწყების დაგვიანებას, ასევე, ტექნიკური გაუმართაობის გამო მოცდენას, რაც მისი მითითებით, პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველია. ამასთან, მიუთითებს იმ ზიანზე რაც მენარდემ ანგარიშფაქტურების წარუდგენლობით მიაყენა (ვერ ჩაითვალა დამატებითი ღირებულების გადასახადი).

8. შეგებებული სარჩელის ავტორი ხელშეკრულების 4.6 მუხლზე (დამკვეთი შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების გადაიხდის სამ ეტაპად, თანაბრად, სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამუშაოს მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტის ორმხრივად ხელმოწერისა და შესაბამისი ინვოისის მიღებიდან 3 კალენდარული თვის განმავლობაში), მითითებით ასევე განმარტავს, რომ არ მიუღიათ ინვოისი, რომლის საფუძველზეც შესრულებული სამუშაოები უნდა ანაზღაურდეს, შესაბამისად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია მისთვის რაიმე სახის პირგასამტეხლოს დარიცხვა, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამთვიანი ვადის ათვლა სწორედ ინვოისის მიღების დღიდან იწყება.

9. რაც შეეხება 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნას, შეგებებული მოსარჩელე არ ეთანხმება მოთხოვნას ხელშეკრულების პირობების 2.7 და 2.15 პუნქტების საფუძველზე და მიუთითებს, მართალია, №11 ჭაბურღილი გაიბურღა საპროექტო სიღრმემდე 300 გრძივი მეტრით, მაგრამ შემსრულებმა კერნი ამოიღო 243

გრძივი მეტრით, რაც ადასტურებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას, რადგან ასეთ კონკრეტულ პირობებში კერნის გამოსავალი შეადგენს 81%-ს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების 4.11 მუხლიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, არ გადაიხადოს ასეთი სამუშაოს ღირებულება.

10. შეგებებული სარჩელის ავტორის მითითებით, 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე მენარდის მიერ შესრულებულმა სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 63534.75 აშშ დოლარი, საიდანაც ავანსის სახით გადარიცხულ იქნა 35 910 აშშ დოლარი, რაც უნდა გამოაკლდეს ამ თანხას და დარჩება 27 624.75 აშშ დოლარი. ამის შემდგომ კორექტირებული მიღება-ჩაბარების აქტი და ინვოისი მათ არ მიუღიათ, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია პირგასამტეხლოს დარიცხვის მოთხოვნაც.

მოსარჩელის შესაგებელი შეგებებულ სარჩელზე

11. შეგებებულმა მოპასუხემ (თავდაპირველმა მოსარჩელემ) წერილობით წარდგენილი შესაგებლით, მის წინააღმდეგ აღძრული შეგებებული სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

12. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით, არც თავდაპირველი და არც შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება თავდაპირველმა მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით – თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით, აპელანტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს 2015 წლის 5 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის სასარგებლოდ 14 070 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა, ასევე, 2015 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – პირგასამტეხლო 14 070 აშშ დოლარის 0.06%-ი ყოველ ვადაგადაცდილებულ დღეზე 2016 წლის 10 თებერვლიდან გადაწყვეტილების მიღებამდე (2019 წლის 10 აპრილი); სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; გადაწყვე-

ტილება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

15. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 629-ე, 429-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) მე-4, 102-ე და 105-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ ნარდობის ხელშეკრულების ნორმების (სსკ-ის 629-ე-656-ე მუხლები) არცერთი დანაწესით კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის შესაძლებლობას მხოლოდ ინვოისის შედგენის გზით. მართალია, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდაზე მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერისა და შესაბამისი ინვოისის წარდგენის შემთხვევაში, თუმცა, ინვოისის წარუდგენლობა თუ სხვა მტკიცებულებით უტყუარად დადასტურდება ვალდებულების შესრულების ფაქტი, არ შეიძლება გახდეს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საყურადღებოა 2015 წლის 9 ნოემბრით დათარიღებული, ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებული სამუშაო შესრულებულია. რაც შეეხება თანხის გადახდას, პალატის მითითებით, მოპასუხეს არ წარმოუდგენია თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება და კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, არც აღნიშნული ვალდებულების არარსებობის ან/და გათავისუფლების შესახებ მიუთითებია.

16. 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესასრულებელ ვალდებულებასთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ საქმეში წარმოდგენილი ბურღვის ჟურნალი ადასტურებს სამუშაოს შესრულების ფაქტს. სასამართლოს მითითებით დადგენილია, რომ ჟურნალი ხელმოწერილია მხოლოდ მენარდის წარმომადგენლის მიერ. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ჟურნალზე ხელმომწერი პირის სტატუსზე და მიუთითა, რომ იგი წარმოადგენს მოსარჩელესთან დაკავშირებულ პირს, რაც სადავოობის პირობებში ექქვეშ აყენებს მასში მითითებული მონაცემის უტყუარობასა და დოკუმენტის მიუკერძოებელ ხასიათს. ამგვარი ქმედება არ გამომდინარეობს ობიექტურობის პოზიციიდან.

17. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 417-ე, 418-ე და 420-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება, შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. ზემოდასახელებული დასაბუთების გათვალისწინებით, დადგენილია რა მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი

და პირგასამტეხლოს თაობაზე მხარეთა შეთანხმება, აღნიშნული უფლებას ანიჭებს მოსარჩელეს, მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა, რისი გათვალისწინებითაც, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს 2015 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა 14 070 აშშ დოლარის 0.06% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2016 წლის 10 თებერვლიდან გადაწყვეტილების მიღებამდე (2019 წლის 10 აპრილი).

I კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

18. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

19. კასატორის მითითებით, 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთის მიერ გადასახდელი თანხა 103437.9 აშშ დოლარია. 2016 წლის 19 სექტემბერს მოსარჩელემ მოპასუხეს წარუდგინა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის ხელმოწერაზეც მოპასუხემ უარი განაცხადა. მოპასუხემ აღიარა სამუშაოების შესრულება ორ – №9 და №10 ქაბურღილზე, რომელთა ჯამი 27 634.75 აშშ დოლარია, ხოლო ბოლო №11 ქაბურღილზე ასანაზღაურებელი თანხის გადახდაზე უარის თქმის მოტივად მოპასუხემ დაასახელა ის გარემოება, რომ 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულების 2.7 მუხლის თანახმად, ბურღვის შედეგად ამოღებული კერნის გამოსავალი უნდა ყოფილიყო 90%, ხოლო, თუ გამოსავალი იქნებოდა 85%-ზე ნაკლები, დამკვეთს უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებაზე. მოსარჩელემ (კასატორმა) უზრუნველყო 86%-იანი კერნის გამოსავალი, რაც დასტურდება ბურღვის ჟურნალის ჩანაწერებით. მოპასუხის მხრიდან ანგარიშსწორებაზე უარის თქმის მოტივი არაა კერნის არასაკმარისი გამოსავალი, არამედ კერნიდან მიღებული შედეგია, ანუ კერნის სინჯისას, არ აღმოჩნდა სასარგებლო ნივთიერებები და ამის გამო უარს აცხადებს ანგარიშსწორებაზე. მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა არა კერნში სასარგებლო ნივთიერებების გარანტირებულად აღმოჩენა, არამედ მისი ამოღება, რაც შეასრულა კიდეც.

20. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომლის თანახმად, ბურღვის ჟურნალი და მიღება-ჩაბარების აქტი ცალმხრივად მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ არის ხელმოწერილი, მასზე არ არის მოპასუხის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა, დაუსაბუთებელია, ვინაიდან სასამართლოს წარედგინა მის ხელთ არსებული მტკიცებულება – ბურღვის ჟურნალი, რომელიც ივსება უშუალოდ ობიექტზე. ამასთან, მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ იშუ-

ამდგომლა, მოწმის სახით დაკითხულიყო ვ. კ-ი, ვინაიდან ბურღვით სამუშაოებს ასრულებდა სპეციალური განათლების მქონე ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ეს პირი. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ წაართვა მხარეს ერთადერთი საშუალება, მოეპოვებინა საქმის გადანყვეტისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება. ამასთან, სასამართლოს წარედგინა გეოლოგიური დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ იმ მიზნის მიღწევა, რაც გულისხმობს კერნის სინჯს, შესაძლებელია არათუ 81%-იანი გამოსავლის, არამედ 70%-იანი გამოსავლის პირობებშიც, რაც მიღებული იყო საბჭოთა პერიოდიდან. ამ მსჯელობის სისწორეს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მოპასუხესთან დადებულ 2014 წლის 11 ნოემბრის ხელშეკრულებაში და 2015 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულებაში მინიმალურ გამოსავლად გათვალისწინებულია 80%.

21. კასატორის მითითებით, მოპასუხემ (მონინალმდეგე მხარემ) როგორც შეგებებულ სარჩელში, საქმეში წარმოდგენილ მხარეთა მიმონერაში, ასევე, სასამართლო სხდომაზეც დაადასტურა დავალიანების არსებობა 41 694 აშშ დოლარი, საიდანაც 27 634.75 აშშ დოლარი არის 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რომლის ოდენობაც და მოცულობაც მხარეებს შორის სადავო არ იყო. ამის მიუხედავად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში. ამასთან, კასატორისთვის ბუნდოვანია, რას ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე გადანყვეტილების მიღებამდე – 2019 წლის 10 აპრილამდე. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა პირგასამტეხლოს დაკისრება 2016 წლის 10 თებერვლიდან ვალდებულების შესრულებამდე, თუმცა რატომ მიიჩნია სასამართლომ პირგასამტეხლოს – ვალდებულების შესრულების თარიღის დასასრულად 2019 წლის 10 აპრილი, გაუგებარი და დაუსაბუთებელია.

II კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

22. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება მოპასუხემაც საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

23. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ სადავოდ არ ხდის 2015 წლის 9 ოქტომბრის, ხელშეკრულების ფარგლებში მენარდის მიერ სამუშაოთა შესრულების ფაქტს, მაგრამ მხარეები მკაფიოდ და არაორაზროვნად შეთანხმდნენ, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას შემკვეთი გადაიხდიდა მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ მენარდის მხრიდან შესაბამისი ინვოისის წარმოდგენიდან სამი თვის ვადის მიხედვით. უდავოა, რომ ინვოისი მენარდეს არ გამოუწერია და არ წარმოუდგენია.

24. მხარეთა მიერ დადგენილი ინვოისის წარდგენიდან 3-თვიანი გა-
დახდევენების ვადა ის პერიოდია, რომლის განმავლობაში შემკვეთი
უფლებამოსილია, მის მიერ ნაკისრი ვალდებულება ისე შეასრულოს,
რომ არ დაირღვეს ხელშეკრულების პირობები. 3-თვიანი ვადის განსაზ-
ღვრა იმ გარემოებამ განაპირობა, რომ შემკვეთი ვალდებულია, მენარ-
დის მიერ გამოწერილი ინვოისის წარუდგინოს ინვესტორს, რაც ამ უკა-
ნასკნელის მხრიდან შემკვეთის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის
საფუძველია. ამის შემდგომ გადარიცხავს შემკვეთი მენარდის ანგა-
რიშზე შესრულებული სამუშაოების ღირებულებას. სწორედ ამის გამო
შეთანხმდა მხარეთა შორის ანგარიშსწორების დოკუმენტის – ინვოი-
სის გამოწერა. გადახდის მავალდებულებებელი პირობა კი წარმოიშობა
ინვოისის გამოწერიდან 3 თვის ვადის მიხედვით, შესაბამისად, ამჟა-
მინდელი ვითარებით გადახდევენების ვადა ჯერ არ დამდგარა.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან 2015
წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულების 4.6. მუხლის მოთხოვნათა სანინა-
ალმდეგოდ, მენარდის მხრიდან ამჟამადაც არ არის გამოწერილი შესა-
ბამისი ინვოისი, ანაზღაურების მავალდებულებელი პირობა არ დამ-
დგარა, შესაბამისად, გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გა-
დანყვეტილებების მიღების გზით, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარ-
ჩელის დაკმაყოფილებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი მხარეთა საკა-
საციო საჩივრების საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული გადანყვე-
ტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასა-
ციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოსარჩელის საკასა-
ციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოება-
თა გამო:

27. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სა-
სამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოე-
ბები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენე-
ბული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).
დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ
დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს
მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გა-
რემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურსამართლებრივი ნორ-
მის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

28. მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა შესრულებული სამუ-
შაოების ღირებულების ანაზღაურების ნაწილში სსკ-ის 629.1 მუხლი-
დან (წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური), ხოლო პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სსკ-ის 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება, აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლების შინაარსიდან გამომდინარეობს. ამ სამართლებრივი შედეგის მისაღებად შესრულებული უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: ა) მხარეთა შორის დადებული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულება; ბ) მოსარჩელეს უნდა გაენია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება; გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ანაზღაურებული შესრულებული სამუშაო.

29. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2015 წლის 9 ოქტომბერსა და 2016 წლის 20 ივლისს, მხარეებს შორის დაიდო აღმასით (სვეტური) ბურღვის სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება. პირველი ხელშეკრულების ფარგლებში უდავოა, რომ მოსარჩელემ 74 070 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაო შეასრულა, საიდანაც მოპასუხემ ნაწილი – 60 000 აშშ დოლარი გადაიხადა და გადასახდელი აქვს 14 070 დოლარი, რომლის გადახდასაც მოპასუხე სადავოდ ხდის შემდეგი საფუძვლით, იმისათვის, რომ სამუშაოების საფასური ანაზღაურებულიყო, გათვალისწინდა მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერის გარდა შესაბამისი ინვოისის წარდგენა, რაც მენარდეს შემკვეთისათვის არ წარუდგენია. რაც შეეხება 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 67 527 აშშ დოლარის სამუშაოს ანაზღაურებას, მოპასუხე სადავოდ არ ხდის ამ თანხიდან 27 634.75 აშშ დოლარის სამუშაოებს და იმავე საფუძვლით (ინვოისის წარუდგენლობით) არ ეთანხმებოდა სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო დანარჩენ ნაწილში მიუთითებს ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებაზე.

30. საკასაციო პალატა, უპირველესად, შესრულებული სამუშაოების იმ საფუძვლით ანაზღაურებაზე უარზე იმსჯელებს, რომელიც ინვოისის წარუდგენლობას ეხება და მიუთითებს, რომ უდავოა მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესრულებისა და მოპასუხის მიერ მისი მიღების ფაქტი, რაც მენარდეს უფლებას აძლევს, სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეთანხმებული საზღაურის გადახდა მოითხოვოს. პალატის მითითებით, მართალია, სამუშაოს ღირებულებისა და ანგარიშსწორების პირობებთან დაკავშირებით მხარეთა შე-

თანხმების თანახმად, დამკვეთი შესრულებული სამუშაოების ღირებულებას გადაიხდიდა სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამუშაოს მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტის ორმხრივად ხელმოწერისა და შესაბამისი ინვოისის მიღებიდან 3 კალენდარული თვის განმავლობაში, თუმცა ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ შემკვეთს წარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯეროვნად შესრულების გამო გადასახდელი აქვს თანხა, მით უფრო, მენარდის წარმომადგენლების 2016 წლის 11 ოქტომბრის წერილით შემკვეთს ეცნობა 2015 წლის 9 ოქტომბრისა და 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებისა (2015 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარჩენილი დავალიანების – 14 070 აშშ დოლარისა და 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 103 437.90 აშშ დოლარი) და კონკრეტული თანხების აუნაზღაურებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, ასევე, განესაზღვრა 10 დღის ვადა მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისათვის (წერილის ჩაბარება შემკვეთს სადავოდ არ გაუხდია), ანუ მანარდემ ფაქტობრივად შემკვეთს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებისათვის მოთხოვნა ამ წერილით წარუდგინა, თუმცა, ამის მიუხედავად, შემკვეთს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება არ აუნაზღაურებია.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატის მითითებით, მართალია, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ ინვოისის მიღებაზე, მაგრამ მისი წარუდგენლობა, მაშინ, როდესაც უტყუარად დასტურდება სამუშაოების შესრულება და მენარდის წერილობითი მოთხოვნა ვალდებულების შესრულებაზე (კონკრეტულ თანხებზე მითითებითა და თანხის გადახდის ვადის განსაზღვრით), არ შეიძლება მენარდის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს დაედოს საფუძველად, შესაბამისად, ვინაიდან დადგენილია მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ფაქტი სსკ-ის 629-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხე ვალდებულია, აუნაზღაუროს შემსრულებელს სამუშაოს ღირებულება 14 070 დოლარი და 27 634.75 აშშ დოლარი.

32. რაც შეეხება მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას (მოსარჩელე აღნიშნულს აფუძნებს ხელშეკრულების 4.10 (2015 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულება) და 4.13 პუნქტს (2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულება), რომლის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ოდენობის (ღირებულების) 0.06%-ის ოდენობით) უდავოა, 14 070 დოლარისა და 27 634.75 აშშ დოლარი ნაწილში მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის არ-

სებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა. ამასთანავე, რაც შეეხება დროის მონაკვეთს, თუ როდიდან უნდა დაერიცხოს მოპასუხეს პირგასამტეხლო, პალატის განსჯით, ვინაიდან 2016 წლის 11 ოქტომბრის წერილით მოპასუხეს წარედგინა მოთხოვნა, ამასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო, რომ დამკვეთი მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებას იხდიდა სამუშაოების დასრულების შემდეგ სამუშაოს მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტის ორმხრივი ხელმოწერისა და შესაბამისი ინვოისის მიღებიდან 3 კალენდარული თვის ვადის დაცვით, პირგასამტეხლოს დარიცხვა სწორედ 2016 წლის 11 ოქტომბრიდან, 3 თვის შემდეგ – 2017 წლის 12 იანვრიდან უნდა დაინწყოს.

33. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 420-ე მუხლის მითითებასა და პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრებაზე (2015 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე) გადანყევტილების მიღებამდე (2019 წლის 10 აპრილამდე) და ამ ნაწილში მიუთითებს მოპასუხის მიერ შეთანხმებულ პირგასამტეხლოს ოდენობის შესახებ შესაგებლით შეუდავებლობაზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლო მიერ მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს გადანყევტილების მიღებამდე დაკისრების მართებულობა გაზიარებული ვერ იქნება.

34. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ, მართალია, სსკ-ის 420-ე მუხლი სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, დაცული იყოს შინაარსობრივი ბალანსი, ანუ სამართლიანი ბალანსი მხარეთა შორის, თუმცა სასამართლომ მხარეთა თანასწორობა მისთვის კანონით დაწესებული ჩარჩოს ფარგლებში უნდა დაიცვას. როგორც საკასაციო სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში განმარტავს, სამოქალაქო საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული (იხ. იხ.: სუსგ საქმე №ას-1033-2018, 30.10.2018წ. პ.23; საქმე №ას-851-817-2016, 04.11.2016წ., პ.17). პირგასამტეხლოს შემცირებაზე უფლებამოსილი სუბიექტი – სასამართლო, პირგასამტეხლოს მართლზომიერებისა და ლეგიტიმურობის შეფასებას იწყებს მხოლოდ მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის ფარგლებში პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ მხარე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას არ მოითხოვს ან მოითხოვს სამართალწარმოების იმ ეტაპზე, როდესაც ახალი მოთხოვნის წარდგენა დაუშვებელია, სასამართლო თავისი ინიციატივით, შესაბამისი პროცესუალურად ნამდვილი შეცდომების

უფლების გარეშე, პირგასამტეხლოს ვერ შეამცირებს, თუნდაც იგი შეუსაბამოდ მაღალი იყოს. უფრო მეტიც, მხარემ უნდა ამტკიცოს, თუ რატომ არის პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი. ამდენად, პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის თაობაზე წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნისას მოპასუხის მიერ შესაგებლით მისი ოდენობის შეუდავებლობისას, შესაბამისი წინაპირობების დამტკიცებისას, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს სრულად დაკისრებას იწვევს, თუნდაც ის იყოს შეუსაბამოდ მაღალი, ვინაიდან შეთანხმებული პირგასამტეხლოს „შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ“ მიჩნევას, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეცილება და მტკიცება სჭირდება (იხ. ქ. მესხიშვილი, „პირგასამტეხლო, თეორიული ასპექტები“, „სასამართლო პრაქტიკა“, ჟურნალი „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III გამოცემა, 2014, გვ. 23). პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოთხოვნის დაყენებასთან ერთად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რას ეფუძნება ასეთი მოთხოვნა, ანუ მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების თაობაზე, ეკისრება ვალდებულ პირს (მოვალეს) (იხ. სუსგ №ას-888-2020, 10.12.2020წ.).

35. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე.

36. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პალატა მიუთითებს, რომ მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა გაგრძელდეს ვალდებულების შესრულებამდე.

37. საკასაციო პალატა 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 27 634.75 აშშ დოლარზე ზევით შემკვეთისათვის თანხის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულების 2.7. და 2.15. პუნქტებზე (მენარდე ვალდებული იყო, უზრუნველყო კერნის მინიმუმ 90%-ის ამოღება. ამასთან, ხელშეკრულების თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა გეოლოგიური სიტუაცია უარყოფით გავლენას ახდენს კერნის გამოსავალზე და ეს გარემოება დაადასტურა შემსრულებელმა მოწვეული ექსპერტების დასკვნით და აღიარებულია შემკვეთის წარმომადგენლის მიერ, დასაშვებია კერნის გამოსავალი იყოს 90%-ზე ნაკლები, მაგრამ არანაკლებ 85%-ისა. აღნიშნული გარემოება დაფიქსირებული და ხელმოწერილი უნდა იყოს ბურღვის ჟურნალში ორივე მხარის წარმომადგენლის მიერ და გაფორმდეს შესაბამისი აქტით. ყველა სხვა

შემთხვევაში გაბურღული მეტრაჟი არ მიიღება და დამკვეთი არ აანაზღაურებს) მითითებით განმარტავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება №11 ჭაბურღილთან დაკავშირებით იმდენი კერნის ამოღება, რამდენიც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, კერძოდ, არ დასტურდება, როგორც 86%-იანი კერნის გამოსავალი, ასევე ის გარემოება, რომ გეოლოგიური სიტუაცია უარყოფით გავლენას ახდენდა კერნის გამოსავალზე და ეს გარემოება დადასტურდა მოწვეული ექსპერტების დასკვნით და აღიარებულია შემკვეთის წარმომადგენლის მიერ. როგორც წარმოდგენილი ხელშეკრულებით დგინდება აღნიშნული გარემოება დაფიქსირებული და ხელმოწერილი უნდა იყოს ბურღვის ჟურნალში ორივე მხარის წარმომადგენლის მიერ და გაფორმდეს შესაბამისი აქტით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ ვლინდება. მხოლოდ მენარდის წარმომადგენლის ჟურნალში ხელმოწერა კი, იმას, რომ კერნის გამოსავალი შეესაბამებოდა მხარეთა შორის შეთანხმებულ ოდენობას ვერ დაადასტურებს, ისევე როგორც, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სადავო გარემოებას ვერ დაადასტურებდა მოსარჩელის შუამდგომლობით დასაკითხი პირის ჩვენება. რაც შეეხება პირველი კასატორის იმ პრეტენზიას, რომლის თანახმად, სასამართლოს წარედგინა გეოლოგიური დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ იმ მიზნის მიღწევა, რაც გულისხმობს კერნის სინჯს, შესაძლებელია არათუ 81%-იანი გამოსავლის, არამედ 70%-იანი გამოსავლის პირობებშიც, რაც მიღებული იყო საბჭოთა პერიოდიდან და ამ მსჯელობის სისწორეს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მოპასუხესთან დადებულ 2014 წლის 11 ნოემბრის ხელშეკრულებაში და 2015 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულებაში მინიმალურ გამოსავლად გათვალისწინებულია 80%, დაუსაბუთებელია ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, რომლითაც ზუსტად განისაზღვრა კერნის გამოსავლის ოდენობა, შესაბამისად, პალატის განსჯით, მენარდემ №11 ჭაბურღილთან დაკავშირებით, არ შეასრულა მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობა – ამოღებული კერნის გამოსავალი არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის, შესაბამისად, შემკვეთს ამ ნაწილში სარჩელით მოთხოვნილი საზღაურის გადახდის ვალდებულება არ აქვს ამავე ხელშეკრულების 4.11 პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვით თუ კერნის გამოსავალი არ იქნება მხარეთა მიერ შეთანხმებული ოდენობის მინიმუმი მაინც შემკვეთი უფლებამოსილია, არ გადაიხადოს ასეთი სამუშაოს ღირებულება.

38. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების

საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი კი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხეს 14 070 აშშ დოლარისა და 27 634.75 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს, ასევე, მოპასუხეს, 2015 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მენარდის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა 14 070 აშშ დოლარის 0.06% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2017 წლის 12 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – პირგასამტეხლო – 27 634.75 აშშ დოლარის 0.06% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2017 წლის 12 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

39. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 6651 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ – 4704 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. შპს „კ.მ.გ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. შპს „მ. კ-ნის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება;
4. შპს „მ. კ-ნის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
5. შპს „კ.მ.გ-ს“ 14 070 აშშ დოლარისა და 27 634.75 აშშ დოლარის გადახდა დაეკისროს შპს „მ. კ-ნის“ სასარგებლოდ;
6. შპს „კ.მ.გ-ს“, 2015 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „მ. კ-ნის“ სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლო – 14 070 აშშ დოლარის 0.06% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2017 წლის 12 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;
7. შპს „კ.მ.გ-ს“, 2016 წლის 20 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „მ. კ-ნის“ სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლო – 27 634.75 აშშ დოლარის 0.06% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2017 წლის 12 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;
8. შპს „კ.მ.გ-ს“ შპს „მ. კ-ნის“ სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის, 6651 ლარის, გადახდა;
9. შპს „კ.მ.გ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის, 4704 ლარის, გადახდა;
10. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ხელშეკრულების მოშლა მენარდის ინიციატივით

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-165-2022

30 მაისი 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. ქორიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ძიმისტარაშვილი,
ა. ძაბუნაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შ.პ.ს. „გ“-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – შ.პ.ს. „... ე. კ“-ს მიმართ, ავანსის სახით გადახდილი 5000 ლარის და ზიანის – 24 894 ლარის დაკისრების შესახებ.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით – სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – 5000 ლარის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 06 დეკემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, შემდეგ ფაქტობრივსამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით:

5.1. მოსარჩელესა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის 2017 წლის 25 მაისს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ფშაველი-აბანო-ომალის საავტომობილო გზის 56-ე კილომეტრის შესაკეთებლად. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 14 აგვისტოს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა სამუშაო, მათ შორის – ფერდობის განმენდა შეკიდული ნაშრევებისა და ქვებისაგან.

5.2. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 6.1 მუხლის თანახმად, მხა-

რეები თავისუფლდებოდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებული იქნებოდა, დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდა მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ.

5.3. მხარეთა შორის პირველადი კომუნიკაცია და შესასრულებელ სამუშაოებზე შეთანხმება შედგა 2017 წლის მაისში, კერძოდ, მითითებულ დროს მოსარჩელისა და მოპასუხის წარმომადგენლებმა ხელშეკრულების არსებითი პირობების შეთანხმების მიზნით შეისწავლეს და დაათვალიერეს ფშაველი აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კმ-ში არსებული მდგომარეობა, რა დროსაც, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ზეპირი მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა მიმწოდებლის მიერ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კმ-ში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო დროებითი ღონისძიებებისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ კი, 1110 კვ.მ საფარიდან მოძრავი ქვების მოშორება. შესასრულებელი სამუშაოების სრული ღირებულება განისაზღვრა 18 000 ლარით.

5.4. როგორც მოპასუხის, ისე – მოსარჩელე მხარის მონმეთა ჩვენებებით დადასტურდა, რომ მხარეთა მიერ შესრულებელი სამუშაოების მოცულობა და სირთულე შეფასდა მაისში. მოსარჩელე მხარის მონმემ/სამუშაოთა მწარმოებელმა – გ. ნ-მა დაადასტურა ადგილზე ერთობლივი გასვლა.

5.5. მოსარჩელემ 2017 წლის ივნისში ადგილობრივი მცხოვრებლები-საგან შემდგარი ჯგუფის დახმარებით განმინდა ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კმ-ში არსებული დამენყრილი ფერდობის არასაიმედო შეკიდული ნაშრევეები და ქვები, საერთო ფართობით – 820 კვ.მ. ადგილობრივი მცხოვრებლების მხრიდან სათანადო ცოდნისა და აღჭურვილობის არქონის პირობებში, გაიმინდა ფერდობის მხოლოდ ხილული და ხელმისაწვდომი ნაწილი (მუშაობდნენ მხოლოდ ლომებითა და წერაქვებით).

5.6. მოსარჩელემ 2017 წლის 27 ივლისს მოპასუხეს ანგარიშზე გადაურიცხა 5000 ლარი, რომელიც წარმოადგენდა ფშაველი-აბანო-ომალოს ს/გზის 56-ე კმ-ში ფერდობებიდან ნაშრევეებისა და ქვებისაგან განმენ-

დითი სამუშაოების ავანსს.

5.7. ფშაველი-აბანო-ომალოს ს/გზის 56-ე კმ-ში ფერდობებიდან ნაშრევებისა და ქვებისაგან განმენდითი სამუშაოების განხორციელების მიზნით, მოპასუხე კომპანიის მეკლდეურები ადგილზე ჩავიდნენ 8 აგვისტოს – დათვალიერეს ტერიტორია და დაბანაკდნენ, 9 აგვისტოს ავიდნენ ფერდობზე, ხოლო 10 აგვისტოს – ფერდობზე აუსვლელად დატოვეს სამუშაო ობიექტი.

5.8. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, წინამდებარე სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მენარდისათვის ავანსის სახით გადახდილი თანხის – 5000 ლარის დაკისრება იმ საფუძვლით, რომ მოპასუხეს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო აგვისტოში განხორციელებული სამუშაოების მიმართ შემკვეთს ინტერესი არ გააჩნდა.

5.9. საქმის მასალებში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების (შესყიდვის აქტი №08/2017, ხელფასის გაცემის უწყისი, სამივლინებო მოწმობები), შეფასების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მოპასუხემ 2017 წლის 05 აგვისტოს ავანსის სახით მიღებული 5000 ლარით შეიძინა გზის განმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო ნივთები (თოკები, სამთო ქამრები და რკინის ბაგირი, სურსათი) და დაქირავებულ პერსონალს გადაუხადა ხელფასი.

5.10. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის უნდა გადანაწილებულიყო იმგვარად, რომ მოსარჩელეს უნდა დაედგინებინა ხელშეკრულების დადება, ვალდებულების ვადის დაცვით შეუსრულებლობა, ხოლო მოპასუხეს უნდა დაემტკიცებინა ვალდებულების შეუსრულებლობის ობიექტური გარემოებების არსებობა. იმის დასტურად, რომ არსებობდა ვალდებულების შეუსრულებლობის ობიექტური გარემოება, მოპასუხე მიუთითებდა, რომ მოსარჩელესთან არადროული და არაჯეროვანი კომუნიკაციის პირობებში, ნარდობის ხელშეკრულებით განერილი მომსახურება დროულად ვერ შესრულდა. კლდოვანი მასების განმენდითი სამუშაოების მიზნით, 2017 წლის 08 აგვისტოს ქ. ახმეტაში სამუშაო ჯგუფს დახვდა 2017 წლის ივლისში არსებული სიტუაციისგან რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა, კერძოდ, კლდოვანი მასებისგან გასანმენდი ფერდობი სიცოცხლისათვის საშიში იყო. მიუხედავად ამისა, ჯგუფის წევრებმა თუშეთში ჩასვლისთანავე დათვალიერეს სამუშაო ადგილი და დაიწყეს კლდოვანი მასებისგან მთის ფერდობის განმენდა.

5.11. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის ზემოაღნიშ-

ნული პოზიცია, რომ 2017 წლის აგვისტოში სამუშაოებისათვის განსაზღვრულ ობიექტზე ვითარება იყო რადიკალურად შეცვლილი, რაც წარმოადგენდა მენარდის მიერ სამუშაოთა სრულად შესრულებაზე უარის თქმის ობიექტურ საფუძველს, რამდენადაც სამუშაოების სრულად შესრულება საფრთხეს უქმნიდა მენარდის თანამშრომლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

5.12. სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებს, რომლითაც დადასტურდა, რომ ჯგუფის წევრებმა სამუშაოები შეასრულეს, განმინდეს ყველა ის დაზიანებული ადგილი, რომელიც საშიში იყო სხვათა სიცოცხლისათვის. მოწმეთა გამოკითხვის შედეგად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ადგილზე დათვალიერებისა და მდგომარეობის ზოგადი სურათის შესწავლის შემდგომ ვითარება შეიცვალა (მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა, რომ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეჯერება განხორციელდა 2 თვით ადრე უშუალოდ განმენდითი სამუშაოების დაწყებამდე). ამასთან, მას შემდეგ, რაც მოპასუხემ დაათვალიერა ობიექტი, გარკვეული სამუშაოები თავად მოსარჩელემ ჩაატარა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. 2017 წლის 30 ივნისის აქტითა და მოსარჩელე მხარის მოწმეთა ჩვენებებით დადასტურებული იყო, რომ სწორედ მითითებულ ობიექტზე შესრულდა სამუშაოები და 820 კვ.მ საერთო ფართი გაინმინდა არასაიმედო ნაშრევებისა და ქვებისაგან. დადასტურებულია ისიც, რომ მითითებული დამენყრილი ტერიტორია მომეტებული საფრთხის შემცველია, ზოგიერთ ადგილას მისვლა იყო საშიში და ადგილობრივი მაცხოვრებლების ჯგუფის მიერ მხოლოდ ქვედა ფერდობი გაინმინდა, საშიშ ადგილებთან კი არავინ მისულა. მოწმეების: გ. ბ-ის, ა. ტ-ის, თ. კ-ისა და ზ. ქ-ის ჩვენებებით დადასტურდა განმენდითი სამუშაოების დაწყებისა და მისი მსვლელობის პროცესიც.

5.13. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადანყვეტილების მსჯელობა, რომ ხელშეკრულების მთლიანად ან/და ნაწილობრივ შესრულების (არსებული ფაქტის) მტკიცების ტვირთი, მტკიცების განაწილების სტანდარტის გათვალისწინებით მოპასუხეს აკისრია. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ იყო ის გარემოება, რომ 9 აგვისტოს, ერთი სრული დღის განმავლობაში მეკლდეურები ფერდობზე სამუშაოებს აწარმოებდნენ. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხეს სამუშაოები საერთოდ არ შეუსრულებია, რადგან გზაზე არაფერი ჩამოცვენილა და შესაბამისად, არც ფერდობიდან განმენდილა რაიმე. მოპასუხე მხარის მოწმეთა განმარტების თანხმად, გაინმინდა მხოლოდ საშიში, ე.წ. „ცოცხალი“ მოძრავი ქვებისა და მენყრის მიერ შეცვლილი რელიეფის გათვალისწინებით.

5.14. სადავო გარემოების დადგენისას სასამართლომ გაითვალისწინა

ნა გამოცდილი, პროფესიონალი მეკლდეურებისა და მთასვლელების განმარტებები. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, აპელანტის მიერ მითითებული მხოლოდ ის გარემოება, რომ გზაზე არაფერი ჩამოვარდნილა ან/და ქვათა ცვენა მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა, ვერ იქნებოდა გაზიარებული. გამომდინარე იქიდან, რომ რელიეფი მუდმივ ცვლილებას განიცდის, დამენყრილი ადგილი და მასზე ზემოქმედება რასაკვირველია, გავლენას ახდენს და ეს პროცესი მუდმივია.

5.15. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სხვა პირების მიერ ფერდობის ქვედა ნაწილის განმენდა, დამენყრილი ტერიტორიის მუდმივი ბუნებრივი რელიეფური ცვლილებები და ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში ტერიტორიის მომეტებული საფრთხე საქმეზე არსებული მონშეთა განმარტებებითა და სხვა მტკიცებულებებით დადგენილი იყო. მეტიც, 2017 წლის 10 აგვისტოს სწორედ მითითებულ ტერიტორიაზე ქვათა ცვენის გამო დაზიანდა ავტოსატრანსპორტო საშუალება, რაც დაადასტურა ორივე მხარემ.

5.16. სააპელაციო პალატის განმარტებით, სიცოცხლისათვის საფრთხე, სწორედ ის უმნიშვნელოვანესი საფუძველია, რომელიც მენარდეს შესაბამისი წესების დაუცველად ანიჭებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. აპელანტის იმ პოზიციასთან დაკავშირებით, რომ მენარდის მიერ სამუშაოთა შესრულებაზე უარი ითქვა ბოლო დღეებში, რაც მას უსპობდა საშუალებას, დამატებით უზრუნველყო ხელშეკრულების შესრულება, პალატის მოსაზრებით, ვერ აქარწყლებდა ზემოხსენებული ობიექტური მიზეზის არსებობის ფაქტს. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ თავად მოსარჩელე მხარის ქმედების შედეგად სამუშაოები მოპასუხემ დაიწყო 2 თვის შემდგომ, რაც მიუთითებს უშუალოდ მოსარჩელის მხრიდან აღნიშნული ვადის დაცვისას დაშვებულ ხარვეზებზე.

5.17. შესრულებული სამუშაოების მიმართ ინტერესის არქონის თაობაზე აპელანტის პოზიციასთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, შემკვეთს გააჩნდა ინტერესი ხელშეკრულების სრულად შესრულების მიმართ, თუმცა, რადგანაც აღნიშნული ვერ განხორციელდა პატივსადები გარემოების გათვალისწინებით, მოსარჩელის ინტერესი ვერ დაუკავშირდებოდა მხოლოდ ხელშეკრულების სრულად შესრულებას, ხოლო განუვლი სამუშაოს შესრულება გადახდილი თანხის ადეკვატურობის გათვალისწინებით უნდა განხილულიყო.

5.18. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ შეძლო ვალდებულების ჯეროვნად შესრულების დამაბრკოლებელი, პატივსადები, გარემოების არსებობის დადასტურება, ასევე, არსებული კლიმატისა და მკაცრი ბუნებრივი პი-

რობების გათვალისწინებით, მიღებული ავანსის ფარგლებში, განმენ-
დითი სამუშაოების ნაწილობრივ განხორციელება. ამასთან, პალატის
დასკვნით, მოპასუხის სამუშაო შეესაბამებოდა ავანსის სახით მიღე-
ბულ თანხას, რის გამოც, ამ თანხის უკან დაბრუნების სამართლებრივი
საფუძველი არ იკვეთებოდა.

6. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასა-
ციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახა-
ლი გადაწყვეტილებით, 5000 ლარის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკ-
მაყოფილება. კასატორის მტკიცებით:

6.1. სააპელაციო სასამართლო ნარდობის ხელშეკრულებით გათვა-
ლისწინებული სამუშაოს შესრულების დასადასტურებლად მიუთითებს
იმ ფაქტზე, რომ მენარდემ სამუშაოთა შესასრულებლად შეიძინა საჭი-
რო აღჭურვილობა, ასევე, გასცა ხელფასი. სასამართლოს მსგავსი მიდ-
გომა განსხვავდება მყარად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკი-
საგან, რომლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულების ქრილში (სამო-
ქალაქო კოდექსის 629.1 მუხლი) სადავოობისას მნიშვნელოვანია, დად-
გინდეს, შეასრულა თუ არა მენარდემ დაკვეთილი სამუშაო და არა ის,
ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული თანხით მენარდემ
სამუშაოებისათვის საჭირო აღჭურვილობა შეიძინა თუ არა. ამასთან,
აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს ხარჯების განევის დასასაბუთებლად
დამაჯერებელი, სარწმუნო მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

6.2. გასაჩივრებული განჩინება არ მოიცავს მსჯელობას მასზე, რომ
სადავოობისას ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუ-
შაოს სრულად თუ ნაწილობრივ შესრულება უნდა დაამტკიცოს მენარ-
დემ, უნდა წარმოადგინოს სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებიც
ადასტურებს სამუშაოთა სრულად თუ ნაწილობრივ შესრულებას. საქ-
მეში შემკვეთის მიერ წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება, რაც
გამორიცხავს მენარდის მიერ სამუშაოთა თუნდაც ნაწილობრივ შეს-
რულებას. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ კი, მხოლოდ მენარ-
დის დაუსაბუთებელ ახსნა-განმარტებასა და მოწმეთა მიკერძოებულ,
ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ
შეთანხმებული სამუშაო მოპასუხის მიერ ნაწილობრივ შესრულდა.

6.3. გასაზიარებელი რომც იყოს სასამართლოს დასკვნა, თითქოს მე-
ნარდემ სამუშაო ნაწილობრივ შეასრულა, სააპელაციო პალატას მარ-
თებდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეეფასე-
ბინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა მენარდის მიერ ნაწილობრივ შეს-
რულებული სამუშაო ავანსის სახით მიღებულ 5000 ლარს. შესრულებუ-
ლი სამუშაოს მოცულობა და ავანსის სახით მიღებულ თანხასთან შესა-
ბამისობა მენარდეს უნდა ემტკიცებინა. აღნიშნულ საკითხზე მსჯე-
ლობას გასაჩივრებული განჩინება არ მოიცავს.

6.4. თუნდაც, სამოქალაქო კოდექსის 637-ე მუხლის მიხედვით, მენარდეს ჰქონოდა ხელშეკრულების შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი, ასევე, გასაზიარებელი რომც იყოს დასკვნა, თითქოს მენარდემ სამუშაოთა ნაწილი შეასრულა, სამოქალაქო კოდექსის 638-ე მუხლის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატას მართებდა დაედგინა, ობიექტურად რამდენად ჰქონდა შემკვეთს ინტერესი მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ, მაშინ, როდესაც, საავტომობილო გზების დეპარტამენტს მოსარჩელისათვის შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ თანხა საერთოდ არ აუნაზღაურებია.

6.5. შემკვეთის ინტერესი მდგომარეობდა მთლიანი – 3700 კვ.მ ფერდობის შეკიდული ნაშრევებისა და ქვებისგან განმენდაში, იმგვარად, რომ აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შედეგად საავტომობილო გზაზე მოძრაობა გამხდარიყო უსაფრთხო და აღკვეთილიყო ფერდობიდან ქვათაცვენა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საქმეში წარმოდგენილი მასალებით ცალსახად დასტურდება, რომ 09 აგვისტოს მომდევნო დღეებში ფერდობიდან ძლიერი ქვათაცვენა იყო, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და შედეგად, საჭირო გახდა ავტოტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვა.

6.6. მცდარია, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, თითქოს მენარდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 638-ე მუხლის გათვალისწინებით, ჰქონდა გასამრჯელოს, ანუ ავანსის სახით მიღებული 5000 ლარის დატოვების უფლება. სასამართლოს დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ შემკვეთის ინტერესს მნიშვნელობა არ აქვს და მენარდეს გარკვეული გასამრჯელო უნდა გადაუხადოს, მათ შორის – სამუშაოს მცირე ნაწილის შესრულებისთვის, რაც არასწორია.

6.7. მოცემულ შემთხვევაში, შესაფასებელია, შესრულდა თუ არა რაიმე სახის სამუშაო 2017 წლის 09 აგვისტოს მოპასუხის წარმომადგენლების ფერდობზე ასვლის დროს, დადებით შემთხვევაში, რა მოცულობით შესრულდა და აქვს თუ არა ინტერესი მოსარჩელეს ამ შესრულების მიმართ.

6.8. ცხადია, რომ მოპასუხეს არც რაიმე სამუშაო შეუსრულებია და არც ხელშეკრულების შეწყვეტის პატივსადები მიზეზი ჰქონია. სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლების ანალიზის მიხედვით, ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების დარღვევისას, ამ უკანასკნელმა ხელშეკრულების მეორე მხარეს უნდა დაუბრუნოს მიღებული სარგებელი. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ დაარღვია ნარდობის ხელშეკრულება – არ შეასრულა სამუშაო, შესაბამისად, მან ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული შესრულება (ავანსი 5000 ლარი) მოსარჩელეს უნდა დაუბრუნოს. ავანსი იმ შემთხვევაშიც უნდა დაუბრუნდეს შემკვეთს, მენარდემ მნიშვნელოვანი საფუძვლის გამო ხელშეკ-

რულების შეწყვეტა რომც დაასაბუთოს, უბრალოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მენარდეს ზიანის ანაზღაურება აღარ მოეთხოვება.

6.9. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მხარეები შესასრულებელ სამუშაოებზე 2017 წლის მაისში შეთანხმდნენ და სწორედ 2017 წლის მაისში განხორციელდა მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კვ.მ-ზე არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლა. სინამდვილეში, მხარეთა შეთანხმება სამუშაოთა შესრულებაზე (ზეპირი ნარდობის ხელშეკრულების დადება) და მხარეთა წარმომადგენლების მიერ შესასრულებელი სამუშაოების ადგილზე შესწავლა განხორციელდა 2017 წლის ივლისის მეორე ნახევარში.

6.10. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილ გარემოებად, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული სამუშაო შეესაბამება ავანსის სახით მიღებულ თანხას – 5000 ლარს. საქმეში წარმოდგენილია ობიექტური მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ მოპასუხეს არავითარი სამუშაო არ შეუსრულებია.

6.11. მოპასუხისვე მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მოწმეთა ჩვენებებით) ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა, რომ მენარდეს ვალდებულება არ შეუსრულებია. მოწმეებმა ცალსახად დაადასტურეს, სამუშაო ჯგუფი ფერდობზე იმყოფებოდა მხოლოდ 2017 წლის 09 აგვისტოს. ამ დღეს რომ მოპასუხეს სამუშაოები შეესრულებინა, ბუნებრივია, ვდღის შემდეგ ქვათაცვენის გამო, აუცილებელი არ გახდებოდა გზაზე მოძრაობის შეზღუდვა.

6.12. ნარდობის ხელშეკრულების დადებიდან ფერდობზე 2017 წლის 09 აგვისტოს ასვლამდე გასული იყო მხოლოდ 2-3 კვირა, შესაბამისად, ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ რელიეფმა ასე მოკლე დროში განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება, არასარწმუნოა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შე-

აფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორადვე განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, ნაწილობრივ გასაზიარებელია.

10. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა სადავო არ არის, სადავოა შესრულდა თუ არა მენარდის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება ნაწილობრივ და, შედეგად, იკვეთება თუ არა შემკვეთის მიერ მენარდისათვის ავანსად გადახდილი საზღაურის უკან დაბრუნების ფაქტობრივსამართლებრივი წინამძღვრები.

11. კასატორის ძირითადი პრეტენზია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მენარდეს არ გააჩნდა სამუშაოს დასრულებამდე ხელშეკრულების შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი, ამასთან, შეწყვეტამდე მოპასუხეს არანაირი სამუშაო არ უწარმოებია და იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდებოდა მენარდის მხრიდან გარკვეული სამუშაოების განხორციელების ფაქტი, შემკვეთს ნაწილობრივ შესრულების მიმართ ინტერესი არ გააჩნდა, რაც გამორიცხავდა ამ უკანასკნელის მხრიდან გადახდილი ავანსის მოპასუხისთვის მიკუთვნების შესაძლებლობას.

12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629.1 მუხლის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შესასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. აღნიშნული ცნებიდან გამომდინარე, ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება არის კონსესუალური, ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულება.

13. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე ერთმანეთთან ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, რომლის ფარგლებში, მენარდემ (მოპასუხემ) იკისრა ვალდებულება 18 000 ლარის სანაცვლოდ, ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კმ-ში არსებული დამენყრილი ფერდობი (1100 კვ.მ) გაენმინდა ქვებისა და ნაშრევებისგან. ამდენად, ხსენებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს წარმოეშვა „შემკვეთის“ ხოლო მოპასუხეს – „მენარდის“ უფლება-მოვალეობები.

14. უდავო გარემოებაა, რომ ხელშეკრულების შესრულების მიზნით, მოსარჩელემ 2017 წლის 27 ივლისს მოპასუხეს ავანსად 5000 ლარი გადაურიცხა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ავანსი არის ფულადი თანხის გადახდა, რომელიც ხორციელდება უკვე დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად და ძირითადად ემსახურება მენარდის ინტერესებს. თუ მენარდე უარს აცხადებს სამუშაოს შესრულებაზე, ან შემკვეთი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, ავანსი, როგორც წესი, უკან

უნდა იქნეს დაბრუნებული (ნარდობის ხელშეკრულება, ზ. ძლიერიშვილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016, გვ. 291).

15. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაბუთებული შედაგება არ არის წარმოდგენილი, რომ მენარდის წარმომადგენლები განმენდითი სამუშაოების შესრულების მიზნით 2017 წლის 09 აგვისტოს ასულები იყვნენ ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კმ-სთან მდებარე ფერდობზე. სასამართლოში დაკითხული მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა, რომ მოპასუხე კომპანიის ჯგუფის წევრებმა 09 აგვისტოს ფერდობზე სამუშაოები აწარმოეს ერთი სრული დღის განმავლობაში და განმინდეს ყველა ის დაზიანებული ადგილი, რომელიც საშიში იყო სხვათა სიცოცხლისათვის. აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო სათანადო მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის.

16. მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა ის გარემოება, რომ 2017 წლის 10 აგვისტოდან მენარდემ, იმ მიზეზით, რომ სამუშაოთა გაგრძელება იყო სიცოცხლისათვის სახიფათო, ცალმხრივად შეწყვიტა მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულება და მას შემდეგ სამუშაოები აღარ უწარმოებია.

17. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება საფრთხეს უქმნიდა მისი თანამშრომლების სიცოცხლეს/ჯანმრთელობას, რაც ექვგარეშე წარმოადგენს მენარდის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მნიშვნელოვან საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 637-ე მუხლის მიზნებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 637-ე მუხლის მიხედვით, მენარდეს შეუძლია სამუშაოს დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გამოირიცხება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 638-ე მუხლის თანახმად, თუ მენარდე ვალდებულებას შეწყვეტს 637-ე მუხლის მიხედვით, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს გასამრჯელოს ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის ადრინდელ მომსახურებას, თუკი შემკვეთს ადრე გაწეული მომსახურების მიმართ აქვს რაიმე ინტერესი.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ადგილი (თუშეთში მიმავალი გზა) სადაც უნდა შესრულებულიყო განმენდითი სამუშაოები, სტიქიურად საშიში ტერიტორიაა (მეწყერსაშიში ზონაა), შესაბამისად, ალბათობა იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე არსებულ ფერდობზე ნებისმიერ დროს შეიქმნას იმგვარი მდგომარეობა, რომ განმენდითი სამუშაოების შესრუ-

ლება გართულდეს და საფრთხე შეექმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს, მაღალია. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაზიარებელია გასაჩივრებული განჩინების დასკვნა მასზე, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულების სრულად შესრულება ვერ განხორციელდა იმ მიზეზით, რომ სამუშაოთა შესრულება მეკლდეურების სიცოცხლისათვის საშიში იყო. აღნიშნული საკასაციო პალატის მოსაზრებით, წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან საფუძველს, რომელიც მენარდეს სამოქალაქო კოდექსის 637-ე მუხლით ანიჭებს როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის, ისე – უკვე შესრულებული სამუშაოსთვის გასამრჯელოს ნაწილის მოთხოვნის უფლებას.

18. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის აპელირება, რომ მას ნაწილობრივ შესრულების მიმართ რაიმე ინტერესი არ გააჩნდა.

პირველ რიგში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნაწილობრივ შესრულების მიმართ შემკვეთის ინტერესში არ იგულისხმება შემკვეთის სუბიექტური დამოკიდებულება, არამედ უნდა შეფასდეს, კონკრეტულ შემთხვევაში, ექნებოდა თუ არა ნაწილობრივ შესრულების მიმართ ინტერესი სხვა ობიექტურ მონაწილეს.

ამ კუთხით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ნარდობის ხელშეკრულების საგანსა და მიზანზე, სახელდობრ: ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის 56-ე კმ-ს მიმდებარედ არსებული დამენყრილი ფერდობის (1100 კვ.მ) განმენდა ქვებისა და ნაშრევებისგან, ხოლო ხელშეკრულების მიზანს – ხსენებული საავტომობილო გზის მონაკვეთის შეკეთების უზრუნველყოფა და მასზე მოძრავი ავტომობილების უსაფრთხოების დაცვა. მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ დამენყრილი ფერდობი გაინმინდა იმ დიდი ლოდებისაგან, რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნიდა ადამიანებს. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დასახული მიზნის გათვალისწინებით, სადავო ფერდობის ნაწილობრივ განმენდაც გარკვეულწილად შედეგის მომტანი იქნებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ შეამცირებდა ქვათა ცვენას საავტომობილო გზაზე.

19. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ისტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მენარდემ, სამუშაოს დასრულებამდე, მნიშვნელოვანი საფუძველით შეწყვიტა ნარდობის ხელშეკრულება; მენარდემ სადავო ხელშეკრულების ფარგლებში გარკვეული მომსახურება გაუწია შემკვეთს; შემკვეთს მენარდის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული მომსახურების მიმართ აქვს ინტერესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის შეფასებით, იკვეთება მენარდისთვის გაწეული მომსახურების შესაბამისი გასამრჯელოს ანაზღაურების წინაპირობები.

20. საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდის ხელშეკრულე-

ბის შეწყვეტამდე მოპასუხის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობას და, შესაბამისად, მის ღირებულებას.

უდავოა, რომ კასატორმა ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში მოპასუხეს ავანსის სახით გადაუხადა 5000 ლარი. მენარდის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (შესყიდვის №08/2017 აქტი, ხელფასის გაცემის უწყისი და სამივლინებო მოწმობები) დადგენილია, რომ მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მოპასუხემ ავანსის სახით მიღებული 5000 ლარით შეიძინა გზის განმენდითი სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო ნივთები: თოკები, სამთო ქაშკაშები და რკინის ბაგირი, ასევე, დაქირავებულ პერსონალს გადაუხადა ხელფასი, კერძოდ, სპეც. აღჭურვილობაში დაიხარჯა 3060 ლარი, ხოლო ადამიანურ რესურსში – 1940 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა, შეიცავს დათქმას ამავე კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებზე და აწესებს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შესრულებული სამუშაოების ღირებულებასთან დაკავშირებით მოპასუხის ურთიერთსა-წინააღმდეგო პოზიციაზე საქმის მომზადების თუ არსებითად განხილვის დროს. კერძოდ, მოპასუხე წერილობით შესაგებელში და სასამართლო სხდომებზე მიუთითებს, რომ ფაქტობრივად განხორციელა 5000 ლარის ღირებულების სამუშაო, ამავდროულად წარმოდგენილი აქვს აღნიშნული თანხიდან სპეც. აღჭურვილობის შესყიდვის წერილობითი აქტი და მიუთითებს, რომ ჩარიცხული თანხიდან შეიძინა სპეც. აღჭურვილობა. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელისგან ჩარიცხული თანხის ნაწილით მოპასუხემ შეიძინა სპეც. აღჭურვილობა, რომლის ნაწილობრივ განადგურების ფაქტი (წერილობითი შესაგებლის მე-3 ფაქტობრივი გარემოება) ან ერთჯერადი ხასიათი მოპასუხემ სათანადო მტკიცებულებით ვერ დაადასტურა, ივარაუდება, რომ აღნიშნული

სპეც.აღჭურვილობა დარჩა მოპასუხეს, რომელმაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება სრულად ვერ შეძლო. საკასაციო პალატას მოხმობილი ნორმების საფუძველზე, მიაჩნია, რომ ამ მასალის ღირებულება, რომელიც დადგენილია თავად მოპასუხისვე წარმოდგენილი შესყიდვის აქტით და შეადგენს – 3060 ლარს, უნდა აუნაზღაურდეს შემკვეთს. რაც შეეხება ადამიანურ რესურსში დახარჯულ თანხას – 1940 ლარს, პალატის შეფასებით, ის შეესაბამება მოპასუხის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობას და მისი დაბრუნების წინაპირობები, არ ვლინდება.

21. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინების შეცვლით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდება და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 3060 ლარის გადახდა დაეკისრება.

22. გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ განჩინების გაუქმების (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი) საფუძველია. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. პალატა აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 6 დეკემბრის განჩინებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს 3060 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში აკმაყოფილებს.

23. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო

შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შე-
საბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილ-
ველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მო-
პასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე, საა-
პელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწი-
ფო ბაჟის ანაზღაურება დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციუ-
ლად, რაც კონკრეტულ შემთხვევაში – 367 ლარია. ამასთან, ვინაიდან
კასატორს არასრულყოფილად აქვს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, მას
სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის – 200 ლა-
რის გადახდა უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შ.პ.ს. „გ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუშდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2021 წლის 06 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს
ახალი გადაწყვეტილება.
3. შ.პ.ს. „გ-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
4. შ.პ.ს. „... ე.კ-ს“ შ.პ.ს. „გ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს 3060 (სამია-
თასსამოცი) ლარის გადახდა.
5. შ.პ.ს. „... ე.კ-ს“ შ.პ.ს. „გ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს 367 (სამასა-
მოცდაშვიდი) ლარის გადახდა სარჩელზე, სააპელაციო საჩივარზე და
საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.
6. შ.პ.ს. „გ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სა-
ხელმწიფო ბაჟის – 200 (ორასი) ლარის გადახდა.
7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-
რდება.

4. დავალება

**გასამრჯელოს გადახდა შესრულებული სამუშაოს
კვალობაზე, მარნეულის მიმართ ხელშეკრულების
შეწყვეტისას**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1049-2021

28 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: რ. ნადარაია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი,
ა. ძაბუნაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ლ. M-მა“ (შემდეგში – მოსარჩელემ) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ე. ჩ-ას (შემდეგში – მოპასუხის) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ვალდებულების არა-ჯეროვანი შესრულების გამო ავანსად ჩარიცხული თანხიდან – 95000 ლარის დაბრუნება.

1.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო თანხა წარმოადგენდა მის მიერ განეული მომსახურების ღირებულებას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ლ. M-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. ე. ჩ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 95000 ლარის გადახდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 04 აგვისტოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და შპს „ლ. M-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 15124 ლარის გადახდა.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებ-

რივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 19 ნოემბრის №43810 ბრძანების საფუძველზე, შპს „ლ. მ-ს“ წარედგინა 2015 წლის 19 ნოემბრის №094-492 საგადასახადო მოთხოვნა და კომპანიას დამატებით გადასახდელად დაეკისრა 203937.69 ლარი. მათ შორის მოგების გადასახადი 182324.71 ლარი (ძირი თანხა – 79450 ლარი, ჯარიმა – 39725 ლარი, საურავი 63149.71 ლარი), საშემოსავლო გადასახადი 21522.86 ლარი (ძირი თანხა – 10144 ლარი, ჯარიმა – 4759 ლარი, საურავი – 6619.86 ლარი), მიწის გადასახადი 4.03 ლარი (საურავი), ქონების გადასახადი 86 ლარი (საურავი).

5.2. შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 21 დეკემბრის №49130 ბრძანების საფუძველზე, შპს „ლ. მ-ს“ წარედგინა 2015 წლის 21 დეკემბრის წლის №094-604 საგადასახადო მოთხოვნა და კომპანიას დამატებით გადასახდელად დაეკისრა 20 053.57 ლარი. მათ შორის მოგების გადასახადი 19853.28 ლარი (ძირი თანხა 8017 ლარი, ჯარიმა 4008 ლარი, საურავი 7828.28 ლარი), საშემოსავლო გადასახადი 183.83 ლარი (საურავი), მიწის გადასახადი – 0.33 (საურავი) და ქონების გადასახადი 16.13 ლარი (საურავი).

5.3. შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 22 დეკემბრის №49306 ბრძანების საფუძველზე, შპს „ლ. მ-ს“ წარედგინა 2015 წლის 22 დეკემბრის №094-622 საგადასახადო მოთხოვნა და კომპანიას დამატებით გადასახდელად დაეკისრა 755 852.28 ლარი. მათ შორის მოგების გადასახადი – 703851 ლარი (ძირი თანხა 341968 ლარი, ჯარიმა – 170984 ლარი, საურავი 190899 ლარი), საშემოსავლო გადასახადი 48284.97 ლარი (ძირი თანხა – 22699 ლარი, ჯარიმა 11551 ლარი, საურავი – 14034.97 ლარი), ქონების გადასახადი 2706.14 ლარი (ძირი თანხა 1277 ლარი, ჯარიმა – 639 ლარი, საურავი – 790.14 ლარი), მიწის გადასახადი (სასოფლო) – 4.87 ლარი (საურავი) და ჯარიმები – 1005 ლარი.

5.4. 2016 წლის 20 იანვარს, ე. ჩ-ას და შპს „ლ. მ-ს“ შორის გაფორმდა №20.01.16-1 ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სახელმწიფოს მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე შპს „ლ. მ-ის“ (დამკვეთის) კანონიერი ინტერესების წარმოდგენა, კერძოდ, დავის წარმოება ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და სასამართლოში, დამკვეთის სასარგებლოდ საჩივრის მომზადება და მისი პოზიციების დაცვა შესაბამის უწყებებში. ხელშეკრულების თანახმად, სადავო თანხას წარმოადგენდა – 775 905.85 ლარი, მათ შორის: ძირითადი გადასახადის თანხა – 372792 ლარი, ჯარიმა – 189356 ლარი და საურავი – 213757.85

ლარი.

5.5. 2016 წლის 20 იანვარს, ე. ჩ-ას და შპს „ლ. M-ს“ შორის გაფორმებული №20.01.16-1 ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების ღირებულება შეადგენდა 125 000 ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, საიდანაც მოსარჩელე არსებული კანონმდებლობის მიხედვით მოახდენდა საშემოსავლო გადასახადის დაკავებასა და ბიუჯეტში ანგარიშსწორებას. კომპანიას მოპასუხის ანგარიშზე ავანსად უნდა ჩაერიცხა 100 000 ლარი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში. 2015 წლის 25 იანვარს შპს „ლ. M-ის“ მიერ ე. ჩ-ასათვის ავანსის სახით ჩარიცხულ იქნა მომსახურების ღირებულება 100000 ლარის ოდენობით.

5.6. 2016 წლის 17 მარტს, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, ჰ.თ. ჯ-იმ, როგორც შპს „ლ. M-ის“ დირექტორმა და 100%-იანი წილის მფლობელმა, მინდობილ პირს – ე. ჩ-ას, მიანიჭა უფლებამოსილება ყოფილიყო როგორც შპს „ლ. M“-ის დირექტორისა და 100%-იანი წილის მფლობელის წარმომადგენელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურში, ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველ საბჭოში, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, რათა დაეცვა საზოგადოების ინტერესები, ეწარმოებინა კომპანიის საზოგადოების უფლებებისა და ინტერესების დაცვა ყველა ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში და აღნიშნულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად წარედგინა და გამოეთხოვა ყველა სახის დოკუმენტი, მოწმობა, ამონაწერი, სარჩელი, განცხადება, ხელი მოეწერა შესაბამისი დოკუმენტებისათვის და გადაეხადა დადგენილი გადასახადები.

5.7. 2016 წლის 06 დეკემბრის სანოტარო აქტის საფუძველზე შპს „ლ. M-ის“ დირექტორმა გააუქმა ე. ჩ-ას სახელზე გაცემული მინდობილობა.

5.8. წარდგენილი სარჩელით, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის ავანსად ჩარიცხული თანხიდან, 95 000 ლარის დაბრუნებას, იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, რომ ე. ჩ-ამ ვერ შეასრულა ჯეროვნად 2016 წლის 20 იანვრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, ვერ უზრუნველყო ხელშეკრულების 3.3. პუნქტის შესაბამისად სადავო თანხის – 775 905.85 ლარის 50%-ით შემცირება, რაც ამავე პუნქტით შეთანხმებული პირობის თანახმად, შემსრულებლისათვის ავანსად ჩარიცხული თანხიდან – 95 000 ლარის დაბრუნების საფუძველია.

5.9. პალატამ მიიჩნია, რომ სადავო თანხა რწმუნებულს არა როგორც ავანსი, არამედ, როგორც „წარმატების გასამრჯელო“ გადაეცა. წერი-

ლობითი ხელშეკრულების განმარტებისას სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლით, რომლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. პალატამ მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა 2016 წლის 20 იანვრის მხარეებს შორის გაფორმებული №20.01.16-1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 775905.85 ლარის 50%-ით შემცირების ფაქტი. პალატამ დადგენილად მიიჩნია სადავო თანხის მხოლოდ 42.04%-ით შემცირების შესახებ ფაქტობრივი გარემოება, თუმცა განმარტა, რომ მარწმუნებელმა ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეუწყვიტა, შესაბამისად, რწმუნებულს არ მიეცა სრული შესაძლებლობა თავისი ვალდებულების შესრულებისა. მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულებით გამოწვეული არაჯეროვანი შესრულების გამო თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია, მაგრამ მიუთითა, მოპასუხის მიერ 42.04%-ით სამუშაოს შესრულებაზე, რაც ასევე დადგენილია, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით. პალატამ განმარტა, ვერ იმსჯელებდა იმაზე, მოპასუხის მიერ განხორციელებული სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ქმედებები იყო თუ არა საკმარისი მარწმუნებლის მთავარი მიზნის მისაღწევად, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დგინდებოდა, რომ ხელშეკრულება, თავად მარწმუნებელმა შეწყვიტა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით აღნიშნული ბადებს გონივრულ ვარაუდს მასზე, რომ იმ პირობებში, თუ მარწმუნებლის მიერ ხელშეკრულება არ შეწყდებოდა, მოპასუხე მისი სამართლებრივი სტრატეგიის ფარგლებში მოქმედებას განაგრძობდა და მიზნის მისაღწევად სხვა მოქმედებებს განახორციელებდა.

5. 10. სააპელაციო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმ მოცემულობის ფარგლებში, რომ 06.12.2016 წლის სანოტარო აქტის საფუძველზე შპს „ლ. M-ის“ დირექტორმა გააუქმა ე. ჩ-ას სახელზე გაცემული მინდობილობა, იგი არ თავისუფლდებოდა რწმუნებულისათვის გასამრჯელოს გადახდის ვალდებულებისაგან, კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტა მოსარჩელეს არ წარმოუშობდა უფლებას მოეთხოვა მოპასუხისთვის ავანსად გადაცემული თანხის სრულად უკან დაბრუნება. პალატამ აღნიშნა, რომ უკან დაბრუნებას არ უნდა დაექვემდებაროს ავანსად გადაცემული თანხიდან რწმუნებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შპს „ნ. თ-ის“ მიერ შესრულებული წერილობითი განმარტების თანახმად, დასტურდებოდა, რომ აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 21 დეკემბრის №49130 ბრძანებისა და მის საფუძველზე გამოცემული 21.12.15 წლის №094-604 საგადასა-

ხადო მოთხოვნისა და 2015 წლის 22 დეკემბრის №49306 ბრძანების და მის საფუძველზე გამოცემული №094-622 საგადასახადო მოთხოვნის მიხედვით, მოსარჩელე კომპანიაზე დამატებით გადასახდელად დარიცხული, ჯამში 775 905.85 ლარის შემცირება მოხდა: აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 3 ივნისის №15733 ბრძანების და მის საფუძველზე გამოცემული 2016 წლის 3 ივნისის №094-151 კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნით, აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 26 აგვისტოს №24739 ბრძანების და მის საფუძველზე გამოცემული 2016 წლის 26 აგვისტოს №094-242 კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნით და აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის 26 აგვისტოს №24738 ბრძანების და მის საფუძველზე გამოცემული 2016 წლის 26 აგვისტოს №094-241 კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნით, რის შედეგადაც დამატებით გადასახდელად დარიცხული თანხა შემცირდა 326 194.70 ლარით (მათ შორის ძირითადი თანხა – 142 700.5 ლარით, ჯარიმა 71 349 ლარით, საურავი 112 145.20 ლარით), რაც შეადგენდა თავდაპირველად დარიცხული თანხის (775 905.85 ლარი) 42.04%-ს. ამდენად, რწმუნებულის მიერ შესრულებული სამუშაო გამოიხატა იმ ფარგლებში, რომ მოპასუხემ 2016 წლის 20 იანვრის მხარეებს შორის გაფორმებული №20.01.16-1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სადავო თანხა შეამცირა 42.04%-ით. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდებოდა 2016 წლის 20 იანვრის მხარეებს შორის გაფორმებული №20.01.16-1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 775905.85 ლარის 42.04%-ით შემცირების ფაქტი, ე.წ.-ას, შპს „ლ. M-ის“ სასარგებლოდ პროპორციულობის გათვალისწინებით უნდა დაჰკისრებოდა 15 124 ლარის გადახდა.

5.11. პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მოპასუხე ვერ უზრუნველყოფდა სადავო თანხის 50%-ით შემცირებას, მისთვის ავანსად ჩარიცხული თანხიდან 95 000 ლარი დაექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას, ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო უფლების კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერად განხორციელების სტანდარტს.

6. სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 04 აგვისტოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები და მის მიერ დადგენილი გარემოებები არ ემყარება მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულყოფილ და ობიექტურ გამოკ-

ვლევას.

6.2. კომპანიამ ე. ჩ-ას რწმუნებულება შეუწყვიტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან დაასრულა შესაბამისი აქტების გასაჩივრების პროცესი. აშკარა იყო, რომ პირობა ვედარ დადგებოდა, ვინაიდან, ჩ-ამ წარადგინა განცხადება საგადასახადო თანხის შემცირების მოთხოვნით. იგი შესაგებელშიც განმარტავს, რომ ვალდებულება შეასრულა პირნათლად და მოითხოვა კიდევ კომპანიისგან მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა, რითაც უდავოდ დგინდება, რომ ჩ-ა აღარ აპირებდა რაიმე ქმედებების განხორციელებას დარიცხული თანხის შემცირების მიზნით და მის უკვე შემცირებულ თანხას მიიჩნევდა საკმარისზე მეტად.

6.3. კასატორი მიუთითებს, რომ ხელშეკრულება არ შეიცავს ბუნდოვან დათქმას და დგინდება, თუ რა მიზანი ჰქონდა მოსარჩელეს პირობადადებული ხელშეკრულების გაფორმებისას. მნიშვნელოვანია, რომ პირობა დაიდო არა სამუშაოს შესრულებაზე, სამუშაოს სირთულესა და მოცულობაზე, არამედ კონკრეტულ ეკონომიკურ ინტერესზე. 50%-ით თანხის შემცირების პირობა ხელშეკრულებაში არა მარტო ეკონომიკური ინტერესის გამო განისაზღვრა, არამედ, ეს პირობა ატარებს პრევენციულ ხასიათს.

6.4. პალატის განმარტებები, რომ ე. ჩ-ამ ვალდებულება შეასრულა 42.04%-ით და რომ მას გადახდილი თანხიდან ეკუთვნის თანხა შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, დაუსაბუთებელია და არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და ფაქტობრივ გარემოებებს.

6.5. სასამართლომ არასწორად და დასაბუთების გარეშე დაადგინა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა 95000 ლარი მოპასუხეს გადაეცა არა როგორც ავანსი, არამედ, როგორც „წარმატების გასამრჯელო“. ასევე არასწორად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მარწმუნებლის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით, რწმუნებულს არ მიეცა სრული შესაძლებლობა თავისი ვალდებულების შესასრულებლად.

6.7. ე. ჩ-ას წარმომადგენლებმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე წარადგინეს წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითებდნენ ახალ გარემოებებზე და სამართლებრივ საფუძვლებზე, კერძოდ, რომ მოდავე მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იყო შერეული ტიპის ნარდობის და წარმომადგენლობის. მათი განმარტებით, ჩ-ას ხელშეკრულება შეუწყდა ისე, რომ არ ყოფილა გაფრთხილებული და სწორედ ამის გამო ვერ შეძლო მისი ვალდებულების შესრულება. აღარ მიეცა შესაძლებლობა გაეგრძელებინა დავა თანხის შემცირების მიზნით. კასატორის მითითებით, აღნიშნულ გარემოებებს მოპასუხის შესაგებელი არ ემყარებოდა.

6.8. საგადასახადო მოთხოვნები მოპასუხის გარდა ასევე გაასაჩივ-

რა კომპანიის ბუღალტერმაც. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, აღნიშნულიც ადასტურებს, რომ მოპასუხეს ვალდებულება სრულად არ შეუსრულებია. შემცირებული თანხების უფრო მეტად შემცირების მიზნით კი, შემოსავლების სამსახურის აქტები ფინანსთა სამინისტროში და შემდგომ სასამართლოში არ გაუსაჩივრებია.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით, შპს „ლ. M-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად. ხოლო, ამავე სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით, საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა მიჩნეული სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით, შპს „ლ. M-ის“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის გან-

ხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (სუსგ №ას-251-2018, 08.02.2022 წ.).

11. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (სუსგ №ას-1163-2018, 08.02.2019 წ.; №ას-495-2020, 23.10.2020 წ.).

12. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მისთვის თანხის დაბრუნებაზე, სსკ-ის 709-ე (დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალბებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე) და 710.1 (მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინე-

ბულ შემთხვევაში) მუხლებიდან გამომდინარეობს, რაც დავალების ხელშეკრულების საფუძველზე რწმუნებულსა და მარწმუნებელს შორის ურთიერთობებს განსაზღვრავს.

13. განსახილველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი წარმოდგენილი პირი ხდება.

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმომადგენლობის ინსტიტუტს საფუძვლად უდევს კონკრეტული პირის (ან პირთა) უფლება სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგინოს სხვა პირი (ან პირები) – წარმომადგენლობის უფლებამოსილება. სსკ-ის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, წარმომადგენლობის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა მინდობილობის საფუძველზე (ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ.425-426).

15. მოსარჩელის განმარტებით, ხელშეკრულების გაფორმების მიზანს წარმოადგენდა მისთვის დაკისრებული თანხის, სულ 775905.85 ლარის შემცირება 50%-ით. მომსახურების ღირებულება შეადგენდა 125000 ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით. აღნიშნული ხელშეკრულების 3.3 პუნქტის თანახმად, სადავო თანხის 50%-ით შემცირების შემთხვევაში მხარეები გააფორმებდნენ მიღება-ჩაბარების აქტს, შესაბამისი სტრუქტურებიდან გადაწყვეტილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 2 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავანსად ჩარიცხული თანხიდან, 95 000 ლარი დაექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას. 5000 ლარი საშემოსავლო გადასახადის გარეშე ჩათვლებოდა გაწეული მომსახურების ღირებულებად. მოსარჩელის მსჯელობის საპირისპიროდ, მოპასუხემ წარდგენილ შესაგებელში განმარტა, რომ სადავო თანხა წარმოადგენდა მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებას და მისი მიერ ვალდებულების შესრულების პირობებში არ არსებობდა თანხის დაბრუნების წინაპირობა.

16. მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარემოებას არ წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული №20.01.16-1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ფაქტი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სახელმწიფოს მაკონ-

ტროლებელი ორგანოების წინაშე შპს „ლ. M-ის“ (დამკვეთის) კანონიერი ინტერესების წარმოდგენა, კერძოდ, დავის წარმოება ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და სასამართლოში, დამკვეთის სასარგებლოდ საჩივრის მომზადება და მისი პოზიციების დაცვა შესაბამის უწყებებში. მხარეთა შორის სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ასევე 100000 ლარის ოდენობით თანხის მოპასუხისათვის გადარიცხვის ფაქტი.

17. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს არა გაწეული მომსახურების გასამრჯელო – 5000 ლარი, არამედ, არსებობს თუ არა მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ავანსის სახით ჩარიცხული თანხის – 95000 ლარის მოსარჩელისათვის დაბრუნების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულების წინაპირობები დადგენილი იყო უშუალოდ მომსახურების ხელშეკრულებით და რომელიც მოპასუხის სასარგებლოდ გადახდილად ჩაითვლებოდა და გაფორმდებოდა მიღება ჩაბარების აქტი იმ შემთხვევაში, თუ შემცირებული თანხის ოდენობა შეადგენდა 50%-ს.

18. ამდენად, დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, სასამართლომ სწორად შეაფასოს მხარეთა შორის გაფორმებული №20.01.16-1 ხელშეკრულების 3.3 პუნქტის შინაარსი ავანსად ჩარიცხულ სადავო 95000 ლართან მიმართებით, კერძოდ: წარმოადგენს ის წარმატების ჰონორარის სახით მიღებულ მოპასუხის კუთვნილ თანხას, თუ ამავე პუნქტით გათვალისწინებული წარმატების ჰონორარის მიღების პირობების შეუსრულებლობის გამო მოპასუხეს წარმოევა მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების ვალდებულება. №20.01.16-1 ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად: წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე დამკვეთის კანონიერი ინტერესების წარმოდგენა, კერძოდ – დავის წარმოება ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და სასამართლოში, დამკვეთის სასარგებლოდ საჩივრის მომზადება და მისი პოზიციების დაცვა შესაბამის უწყებებში. ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად: სადავო თანხას წარმოადგენს – 775905.85 ლარი, მათ შორის: ძირითადი გადასახადის თანხა – 372792 ლარი, ჯარიმა – 189356 ლარი, საურავი – 213757.85 ლარი. ხელშეკრულების მესამე პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ მომსახურების ანაზღაურების წესსა და ვადებზე. 3.1 პუნქტის თანახმად, მომსახურების ღირებულება შეადგენს 125000 ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, საიდანაც დამკვეთი არსებული კანონმდებლობით ახდენს საშემოსავლო გადასახადის დაკავებას და ბიუჯეტის ანგარიშსწორებას. 3.3 პუნქტის თანახმად: სადავო თანხის 50%-ით შემცირების შემთხვევაში მხარეები გააფორმებდნენ მიღება-ჩაბარების აქტს, შესაბამისი სტრუქტურებიდან გადაწყვეტილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 2 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავანსად ჩარიცხული თანხიდან, 95 000

ლარი დაექვემდებარება უკან დაბრუნებას. 5000 ლარი საშემოსავლო გადასახადის გარეშე ჩაითვლება განეული მომსახურების ღირებულებად. ამდენად, ხელშეკრულების 3.3 პუნქტის ანალიზიდან გამომდინარე ნათელია, რომ მხარეებმა მოპასუხის მიერ განეული მომსახურების ღირებულებად განსაზღვრეს 5000 ლარი, საშემოსავლო გადასახადის გარეშე, რომლის ანაზღაურების ვალდებულება არ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა შედეგი დადგებოდა განეული მომსახურების შედეგად. რაც შეეხება ამავე პუნქტით განსაზღვრულ 95000 ლარს, მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად არის მითითებული, რომ მოსარჩელე მოპასუხეს აღნიშნულ თანხას აუნაზღაურებდა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე საგადასახადო ორგანოს მიერ დაკისრებულ თანხას (772 905.85 ლარს) 50%-ით შეამცირებდა, რის შემდეგაც მხარეები გააფორმებდნენ მიღება-ჩაბარების აქტს შესაბამისი სტრუქტურებიდან გადაწყვეტილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს ორი დღის ვადაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებმა 95000 ლარი განსაზღვრეს, როგორც „წარმატების ჰონორარი“ / „წარმატების საკომისიო“. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წარმატების ჰონორარი წარმოადგენს არა ძირითად გასამრჯელოს მოპასუხის მომსახურებისთვის, არამედ ე.წ. „ბონუსს“ მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით შესრულებული სამუშაოსთვის. შესაბამისად, მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის, ხელშეკრულების 3.3 პუნქტის შესაბამისად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ხელშეკრულების გაფორმების მიზანი და მოსარჩელის ინტერესი, ისე წარმომადგენლის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი, ანუ უზრუნველყო თუ არა მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება სადავო თანხის 50%-ით შემცირების შესახებ. მართალია მოპასუხე შესაგებელში მიუთითებდა გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულებაზე, თუმცა, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები მას არ წარმოუდგენია. საქმეში ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების გასაქარწყლებლად აუცილებელია მტკიცებულებით დადგენილი ფაქტების სანიშნაიმდებო ფაქტების დამადასტურებელი ალტერნატიული მტკიცებულების წარმოდგენა, ვინაიდან, მხოლოდ მითითება უკვე წარმოდგენილი მტკიცებულების უსაფუძვლობაზე, საკმარისი არ არის და არ შეესაბამება მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტს. შესაბამისად, მტკიცებას ექვემდებარება როგორც სარჩელის, ასევე შესაგებლის საფუძვლები. მოსარჩელემ მისი სასარჩელო მთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარმოადგინა შპს „ნ. თ.-ის“ მიერ შესრულებული წერილობითი განმარტება, რომელიც ადასტურებს, რომ აუდიტის დეპარტამენტის 2015 წლის 21 დეკემბრის №49130 ბრძანებისა და მის საფუძველზე გამოცემული 21.12.15 წლის №094-604 სა-

გადასახადო მოთხოვნისა და 2015 წლის 22 დეკემბრის №49306 ბრძანების და მის საფუძველზე გამოცემული №094-622 საგადასახადო მოთხოვნის მიხედვით, მოსარჩელე კომპანიაზე დამატებით გადასახდელად დარიცხული, ჯამში – 775 905.85 ლარის შემცირება მოხდა 326 194.70 ლარით (მათ შორის ძირი თანხა – 142 700.5 ლარით, ჯარიმა 71 349 ლარით, საურავი 112 145.20 ლარით), რაც შეადგენს თავდაპირველად დარიცხული თანხის (775 905.85 ლარი) 42.04%-ს და არა 50%-ს. პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ ეტაპზე მხარეები არ ხდიან სადავოდ მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების 42%-ით შესრულების ფაქტს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო 95000 ლარის ნაწილში მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელე მოპასუხეს აღნიშნულ თანხას აუნაზღაურებდა როგორც „წარმატების საკომისიოს“ / „წარმატების ჰონორარს“, ხოლო „წარმატებად“, ანუ გადახდის ვალდებულების საფუძველად ჩაითვლებოდა მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რაც მან ვერ უზრუნველყო, რადგან უტყუარად იქნა დადასტურებული, რომ მოპასუხემ ვერ შეასრულა ხელშეკრულების 3.3 პუნქტის საფუძველზე მისთვის წარმატების ჰონორარის ანაზღაურების მავალდებულებელი პირობა – საგადასახადო ორგანოს მიერ დარიცხული თანხის 772 905.85 ლარის 50%-ით შემცირება.

21. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ არ არსებობდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 3.3. პუნქტით გამოვლენილი ნების სსკ-ის 52-ე მუხლიდან გამომდინარე განმარტების საჭიროება. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა. ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ. ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს (სუსგ. №ას-1298-2018, 22.03. 2019წ.). ერთ-ერთ საქმეზე გერმანიის უმაღლესი ფე-

დერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით განიმარტა: „მოსარჩელის მოთხოვნის უფლების არსებობა აგრეთვე ვერ დადგინდება ხელშეკრულების დამატებითი განმარტების გზით, ვინაიდან, ხელშეკრულება არ შეიცავს გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზს. მსგავსი ხარვეზი ხელშეკრულების პირობების განერისას სახეზეა, როდესაც მხარეებს გამორჩევათ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი, ან შეგნებულად ღიად დატოვებენ მას, ვინაიდან, ხელშეკრულების დადების მომენტში, არ მიიჩნიეს, რომ საჭირო იყო მისი განსაზღვრა, ხოლო მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ მათი ეს ვარაუდი არასწორია. ამასთან, გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზზე საუბრობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება არ შეიცავს პუნქტს, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს მხარეთა იმ შეთანხმებული გეგმის განხორციელება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ პუნქტს, და რის გამოც ხელშეკრულების სრულყოფის გარეშეც ვერ მივიღებთ ჯეროვან, მხარეთა ინტერესების შესატყვის გამოსავალს... (იხ. ამონარიდი გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან 20.04.2017 – VII ZR 194/13-NJW 2017, 2025). პალატა კიდევ ერთხელ შეაფასებს ხელშეკრულების 3.3 პუნქტს და მიუთითებს, რომ აღნიშნული პუნქტი არ შეიცავს ბუნდოვანებას, მისი შინაარსი ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. როგორც უკვე აღინიშნა, სადავო 95000 ლართან მიმართებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელე მოპასუხეს 95000 ლარს გადასცემდა „წარმატების საკომისიოს“/წარმატების ჰონორარის“ სახით, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე შეასრულებდა ხელშეკრულების ამავე პუნქტით გათვალისწინებულ პირობას. რაც შეეხება მომსახურების საფასურს, ის ცალკე არის განსაზღვრული 5000 ლარით საშემოსავლო გადასახადის გარეშე. ამდენად, ხელშეკრულების 3.3 პუნქტი არ შეიცავს რაიმე ბუნდოვანებას, რაც გონივრული განსჯის შედეგად განმარტებას საჭიროებს. პალატის მოსაზრებით, გარდა იმისა, რომ ხელშეკრულების 3.3 პუნქტი მისი შინაარსის სიცხადიდან გამომდინარე, არ საჭიროებს გონივრული განსჯის შედეგად განმარტებას, ასევე ამ პუნქტის ბუნდოვანებასა და არაორაზროვნებაზე არ მიუთითებია მოპასუხე მხარესაც, რომელსაც არ განუმარტავს ის სხვაგვარი ინტერპრეტაციით. მოპასუხის შესაგებელი ხელშეკრულების 3.3 პუნქტით შესასრულებელი ვალდებულების სრულად შესრულებაზე მითითებას დაეფუძნა და მის მიერ ზემოაღნიშნული პუნქტის შინაარსი სადავოდ არ გამხდარა. პალატა მიუთითებს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის მიხედვით, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რო-

მელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია, მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. სსსკ-ის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეები შეზღუდული არიან ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ ამის შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით ვერ განაცხადეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების 3.3. პუნქტის გონივრული განსჯის შედეგად განმარტების საჭიროება არ არსებობდა.

22. პალატა ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას შესრულებული სამუშაოს პროპორციულად (42.04%) მოპასუხისათვის გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ და აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება დადებულია მხარეთა მიერ თავისუფლად გამოვლენილი ნების პირობებში და მოპასუხემ იკისრა ვალდებულება შესამცირებელი თანხის 50%-ზე ნაკლები ოდენობით შემცირების შემთხვევაში, „ავანსად“ ჩარიცხული თანხიდან დაებრუნებინა 95000 ლარი. მოპასუხემ შესაბამისი მტკიცებულებებზე მითითებით ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მან განახორციელა ისეთი მოქმედებები, რასაც ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული შედეგი (მოსარჩელისათვის დაკისრებული თანხის 50%-ით შემცირება) მოჰყვა. შესაბამისად, განხორციელებულად ვერ ჩაითვლება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები, რაც სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას ადასტურებს („წარმატების ჰონორართან“ დაკავშირებით იხილეთ საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა: №ას-1117-2020, 25.03.2021; №ას-894-2021, 23.12.2021). შესრულებული სამუშაოს პროპორციულად მოპასუხისათვის გასამრჯელოს ანაზღაურებაზე მოპასუხეს წარმოდგენილ შესაგებელში არ მიუთითებია. ამასთან, პროპორციული განაწილების შესახებ მხარეებს შეეძლოთ გამოვლენათ ნება და შესაბამისი შეთანხმება აეცახათ ხელშეკრულებაში, თუმცა მათ გამოავლინეს ნება იმ პირობით შეთანხმებაზე, რაც ასახულია ხელშეკრულების 3.3. პუნქტში (სადავო თანხის 50%-ით შემცირების შემთხვევაში მხარეები გააფორმებდნენ მიღება-ჩაბარების აქტს, შესაბამისი სტრუქტურებიდან გადანაცვეტილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 2 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავანსად ჩარიცხული თანხიდან, 95 000 ლარი დაექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას. 5000 ლარი საშემოსავლო გადასახადის გარეშე ჩაითვლებოდა განუღივრებელი მომსახურების ღირებულებად). ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება

შესრულებული სამუშაოს პროპორციულად მოპასუხისთვის გასამრჯელოს ანაზღაურებაზე საფუძველს მოკლებულია. მითუმეტეს იმ პირობებში, რომ მოპასუხემ მის მიერ განხორციელებული მომსახურებისთვის გასამრჯელოს სახით მოსარჩელისგან მიიღო 5000 ლარი.

23. დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად უნდა შეფასდეს კასატორის მითითება, რომ მოპასუხე აღარ აპირებდა რაიმე ქმედებების განხორციელებას დარიცხული თანხის შემცირების მიზნით და უკვე შემცირებულ თანხას მიიჩნევდა საკმარისზე მეტად, რის გამოც, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მარწმუნებელმა ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით რწმუნებულს არ მისცა სრული შესაძლებლობა ვალდებულების შესასრულებლად და რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გაფორმებული მინდობილობის გაუქმებით იგი არ თავისუფლდება რწმუნებულისათვის გასამრჯელოს გადახდის ვალდებულებისაგან. კასატორის ამ პრეტენზიის დასაბუთებულობას ადასტურებს მოპასუხის მითითება შესაგებელში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ თვითონ მოითხოვდა შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა და გადახდილი თანხის მის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებად მიჩნევა. საქმეში წარმოდგენილია ასევე ელექტრონული მიმოწერები საიდანაც დგინდება, რომ მოპასუხე მის მიერ გაწეულ მომსახურებას მიიჩნევს ხელშეკრულების 3.3 პუნქტის სრულად შესრულებად. მოპასუხის მიერ შპს „ლ. M-ის“ დირექტორისათვის გაგზავნილი წერილით კი დასტურდება, რომ მოპასუხე მოსარჩელე კომპანიას სთხოვს ხელშეკრულების 3.3 პუნქტის შესაბამისად, 2 დღის ვადაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას. შესაბამისად, მოპასუხის მიერ ხელშეკრულების 3.3 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის მიზეზი, არ გამხდარა მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის რწმუნებულების გაუქმება. მოპასუხე თავად ადასტურებს, რომ რწმუნებულება გაუქმდა მას შემდეგ, რაც მის მიერ შეტანილი საჩივარი დაკმაყოფილდა და შემცირდა საგადასახადო დავალიანება.

24 რაც შეეხება მოპასუხისათვის გასამრჯელოს ანაზღაურებას, სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე კოდექსის 720-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს რწმუნებულს მინდობილი მოქმედების შესრულებისას გაწეული ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო, თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო – გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს კვალობაზე. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაწეული მომსახურებისთვის გასამრჯელოდ განი-

საზღვრა 5000 ლარი, რაც უკვე ანაზღაურებული აქვს მოსარჩელეს მოპასუხისთვის. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ მოპასუხისათვის №20.01.16-1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის – 5000 ლარის გადახდით შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – განეული მომსახურებისათვის გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ.

25. სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. დასახელებული ნორმის ნორმატიული შინაარსის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპით. ხელშეკრულების პირობა წინასწარ შემუშავებულ ხასიათს არ ატარებს, მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ საკითხზე შეთანხმდნენ. ამისათვის მათ არ სჭირდებათ რაიმე ნებართვა ან შინაარსის დაცვა. მთავარია, მათი შეთანხმება არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს, აკმაყოფილებდეს მორალის ფარგლებს და საჯარო წესრიგს არ არღვევდეს. სსკ-ის 68-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუკი ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. ამავე კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. სახელშეკრულებო ბოჭვის პირობებში ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია, შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. სწორედ, აღნიშნულ პრინციპზე მიუთითებს სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ვალდებულების შესრულების ძირითად კრიტერიუმებს, კერძოდ, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

26. ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი, სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერი სამართლის სისტემაში. ვალდებულების შესრულება ხასიათდება იმით, რომ იგი წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტისაკენ მიმართულ ნებელობით ქმედებებს. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნ-

ნათა განუხრელ დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან. თუ როგორი შესრულებაა ჯეროვანი, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებით განისაზღვრება.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა შეჯამების სახით აღნიშნავს, რომ მოპასუხემ შესაბამის მტკიცებულებებზე მითითებით ვერ დაადასტურა მის მიერ ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, კერძოდ საგადასახადო ორგანოს მიერ მოსარჩელისათვის დაკისრებული თანხის 50%-მდე შემცირება; მოპასუხემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მოსარჩელის ბრალეული ქმედების გამო ვერ შეძლო აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება; ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი სადავო თანხის ნაწილში ასევე არ ითვალისწინებდა წარმომადგენლის მიერ განეული მომსახურების ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს პროპორციულად და მითითებული პუნქტი არც მსგავსი განმარტების შესაძლებლობას იძლეოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს არ წარმოშობია ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული „წარმატების საკომისიოს“/ „წარმატების ჰონორარის“ მოპასუხისათვის გადახდის ვალდებულება და სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ავანსის სახით ჩარიცხული 95000 ლარის მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ საფუძვლიანია.

28. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს; შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდეს.

29. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავ

მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიცხადდება საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

30. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე წინასწარ გადახდილი აქვს 2850, რისი ანაზღაურებაც მოპასუხეს უნდა დაეკისროს. ამასთან, მასვე უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3993.8 ლარის გადახდა, ხოლო კასატორს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს გ. ბ-ძის მიერ 2017 წლის 8 აგვისტოს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან (2852 ლარი) ზედმეტად გადახდილი 02 ლარი (საგადახდო დავალება №0).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ლ. M-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ლ. M-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ე. ჩ-ას შპს „ლ. M-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 95000 ლარის გადახდა;
5. შპს „ლ. M-ის“ (...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს გ. ბ-ძის მიერ 2017 წლის 8 აგვისტოს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხიდან (2852 ლარი) ზედმეტად გადახდილი 02 ლარი (საგადახდო დავალება №0);
6. ე. ჩ-ას შპს „ლ. M-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 6843.8 (2850+3993.8) ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. საბანკო გარანტია

საბანკო გარანტიის თანხის დაკისრების მართლზომიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-775-2019

5 აგვისტო, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ (შემდგომში – „სააგენტო“) მიერ 2017 წლის 17 აგვისტოს გამოცხადებული შესყიდვის ელექტრონული პროცედურის GEO170000503 საფუძველზე, 2017 წლის 14 სექტემბერს ა(ა)იპ „თბილისის №115 საბავშვო ბაგა-ბაღსა“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „მოსარჩელე შეგებებულ სარჩელში“, „ბაგა-ბაღი/ბაღი“ ან „შემსყიდველი“) და შპს „ე-ს“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „მოპასუხე შეგებებულ სარჩელში“ ან „მიმწოდებელი“) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა 510 სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვის კვება და კვებითი მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და თანდართული კვების მენიუს მიხედვით. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 128 443,50 ლარს.

2. ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს 510 სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვის დღეში სამჯერადი კვებითი მომსახურების განევა 2017 წლის 18 სექტემბრიდან 2017 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და თანდართული კვების მენიუს მიხედვით.

3. ხელშეკრულების 6.1-6.3 პუნქტების თანახმად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად. ზედამხედველობას განახორციელებს მოპასუხე და სააგენტოს შესაბამისი სამსახურები.

4. ხელშეკრულების 8.1 პუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის – 3917 ლარის ოდენობით.

5. ხელშეკრულების 9.2 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების 11.5 პუნქტის თანახმად, წინამდებარე გარიგების 9.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. მხარეთა შორის 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული დამოუკიდებელი ხელშეკრულების დანართი №1-ის (შესასყიდი პროდუქტების აღწერილობა) თანახმად, მოსარჩელის მიერ შემსყიდველისათვის მისაწოდებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ჩამონათვალიდან ყველის ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- თითოეული მიწოდებული პარტია უნდა იყოს დამზადებული პასტერიზებული რძისგან, ნაკლებად მარილიანი, ქარხნული წარმოების, ნათხის რბილი ყველი, არადაამახსიათებელი სუნის და გემოს გარეშე. სადაც მშრალი ნივთიერების შემცველობაა არა უმცირეს 52%-ისა, მშრალ ნივთიერებაში ცხიმის შემცველობა 40%, მარილი 0.5-1.5%. დაჭრის დროს არ უნდა იფხვზნებოდეს. არ უნდა შეიცავდეს მავნე ქიმიურ ელემენტებს. მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით (საქართველოს მთავრობის დადგენილება №152, 2015 წლის 03 აპრილი) განსაზღვრულ მოთხოვნებს;

- შეფუთული და სათანადოდ ეტიკეტირებული, ვაკუუმ შეფუთვაში. ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალიზირებული მანქანა-რეფერეჟერატორით (მაცივარი), თითოეულ მიწოდებულ პარტიას თან უნდა ახლდეს შესაბამისობის დეკლარაცია. სურსათი უნდა შეესაბამებოდეს დეკლარირებული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

- მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დაწყების წინ და შემდგომ, თვეში ერთხელ წარადგინოს მიკრობიოლოგიური კვლევის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია (აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული შემოწმების შედეგები);

– მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის მინიმუმ 40%;

– სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვისა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და მოქმედ სტანდარტებს.

8. მხარეთა შორის 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული დამოუკიდებელი ხელშეკრულების დანართი № 1-ის (შესასყიდი პროდუქტების აღწერილობა) თანახმად, მოსარჩელის მიერ შემსყიდველისათვის მისაწოდებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ჩამონათვალიდან კარაქის ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

– თითოეული მიწოდებული პარტია უნდა იყოს დამზადებული რძის ნაღებისგან, მცენარეული ცხიმის გარეშე, ქარხნული წესით. ფერი, სუნი და გემო დამახასიათებელი გარკვეული ნიშუშისათვის. დაჭრის დროს არ უნდა იფხვწებოდეს. რძის ცხიმის შემცველობა არანაკლებ 80%, წყლის შემცველობა არაუმეტეს 16%, ხოლო გაუცხიმოებული (მოხდილი) რძის მშრალი ნაშთის შემცველობა არაუმეტეს 2%. არ უნდა შეიცავდეს მავნე ქიმიურ ელემენტებს, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს (საქართველოს მთავრობის დადგენილება № 152, 2015 წლის 03 აპრილი);

– შეფუთული და სათანადოდ ეტიკეტირებულ შეფუთვაში. ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალიზირებული მანქანარეფრეჟერატორით (მაცივარი), თითოეულ მიწოდებულ პარტიას თან უნდა ახლდეს შესაბამისობის დეკლარაცია. სურსათი უნდა შეესაბამებოდეს დეკლარირებული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

– მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დაწყების წინ და შემდგომ, თვეში ერთხელ წარადგინოს მიკრობიოლოგიური კვლევის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია (აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული შემოწმების შედეგები);

– მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის არანაკლებ 40%;

– სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვისა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და მოქმედ სტანდარტებს.

9. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2017 წლის 14 სექტემბერს გაიცა სს „ბ-ის“ (შემდგომში – „ბანკი“) საბანკო გარანტია № BB. 14.09/154, სადაც პრინციპალს წარმოადგენს – მოსარჩელე, ბენეფიციარს – მოპასუხე, ხოლო საგარანტიო თანხის ზღვრული მო-

ცულობა შეადგენს – 3917 ლარს.

10. 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის 2017 წლის 03 დეკემბრიდან 2017 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით მიწოდებული საქონლის ღირებულება დღგ-სა და აქციზის ჩათვლით შეადგენს 24 615,6 ლარს.

11. მოპასუხის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მოსარჩელესთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2017 წლის დეკემბრის თვის (01 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით) შედარების აქტის შედგენაზე, მიწოდებული პროდუქტების (ყველი, კარაქი) ხელშეკრულებით მოთხოვნილ სავალდებულო პარამეტრებთან შეუსაბამობის გამო.

12. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღში მოსარჩელის მიერ შეტანილი ყველის ეტიკეტირების შემოწმების მიზნით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს. ამ უკანასკნელის 2017 წლის 15 დეკემბრის №09/03005 მიმართვის თანახმად, წერილის დანართად წარდგენილი სურსათი „იმერული“ არ შეესაბამება ხელშეკრულებით მოთხოვნილი სურსათის, ყველის სავალდებულო პარამეტრებს.

13. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 19 დეკემბრის №09/13126 მიმართვიდან ასევე ირკვევა, რომ წარდგენილი სურსათის „კარაქის“ ეტიკეტი არ შეესაბამება ხელშეკრულებით მოთხოვნილი კარაქის სავალდებულო პარამეტრებს.

14. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის: გაწეული მომსახურების ღირებულების – 24 615,6 ლარის, გამოთხოვილი საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით 1752 ლარის გადახდის დაკისრება. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხისათვის მიწოდებული პროდუქტი (კარაქი და ყველი) სრულად შეესაბამებოდა ელექტრონული შესყიდვის პროცედურითა და 2017 წლის 14 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თუმცა მოპასუხემ უარი განაცხადა 2017 წლის დეკემბერში გაწეული მომსახურების დადასტურებასა და მომსახურების თანხის ანაზღაურებაზე.

15. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო.

16. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა მისთვის 37 159,1 ლარის გადახდის დაკისრება.

17. შეგებებული სარჩელით მოსარჩელის განმარტებით, უტყუარადაა დადასტურებული, რომ მოსარჩელის მიერ საბავშვო ბაგა-ბაღებში შეტანილი პროდუქტები (ყველი და კარაქი) არ შეესაბამებოდა საბავ-

შვო ბაგა-ბალებსა და მოსარჩელეს შორის კვებითი მომსახურების შეს-
ყიდვის სავალდებულო პარამეტრებს, მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალ-
დებულებები შესრულებულია უხარისხოდ, არაჯეროვნად და არსები-
თად არის დარღვეული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულე-
ბების პირობები, რამაც ზიანი მიაყენა ქალაქ თბილისის მუნიციპალი-
ტეტსა და ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბალებს“, მათ შორის, მოპა-
სუხეს. კერძოდ, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის მიწოდებულ იქნა
ხელშეკრულებასთან შეუსაბამო მახასიათებლების მქონე პროდუქტე-
ბი – 19 216,5 ლარის კარაქი და 17 942,6 ლარის ყველისმაგვარი მასა,
ანუ ჯამში 37 159,1 ლარის ღირებულების ხელშეკრულებასთან შეუსა-
ბამო პროდუქტი, რაც ექვემდებარება მოსარჩელის მხრიდან ანაზღა-
ურებას.

18. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გა-
მომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც შეგებებული სარჩელი არ ცნო.

19. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2018 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმა-
ყოფილდა ნაწილობრივ (პირველი პუნქტი); მოპასუხეს მოსარჩელის სა-
სარგებლოდ დაეკისრა განეული მომსახურეობის ღირებულების – 24
615,6 ლარისა (1.1 პუნქტი) და პირგასამტეხლოს – 100 ლარის (1.2 პუნ-
ქტი) გადახდა; სარჩელი მოპასუხისათვის საბანკო გარანტიის თანხის –
3917 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა (მე-2 პუნქტი);
სარჩელი ასევე არ დაკმაყოფილდა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს
– 1652 ლარის დაკისრების ნაწილში (მე-3 პუნქტი); შეგებებული სარჩე-
ლი არ დაკმაყოფილდა (მე-4 პუნქტი).

20. მხარეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე-
ბაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივრები. მოსარჩელემ მოითხოვა გა-
დაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და მისი სარჩელის სრულად დაკ-
მაყოფილება; ხოლო მოპასუხემ გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქ-
მება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილე-
ბაზე სრულად უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-
ლატის 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელა-
ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (პირველი პუნქტი), ხოლო მოსარჩე-
ლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა (მე-2 პუნქტი); გასაჩივრე-
ბული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტი-
ლება (მე-3 პუნქტი), რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად (მე-
4 პუნქტი); მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განეული
მომსახურების ღირებულების – 24 615,6 ლარისა (მე-5 პუნქტი) და პირ-
გასამტეხლოს – 1752 ლარის (მე-6 პუნქტი) გადახდა; ასევე, საბანკო
გარანტიის თანხის – 3917 ლარის ანაზღაურება (მე-7 პუნქტი); გასაჩივ-

რებული გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი დარჩა უცვლელი (მე-8 პუნქტი).

22. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადანყვეტილების 1-13 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

23. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა შემდეგი: უდავოა, რომ ბანკმა მოპასუხეს გადაურიცხა საგარანტიო თანხა 3917 ლარი; ასევე, უდავოა, რომ მიწოდებული პროდუქცია (ყველი და კარაქი) შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უვნებლობის პარამეტრებს.

24. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხისათვის მიწოდებული პროდუქტი – ყველი, დასახელებით „იმერული“, სრულად არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველის მახასიათებლებს, ვინაიდან ნაცვლად პასტერიზებული რძისა იგი დამზადებული იყო ალდგენილი რძისგან.

25. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 03 აპრილის №152 დადგენილების მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ალდგენილი რძის ნაწარმს წარმოადგენს რძის ნაწარმი, რომელიც მიიღება რძის მშრალ ან შესქელებულ/კონცენტირებულ ნაწარმზე იმ რაოდენობის წყლის დამატებით, რომ მასში ალდგენილ იქნეს რძის ნაწარმისთვის დეკლარირებული სტანდარტით დადგენილი, დამახასიათებელი სინესტისა და მშრალი ნივთიერების მასური წილის შესაბამისი თანაფარდობა. იმავე პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მშრალი რძე (რძის ფხვნილი) არის რძის ნაწარმი, რომელიც მიიღება რძის ნაწილობრივ გაუწყლოებით. იმავე პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პასტერიზებულ რძეს (მაღალი ტემპერატურით დამუშავებული) წარმოადგენს უვნებლობის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დადგენილი მოთხოვნების დაცვის მიზნით, თერმულად (თბურად) დამუშავებული სასმელი რძე. იმავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სასმელი რძე არის რძე, რომელიც გამოიზნულია ადამიანის მიერ უშუალოდ მოხმარებისათვის, შემდგომი გადამუშავების გარეშე. ამდენად, მითითებული დებულებების შესაბამისად, ალდგენილი და პასტერიზებული რძე განსხვავებული რძის პროდუქტებია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მხრიდან ბალისთვის ალდგენილი რძისგან დამზადებული ყველი „იმერულის“ მიწოდება ნივთობრივი ნაკლის მქონე შესრულებას წარმოადგენს.

26. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მე-2 აპელანტის/მოპასუხის

პრეტენზია, რომ მოსარჩელის მიერ ბალისათვის მიწოდებული კარაქიც ნივთობრივი ნაკლის მქონეა. სასამართლოს განმარტებით, უდავოა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით მოსარჩელეს ბალისთვის უნდა მიეწოდებინა კარაქი, რომელშიც რძის ცხიმის შემცველობა არანაკლებ 80%-ია. უდავოა ასევე, რომ მოსარჩელის მიერ ბალისთვის მიწოდებული კარაქის ეტიკეტზე ცხიმის შემცველობად მითითებულია 80% (+/-0,5). საწინააღმდეგო მტკიცებულების არარსებობის პირობებში კი, ივარაუდება, რომ პროდუქტის თვისებები შესაბამისობაშია მის ეტიკეტზე დატანილ მახასიათებლებთან.

27. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არ არის წარდგენილი იმის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება, რომ მოსარჩელის მიერ ბალისთვის მიწოდებულ კარაქში ცხიმის შემცველობა 80%-ზე ნაკლებია. შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიაჩნია, რომ კარაქის მიწოდების ნაწილში კომპანიამ სახელშეკრულებო ვალდებულება პირნათლად შეასრულა.

28. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477.1, 477.2, 487-ე, 488.1, 490.1, 491-ე, 492-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში უდავოა ბაგა-ბალის მიერ მოსარჩელისაგან მიწოდებული ნივთობრივი ნაკლის მქონე ყველის – „იმერული“ მიღებისა და დანიშნულებით გამოყენების ფაქტი. უდავოა ასევე, რომ ბაღს კომპანიისთვის არც ნაკლის გამოსწორება (ნაკლიანი პროდუქტის შეცვლა), არც ამ მიზეზით ხელშეკრულების მოშლა და არც ფასის შემცირება მოუთხოვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბაგა-ბაღს მოსარჩელის სასარგებლოდ მართებულად დაეკისრა მიწოდებული პროდუქციის ღირებულება – 24 615,6 ლარის ოდენობით.

29. სააპელაციო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 418.1, 418.2, 420-ე მუხლებით და გაიზიარა პირველი აპელანტის/მოსარჩელის პრეტენზია, რომ მხარეთა შორის შეთანხმებული პირგასამტეხლო არ იყო შეუსაბამოდ მაღალი და არ არსებობდა მისი შემცირების საფუძველი.

30. სააპელაციო პალატის განმარტებით, პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს კონკრეტულ გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე – კრედიტორის ეკონომიკური ინტერესი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეს დღემდე არ აქვს ანაზღაურებული 2017 წლის დეკემბერში მიწოდებული პროდუქციის ღირებულება. ამასთან, მისი მოსაზრებით, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამ-

ტეხლოს პროცენტული ოდენობა – 0,1% არ წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ ნიშნულს, რის გამოც სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლო სააპელაციო პალატამ გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნია ვალდებულების დარღვევის მოცულობასთან და ვადაგადაცილების ხანგრძლივობასთან მიმართებით.

31. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სამართლოს დასკვნა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394.1, 494.1, 408.1, 409-ე მუხლებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება მოპასუხისათვის რაიმე სახის ზიანის მიყენების შესახებ. სასამართლოს განმარტებით, მართალია დადგენილია მოსარჩელის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, მაგრამ საქმის მასალებით არ დგინდება მოპასუხისათვის ზიანის, როგორც მატერიალური და ნაკლისის მიყენების ფაქტი. შესაბამისად, არ არსებობს ზიანის ანაზღაურების თაობაზე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

32. სააპელაციო პალატამ მოიხმო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე, 880-ე მუხლები და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შედეგად მოპასუხეს რაიმე ზიანი არ მისდგომია. საქმეში არ მოიპოვება აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ბაგა-ბალი ზიანის არარსებობის გამო მიღებული საგარანტიო თანხით კომპანიის მხრიდან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის კომპენსირებას ვერ მოახდენდა.

33. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საგარანტიო თანხის მიღებით ბაგა-ბალი უსაფუძვლოდ გამდიდრდა, ვინაიდან პრინციპალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით ბენეფიციარს რაიმე ფინანსური ზიანი არ განუცდია. რაც შეეხება მოსარჩელეს, მას გარანტიის მიმართ წარმოეშვა ბენეფიციარისთვის გადახდილი საგარანტიო თანხის ანაზღაურების ვალდებულება. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ბალი 3917 ლარით უსაფუძვლოდ გამდიდრდა კომპანიის ხარჯზე, შესაბამისად, ბალს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროს ხსენებული თანხის პრინციპალისთვის დაბრუნების ვალდებულება.

34. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2021 წლის 30 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებაზე იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარის ანაზღაურება დაეკისრა, ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ხოლო, საკასაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების დანარჩენ ნაწილზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

36. კასატორმა საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხელშეკრულების დარღვევისთვის სხვა სანქცია გამოყენებული არ ყოფილა და არც ხელშეკრულება ითვალისწინებდა სხვა სახის დარღვევას.

სამოტივაციო ნაწილი:

37. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარის ანაზღაურება, უნდა დაკმაყოფილდეს.

38. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოპასუხისათვის, როგორც ბენეფიციარისათვის, მოსარჩელის, პრინციპალის სასარგებლოდ საბანკო გარანტიის თანხის დაკისრების მართლზომიერება.

39. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე და 880-ე მუხლების თანახმად, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას.

40. საბანკო გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას. საბანკო გარანტია სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავ-

დება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესოროლობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულება), განაპირობებს მისი არააქცესორული ბუნება. თავად საბანკო გარანტია წარმოადგენს დამოუკიდებელ ვალდებულებას (სსკ-ის ის 881-ე მუხლი). პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას. ამიტომაც, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები (იხ. სუსგ საქმე №ას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი).

41. შესრულების გარანტიის (საბანკო გარანტიის ერთერთი სახე) მთავარ მიზანს შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის კომპენსირება წარმოადგენს. მსგავსი გარანტია დამკვეთის მხრიდან საკონტრაქტო ფასის შესაბამისი სრული მომსახურების მიღებას და იმ დანაკარგის კომპენსაციას ემსახურება, რაც შეიძლება კონტრაქტის არასათანადო შესრულებით წარმოიშვას, ასევე, ფარავს იმ რისკს, რაც მიწოდებულ პროდუქტიაში დეფექტების აღმოჩენასთან არის დაკავშირებული. ამდენად, შესრულების საბანკო გარანტია არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მაკომპენსირებელ საშუალებას წარმოადგენს.

42. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული იყო შესრულების გარანტია. კერძოდ, ხელშეკრულების 8.1 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო წარმოქმნილი რისკის თავიდან აცილების მიზნით, გამოიყენებოდა გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის – 3917 ლარის ოდენობით; ამასთან, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2017 წლის 14 სექტემბერს გაიცა ბანკის საბანკო გარანტია, სადაც პრინციპალს წარმოადგენდა – მოსარჩელე, ბენეფიციარს – მოპასუხე, ხოლო საგარანტიო თანხის ზღვრული მოცულობა შეადგენდა – 3917 ლარს; სადავო არ არის, რომ ბანკმა მოპასუხეს გადაურიცხა საგარანტიო თანხა, 3917 ლარი.

43. დადგენილია ასევე, რომ მიმწოდებელმა კომპანიამ, მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. კერძოდ, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის მიწოდებული პროდუქტი – ყველი, დასახელებით „იმერული“, სრულად არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველის მახასიათებლებს, ვინაიდან ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასტერიზებული რძისა, იგი დამზადებული იყო აღდგენილი რძისაგან (იხ. წინამდებარე განჩინების 24-ე-25-ე პუნქტები), რომელიც განსხვავებულ რძის პროდუქტს წარმოადგენს.

44. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია მიმწოდებლის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ არაჯეროვანი შესრულება ერთ-ერთ მიწოდებულ პროდუქტთან მიმართებით. შესაბამისად, ვინაიდან საბანკო გარანტია გამოუთხოვადი ხასიათის იყო და, თავისი არსით, შემკვეთს არაჯეროვანი შესრულებისაგან იცავდა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის მოპასუხისათვის საბანკო გარანტიის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რის გამოც ამ ნაწილში სარჩელი არასწორად დაკმაყოფილდა (მსგავს სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა, იხ. მაგ., სუსგ საქმეებზე: №ას-108-2020, 03 ივნისი, 2020 წელი; №ას-174-2020, 17 ივნისი, 2020 წელი; №ას-596-2020, 29 ოქტომბერი, 2020 წელი)

45. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

46. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონ-

ნის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

47. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარის ანაზღაურება დაეკისრა, უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4, მე-7 და მე-9 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის სარჩელი მოპასუხისათვის საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს. საკასაციო საჩივარი გასაჩივრებული გადაწყვეტილების დანარჩენ ნაწილზე დაუშვებლად იქნა ცნობილი, შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

48. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

49. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის გაწეული მომსახურების ღირებულების – 24 615,6 ლარის, გამოთხოვილი საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარისა და პირგასამტეხლოს სახით 1752 ლარის გადახდის დაკისრება. შესაბამისად, დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 30 284,6 ლარს; ხოლო, შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნას შეგებებული სარჩელით მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების სახით – 37 159,1 ლარის გადახდის დაკისრება.

50. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი მოპასუხისათვის საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ხოლო, ვინაიდან, საკასაციო საჩივარი გასაჩივრებული გადაწყვეტილების დანარჩენ ნაწილზე დაუშვებლად იქნა ცნობილი, გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული.

51. ამდენად, საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის 87,07%. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელემ სარჩელზე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 908 ლარის ოდენობით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად 908 ლარის 87,07%, რაც შეადგენს 790,59 ლარს.

52. რაც შეეხება მოპასუხის შეგებებულ სარჩელს, მის მიერ შეგებებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს ბიუჯეტში, ვინაიდან მისი შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

53. სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, შესაბამისად, მისი სააპელაციო საჩივრის ფასი შეადგენდა – 5 569 ლარს (3917 ლარს + 1652 ლარი). საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო მოთხოვნის 29,66%. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 223 ლარი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო სასამართლოში განუხილავი ხარჯის ასანაზღაურებლად 223 ლარის 29,66%, რაც შეადგენს 66,14 ლარს.

54. რაც შეეხება მოპასუხის სააპელაციო საჩივარს, საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, მისი სააპელაციო საჩივარი არცერთ ნაწილში დაკმაყოფილებულა, შესაბამისად, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი რჩება ბიუჯეტში.

55. საკასაციო სასამართლოში მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარის ანაზღაურება, შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში უნდა განანილდეს მხოლოდ 3917 ლარის შესაბამისი სახელმწიფო ბაჟი – 195,85 ლარი. ვინაიდან სარჩელი 3917 ლარის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის ასანაზღაურებლად 195,85 ლარის გადახდა.

56. საბოლოოდ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 856,73 ლარის (790,59 ლარს + 66,14 ლარი), ხოლო მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ 195,85 ლარის გადახდა. შესაბამისად, გაქვითვის შედეგად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზ-

ლაურებლად 660,88 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ა(ა)იპ „თბილისის №115 საბავშვო ბაგა-ბაღის“ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით იმ ნაწილში, რომლითაც ა(ა)იპ „თბილისის №115 საბავშვო ბაგა-ბაღს“ შპს „ე-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარის ანაზღაურება, დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4, მე-7 და მე-9 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ე-ის“ სარჩელი ა(ა)იპ „თბილისის №115 საბავშვო ბაგა-ბაღის-თვის“ საბანკო გარანტიის თანხის – 3917 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

5. ა(ა)იპ „თბილისის №115 საბავშვო ბაგა-ბაღს“ (ს/კ: ...) შპს „ე-ის“ (ს/კ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს 660,88 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად გაწეული ხარჯის ანაზღაურების სახით;

6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განუზიციარის მოთხოვნის წარდგენის ფორმა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1789-2018

3 აგვისტო, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: საგარანტიო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისის მერიასა (შემდგომში – „მოსარჩელე“, „შესყიდველი“ ან „აპელანტი“) და შპს „დ.-ს (შემდგომში – „კომპანია“, „მიმწოდებელი“, „პრინციპალი“ ან „მესამე პირი“) შორის 2013 წლის 25 თებერვალს დაიდო №1.1.1/30/87-3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება თანხაზე – 479 997,98 ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გლდანის ზონის გზებისა და ქუჩების შეკეთების სამუშაოების შესყიდვას. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რისკის თავიდან აცილების მიზნით, მხარეებმა მიმართეს გარანტირების მექანიზმს, საბანკო გარანტიას, რომელიც გაიცა სს „ს.კ.ა-ის“ (ამჟამად – სს „ა.დ-ვა“) (შემდგომში – „მოპასუხე“, „სადაზღვევო კომპანია“, „გარანტი“ ან „კასატორი“) მიერ 14 400 ლარის ოდენობით, 2014 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

2. მოსარჩელესა და კომპანიას შორის 2013 წლის 25 თებერვალს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1.1.1/30/87-1 ხელშეკრულება თანხაზე – 416 999,90 ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, სამგორის ზონის გზებისა და ქუჩების შეკეთების სამუშაოების შესყიდვას. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რისკის თავიდან აცილების მიზნით, მხარეებმა მიმართეს გარანტირების მექანიზმს, საბანკო გარანტიას, რომელიც გაიცა მოპასუხის მიერ 12 510 ლარის ოდენობით, 2014 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1.1.1/30/87-1 და №1.1.1/30/87-3 ხელშეკრულებების თანახმად, ხელშეკრულებები მოქმედებდა მათი გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულებ-

ბების 4.1 პუნქტის თანახმად, შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტების მისამართი, დეფექტური აქტი და შესრულების გეგმა-გრაფიკი (საჭიროების შემთხვევაში) შემსყიდველის (წარმოდგენილი მოსარჩელის კეთილმონყობის საქალაქო სამსახურის სახით) მიერ ეტაპობრივად ეცნობებოდა მიმწოდებელს. მთლიანი სამუშაოების დასრულების ვადა – ეტაპობრივად, 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულებების მე-7 პუნქტით განისაზღვრა შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარების წესი, რომლის თანახმად: შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შესახებ და წარუდგინოს ანგარიშები (შესრულებული ვალდებულების შესახებ); მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ შემსყიდველის მიერ დაქირავებული საექსპერტო ჯგუფი განახორციელებს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებას და შემოწმების შედეგებს აცნობებს შემსყიდველს, რის შემდეგაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 პუნქტში მითითებული პირები).

5. ხელშეკრულებების მე-12 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ თუ რა ჩაითვლებოდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად:

– ხელშეკრულებების 12.3 პუნქტის თანახმად, კონკრეტულ ობიექტზე გადაცემული გეგმა-გრაფიკის 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

– ხელშეკრულებების 12.4 პუნქტის თანახმად კი, თუ მიმწოდებლის მიერ გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადის დარღვევა გამოწვეულია შემსყიდველის მიერ დაქირავებული საექსპერტო ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებისათვის აუცილებელი დროის გამოყენებით, ასეთ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული წინამდებარე ხელშეკრულების 12.2 და 12.3 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

6. საბანკო გარანტიების თანახმად, გარანტმა იკისრა ვალდებულება, რომ საგარანტიო თანხას გადაიხდიდა ბენეფიციარის პირველივე

მოთხოვნისთანავე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე.

7. მოსარჩელემ 2014 წლის 31 იანვარს წერილობით მიმართა მოპასუხეს კომპანიასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დარღვევის, ვადაგადაცილების გამო, საგარანტიო თანხების ნაწილის – 11 167,12 ლარის ნაცვლად – 9 103,15 ლარისა და 7 011,03 ლარის ნაცვლად 5 844,50 ლარის სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხვის თაობაზე.

8. მოსარჩელემ 2014 წლის 25 ივლისს კვლავ მიმართა წერილობით მოპასუხეს კომპანიასთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დარღვევის (ვადაგადაცილების) გამო საგარანტიო თანხების სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხვა მოითხოვა. კერძოდ, №1.1.1/30/87-1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესრულების გარანტიის სახით მოითხოვა 7 011,03 ლარი, ხოლო №1.1.1/30/87-3 ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 11 167,12 ლარი.

9. კომპანიის მიერ №1.1.1/30/87-3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – გლდანის-ნაძალადევის რაიონში, გლდანის ზონის გზებისა და ქუჩების შეკეთების სამუშაოების შესახებ, უნდა შესრულებულიყო – 2013 წლის 10 მაისამდე. ხელშეკრულების შესაბამისად, ვადის დარღვევად არ ჩაითვლებოდა, თუ ხელშეკრულება შესრულდებოდა 10 მაისიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ანუ 2013 წლის 09 ივნისის ჩათვლით. დადგენილია, რომ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდა – 2013 წლის 11 ივნისს.

10. დადგენილია, რომ 2013 წლის 16 აპრილის №07-18/2997 წერილით კომპანიას №1.1.1/30/87-1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში ისანი-სამგორის რაიონში, დავითაიას, ჯავახეთის, საცხენისისა და ვარკეთილის გზებისა და ქუჩების შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად განესაზღვრა ვადა კონკრეტულ ობიექტებზე, მათ შორის ჯავახეთის ქუჩის სამუშაოების შესასრულებლად – 2013 წლის 30 აპრილამდე. 2013 წლის 14 ივნისის №07-18/13165190 წერილით კი, აღნიშნული ვადა გაგრძელდა – 2013 წლის 24 ივნისამდე, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი შედგა – 2013 წლის 02 ივლისს.

11. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის 20.02.2013წ. №FRI/13-019637 საბანკო გარანტიიდან გამომდინარე 7 011,03 ლარის, ხოლო 20.02.2013წ. №FRI/13-019638 საბანკო გარანტიიდან გამომდინარე 11 167,12 ლარის გადახდის დაკისრება.

12. მოსარჩელემ წინამდებარე განჩინების პირველ და მე-2 პუნქტებ-

ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გარდა, სარჩელის საფუძვლად შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

12.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 1.1.1/30/87-3 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 16.04.2013წ. №07-18/3001 წერილით კომპანიას ეთხოვა კონკრეტულ ობიექტებზე, მათ შორის გლდანულას გზაზე დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება 2013 წლის 10 მაისამდე, თუმცა კომპანიამ გლდანულას გზის მოასფალტების სამუშაოები განახორციელა წერილით განსაზღვრული ვადის დარღვევით – 2013 წლის 11 ივნისს (ვადაცადაცილებულ იქნა 30 დღეზე მეტი ვადით);

12.2. საქმეში წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ 2013 წლის 08 ივნისის მდგომარეობით კომპანიამ შეასრულა 107 760,94 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო № 1.1.1/30/87-3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების თანხამ შეადგინა 372 237,04 ლარი, რომლის 3% შეადგენს 11 167,12 ლარს;

12.3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 1.1.1/30/87-1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 16.04.2013წ. №07-18/2997 წერილით კომპანიას ეთხოვა კონკრეტულ ობიექტებზე, მათ შორის ჯავახეთის ქუჩაზე დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება 2013 წლის 30 აპრილამდე, თუმცა კომპანიამ ჯავახეთის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები განახორციელა წერილით განსაზღვრული ვადის დარღვევით – 2013 წლის 02 ივლისს (ვადაცადაცილებულ იქნა 30 დღეზე მეტი ვადით);

12.4. საქმეში წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ 2013 წლის 29 მაისის მდგომარეობით კომპანიამ შეასრულა 183 299,11 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო № 1.1.1/30/87-1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების თანხამ შეადგინა 233 700,79 ლარი, რომლის 3% შეადგენს 7 011,03 ლარს;

12.5. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების 4.1 პუნქტის თანახმად, „შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტების მისამართი, დეფექტური აქტი და შესრულების გეგმა-გრაფიკი (საჭიროების შემთხვევაში) შემსყიდველის მიერ ეტაპობრივად ეცნობება მიმწოდებელს“, ხოლო 12.3 პუნქტის მიხედვით, „კონკრეტულ ობიექტზე გადაცემული გეგმა-გრაფიკის 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცელების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 3%-ის ოდენობით;

12.6. მოსარჩელემ რამდენჯერმე, 2014 წლის 31 იანვარს, 28 მარტსა და 25 ივლისს წერილობით მიმართა მოპასუხე სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვა კომპანიის მიერ ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით საბანკო გარანტიებით განსაზღვრული თანხის ნაწილის ბენეფიციარის სასარგებლოდ გადახდა, თუმცა მოპასუხემ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოდ უარი განაცხადა.

13. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო. შესაგებელში მოპასუხემ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა:

13.1. მოსარჩელესა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებების 4.1 პუნქტის თანახმად, შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტების მისამართი, დეფექტური აქტი და შესრულების გეგმა-გრაფიკი (საჭიროების შემთხვევაში) კომპანიას მოსარჩელისაგან (კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური) ეტაპობრივად ეცნობებოდა;

13.2. 16.04.2013წ. №07-18/3001 წერილით კომპანიას კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების დასრულებისათვის, მათ შორის გლდანულას გზაზე განესაზღვრა ვადა 2013 წლის 10 მაისამდე, თუმცა არ დასტურდება აღნიშნული წერილის პრინციპალისათვის ვადაში ჩაბარების ფაქტი. ამავე დროს შეუძლებელია სამუშაოთა შესრულების დასრულების თარიღად აღნიშნული თარიღი მივიჩნიოთ, რადგან დასრულების შემდგომ უნდა მომხდარიყო სამუშაოს შეფასება შპს „ლაბორატორიის“ მიერ, რომელიც ვადასთანაა დაკავშირებული;

13.3. 2014 წლის 31 იანვარს ბენეფიციარმა მოითხოვა 9 103,1505 ლარი, შესაბამისად, თანხის ოდენობის გაზრდა განხორციელდა ვადის გასვლის შემდგომ და მისი დაკმაყოფილება შეუძლებელია;

13.4. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ვერ მიიჩნევა გეგმა-გრაფიკად. შესაბამისად, ვადების განსაზღვრა არ შეიძლება მხოლოდ ამ დოკუმენტით მომხდარიყო. ბენეფიციარი მიუთითებს გლდანულას გზის შესაკეთებელი სამუშაოების ვადაში შეუსრულებლობაზე და სწორედ აქედან ახდენს საბანკო გარანტიის ამოქმედებას. ეს მოთხოვნა თავისთავად უსაფუძვლოა, ვინაიდან პრინციპალის მიერ აღნიშნული სამუშაო შესრულდა იმ ვადაში, რა ვადაც არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის ამოქმედებას;

13.5. 16.04.2013წ. №07-18/2997 წერილით კომპანიას განესაზღვრა ვადა კონკრეტულ ობიექტზე, მათ შორის ჯავახეთის ქუჩის სამუშაოების შესასრულებლად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ შეგნებულად არ მიუთითა იმავე წლის 14 ივნისის №07-18/13165190 წერილით აღნიშნული ვადის შეცვლისა და მისი 2013 წლის 24 ივნისამდე განსაზღვრის თაობაზე;

13.6. ვინაიდან საქმეში წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით დასტურდება, რომ პრინციპალის მიერ სამუშაოები შესრულდა 02 ივლისს, ის არ შეიძლება ჩაითვალოს ვადაგადაცილებად 30 დღეზე მეტი ვადით. შესაბამისად, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ ბენეფიციარს გარანტიისაგან საბანკო გარანტიით გათვალისწინებული პირობების შესრულება მოეთხოვას;

13.7. ბენეფიციარის მიერ უსაფუძვლოდ არის ამოქმედებული საბანკო გარანტიის პირობები. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებებით არ არის განერილი შესასრულებელი სამუშაოები. იგი განისაზღვრებოდა ბენეფიციარის მიერ პრინციპალისათვის ეტაპობრივად მიცემული სამუშაოებით, რომელთაც თავის მხრივ ვადები გააჩნდა. მოცემულ შემთხვევაში, ბენეფიციარი მიუთითებს ჯავახეთის ქუჩის შესაკეთებელი სამუშაოების ვადაში შეუსრულებლობის შესახებ და სწორედ აქედან ახდენს საბანკო გარანტიის ამოქმედებას. ეს მოთხოვნა თავისთავად უსაფუძვლოა, ვინაიდან პრინციპალის მიერ სამუშაო შესრულდა იმ ვადაში, რა ვადაც არ ითვალისწინებს საბანკო გარანტიის ამოქმედებას;

13.8. ვინაიდან მოსარჩელის მიერ მითითებულ ქუჩებზე პრინციპალის მიერ სამუშაოები ჩატარდა ვადაში ან/და ვადის შემდეგ 30 დღის განმავლობაში, არ არსებობს საბანკო გარანტიის პირობების ამოქმედების საფუძველი.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 ნოემბრის საოქმო განჩინებით წინამდებარე საქმეში მესამე პირად ჩაერთო კომპანია.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

16. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 844,50 ლარისა და 9 103,15 ლარის გადახდა.

18. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-10 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

19. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული გადან-

ყვეტილებით სარჩელს დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ ვადის 2 დღით გადაცილება არ მიიჩნია ისეთ არსებით გარემოებად, რაც შეიძლებოდა საგარანტიო თანხის გამოთხოვის საფუძველი გამხდარიყო. მოპასუხე (გარანტი) კი შესაგებელს ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რაც მოპასუხის მოსაზრებით, საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონისმიერი საფუძველია.

20. სააპელაციო პალატის განმარტებით, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე გარანტის მხრიდან შესასრულებელია იმ მომენტიდან, როდესაც ბენეფიციარი გარანტს წარუდგენს მოთხოვნას ფულადი თანხის გადახდის შესახებ. მხარეები საბანკო გარანტიაში ჩვეულებრივ თვითონ განსაზღვრავენ იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდა. მოთხოვნის წარდგენის ფორმალური წინაპირობების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება „პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის გარანტიის“ დროს ექცევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ბენეფიციარს ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია, რისი კომპენსირებაც სწორედ ამ ფორმალურ პროცედურაზე აქცენტის გადატანით ხდება. სამოქალაქო კოდექსის 885.1 მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტს წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს. მოთხოვნაში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი და ასევე ის, თუ რაში გამოიხატა ეს დარღვევა. იმის მტკიცება, ნამდვილად წარმოეშვა თუ არა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან მოთხოვნა პრინციპალის მიმართ, ბენეფიციარს არ ეკისრება (იხ. სუსგ საქმეზე №ას-894-834-2017, 03 ნოემბერი, 2017 წელი). გარანტი პრინციპალის ვალდებულებას ასრულებს ბენეფიციარის მიმართ და შემდეგ რეგრესული წესით ითხოვს იმ თანხის გადახდას, რომელიც მან გადაუხადა ბენეფიციარს. გარანტს რეგრესული ანაზღაურების უფლება არ წარმოეშობა მაშინ, თუკი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურება გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ განახორციელა.

21. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სსკ-ის 887.1 მუხლის თანახმად, გარანტი უფლებამოსილია (და ვალდებულიც) შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტიის პირობებს. ბენეფიციარის მოთხოვნისა და მასზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება გარანტიის პირობებთან მოიცავს იმასაც, რამდენად დაიცვა ბენეფიციარმა მოთხოვნის წარდგენისას

სსკ-ის 885-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. თუ შემონმების შედეგად გარანტი დაასკვნის, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ან მასზე თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს ან ისინი გარანტს წარედგინა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ, იგი უარს ეტყვის ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

22. სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველი საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ბენეფიციარმა გარანტიის მოქმედების ვადაში წარუდგინა გარანტს წერილობითი მოთხოვნა და პრინციპალის მიერ ნაკისრი ხელშეკრულებების დარღვევის გამო მოითხოვა საგარანტიო თანხების ანაზღაურება, რითაც შეასრულა გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულება. სსკ-ის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გარანტი, არათუ მოცემულ შემთხვევაში, არამედ მაშინაც კი არის ვალდებული შეასრულოს ბენეფიციარის მოთხოვნა, როდესაც მისთვის ცნობილია, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია. მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმოწერა მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას.

23. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნის წარდგენის რაიმე სპეციალურ პირობებზე, როგორც არის – პრინციპალის მიერ დარღვეული ვალდებულების კონკრეტული აღწერა ან/და ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, მხარეები არ შეთანხმებულან. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის შედავა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ბენეფიციარს გარანტისთვის ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენის ვალდებულება გააჩნდა.

24. სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ბენეფიციარის წინაშე გარანტის ვალდებულების ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობის პრინციპის გამოხატულება იმაში მდგომარეობს, რომ ბენეფიციარისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად კანონმდებელი ორ ძირითად შემთხვევას განიხილავს, კერძოდ: თუ ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ (სსკ-ის 887.1 მუხლი). დასახელებულ პირობათაგან არცერთს აქვს კავშირი ძირითად ვალდებულებასთან. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბანკო გარანტია რაიმე დამატებით პირობას არ ითვალისწინებდა და მოთ-

ხოვნა ბენეფიციარის მიერ გარანტის წარედგინა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრებამდე. რაც შეეხება, ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორიცაა საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გარანტი არათუ მოცემულ შემთხვევაში, არამედ მაშინაც კი არის ვალდებული შეასრულოს ბენეფიციარის მოთხოვნა, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია (იხ. სუსგ საქმეზე №ას-894-834-2017, 03 ნოემბერი, 2017 წელი).

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საბანკო გარანტიაში არსებული მითითება იმის თაობაზე, რომ „მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე პირველივე მოთხოვნისთანავე გარანტი იღებს ვალდებულებას საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა აუნაზღაუროს ბენეფიციარს“, გულისხმობს გარანტისთვის ინფორმაციის მიწოდებას, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევისა და საგარანტიო თანხის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის თაობაზე. შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლოა მოპასუხის მტკიცება, რომ გარანტიის პირობას წარმოადგენდა ბენეფიციარის ვალდებულება, უტყუარად დაემტკიცებინა გარანტისთვის პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი, ვინაიდან ასეთ მოთხოვნას კონკრეტული საბანკო გარანტია არ მოიცავდა.

26. პრინციპალის სამართლებრივი დაცვის მექანიზმთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალს რეგრესის წესით მოუწევს თანხის ანაზღაურება გარანტისათვის და ამავდროულად ექნება პრეტენზია ძირითადი ვალდებულების შესრულებასთან, შესრულების ხარისხთან, ვადასთან და ა.შ, მას შეეძლება ედავოს ბენეფიციარს და აღნიშნული დავის ფარგლებში, ხელშეკრულების მხარეთა მონაწილეობით შეიძლება დადგინდეს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ესა თუ ის გარემოება.

27. შესაბამისად, ვინაიდან, მოსარჩელემ 9 103,15 ლარისა და 5 844,50 ლარის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა გარანტის წარუდგინა საბანკო გარანტიის პირობების შესაბამისად, გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობ-

და მოპასუხის მიერ 9 103,15 ლარისა და 5 844,50 ლარის ოდენობით საბანკო გარანტიის გაცემაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი და ამ ნაწილში სახეზე იყო სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

28. დანარჩენ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მიუხედავად საბანკო გარანტიის კანონით გათვალისწინებული დამოუკიდებელი (არააქცესორული) ბუნებისა და მისი დამოუკიდებლობისა ძირითადი ვალდებულებისაგან, გარანტიის თანხის მოთხოვნის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის, აუცილებელია, ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს. მითითებული წესი განმტკიცებულია სსკ-ის 887-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მიხედვით, გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ან/და ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ (იხ. სუსგ საქმე №ას-1353-1277-2012, 01 ივლისი, 2013 წელი; №ას-781-996-08, 17 მარტი, 2009 წელი). მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2014 წლის 31 იანვარს მოსარჩელემ მოპასუხეს წერილობითი ფორმით წარუდგინა მოთხოვნა კომპანიის მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო საბანკო გარანტიით განსაზღვრული საგარანტიო თანხების ნაწილის – 11 167,12 ლარის ნაცვლად – 9 103,15 ლარისა და 7 011,03 ლარის ნაცვლად 5 844,50 ლარის ანაზღაურების თაობაზე. 2014 წლის 25 ივლისს მოსარჩელემ კვლავ მიმართა წერილობით მოპასუხეს და ამჯერად №1.1.1/30/87-1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების გარანტიის სახით, 7 011,03 ლარის, ხოლო №1.1.1/30/87-3 ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 11 167,12 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

29. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე, 887-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ზემოაღნიშნული თანხების ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წარადგინა საბანკო გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო პრეტენზიის ფარგლებში აპელანტის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ გარემოების დადასტურება, რომ მის მიერ მოპასუხის მიმართ 2014 წლის 25 ივლისს გაგზავნილი წერილი წარმოადგენდა 2014 წლის 31 იანვარს გაგზავნილი მოთხოვნის დაზუსტებას და არა ახალ მოთხოვნას, თუმცა აპელანტმა აღნიშნულ გარემოებასთან მიმართებით სასამართლოს კვალიფიციური დასაბუთება ვერ წარუდგინა, რაც აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სა-

ჩივრისა და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

30. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი ნაწილობრივ გაუქმება მოითხოვა.

31. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძველებზე:

31.1. სასამართლომ გამოიყენა კანონი (სსკ-ის 885-ე, 887-ე მუხლები), რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი;

31.2. 31.01.2014 წელს ბენეფიციარმა №1.1.1/30/87-3 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა წარუდგინა გარანტს, თუმცა მოთხოვნა არ შეიცავდა პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის მითითებას და შეუსრულებლობით დამდგარი ზიანის მოცულობას. ბენეფიციარმა მხოლოდ სარჩელის წარდგენის ეტაპზე მიუთითა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენდა მიმწოდებლის მიერ გლდანულას გზაზე სამუშაოთა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა. კერძოდ, 16.04.2013წ. №07-18/3001 წერილით კომპანიას კონკრეტულ ობიექტებზე სამუშაოების დასრულებისათვის, მათ შორის გლდანულას გზაზე, განესაზღვრა ვადა 2013 წლის 10 მაისამდე, თუმცა მიმწოდებლის მიერ დადგენილ ვადაში არ მოხდა სამუშაოთა დასრულება;

31.3. ხელშეკრულების 12.3 პუნქტის შესაბამისად, „კონკრეტულ ობიექტზე გადაცემული გეგმა-გრაფიკის 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 3%-ის ოდენობით“. საქმეში წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტიდან ჩანს, რომ გლდანულას გზის შეკეთება განხორციელდა შესრულების ვადის დასრულებიდან 30 დღეში და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 11 ივნისს, ვინაიდან 09 ივნისი დაემთხვა კვირა დღეს;

31.4. კასატორმა მოიხმო ხელშეკრულების 7.1, 7.2, 12.4 პუნქტები და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულებაში ცალსახადაა განსაზღვრული, რომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნა. უდავო გარემოებაა, რომ ექსპერტიზის ჩატარება გარკვეულ დროს მოითხოვს და წარმოუდგენელია მიმწოდებლის მიმართვისთანავე მოხდეს დასკვნის გაკეთება, მით უფრო ხარისხობრივი, რომელიც დამატებით კვლევას მოითხოვს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიღება-ჩა-

ბარების აქტში არ არსებობდა სამუშაოთა დაგვიანებით შესრულების შესახებ აღნიშვნა და შემსყიდველის მიერ სრულად მოხდა სამუშაოთა ანაზღაურება (იხ. შესყიდვების სააგენტოს ელ.გვერდიდან გადახდების ამონაწერი, რომელიც შუამდგომლობით წარადგინა მოპასუხემ), პირგასამტეხლოს დაქვითვის გარეშე. მოპასუხემ ასევე წარადგინა სასაქონლო ზედნადებები, რომლებითაც დასტურდებოდა გლდანულას გზაზე 03-06 ივნისამდე სამუშაოთა შესრულების ფაქტი. შესაბამისად, ვადაგადაცილებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო მიღება-ჩაბარების გაფორმების ვადა კავშირში არაა სამუშაოთა ფაქტობრივად შესრულების ვადასთან;

31.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, კანონმდებელი გარანტს ანაზღაურებაზე უარის თქმის ორ ძირითად საფუძველს უწესებს: ა) როცა მოთხოვნა არ შეესაბამება საგარანტიო პირობებს და ბ) როცა მოთხოვნა წარდგენილია საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ. განსახილველ შემთხვევაში, უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ აპელანტის მიერ საგარანტიო ვადაში 31.01.2014 წელს მოხდა შემდეგი მოთხოვნის წარდგენა: FRI/13-019638 გარანტიიდან გამომდინარე 9 103,1505 ლარის, ხოლო FRI/13-019637 გარანტიიდან გამომდინარე 5 844,5058 ლარის ჩარიცხვის თაობაზე, თუმცა აღნიშნული მოთხოვნები არ იყო წარდგენილი გარანტიის პირობების შესაბამისად. კერძოდ, მასში არ იყო მითითებული პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე და არ ახლდა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები;

31.6. სააპელაციო სასამართლო არასწორად განმარტავს, რომ „საბანკო გარანტია არააქცესორული ვალდებულებაა. იგი ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას იმ შემთხვევაშიც უზრუნველყოფს, როცა საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნა არ წარმოშობილა, მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულდა, შეწყდა ან ბათილია“;

31.7. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტია დამოუკიდებელი ბუნებისაა და ძირითად ვალდებულებაზე არ არის დამოკიდებული, თუმცა მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მისი მიზნობრივი დანიშნულებით და არა ბენეფიციარის შეხედულებისამებრ. საბანკო გარანტია გაიცემა პრინციპალის სახელშეკრულებო ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში დამდგარი ზიანის საკომპენსაციოდ. საგარანტიო ანაზღაურების განხორციელება გარანტის მიერ ხდება საბანკო გარანტიის პირობების და არა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული სახელშეკრულებო პირობების შესა-

ბამისად. დამოუკიდებლობის პრინციპი არის ის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც განასხვავებს საგარანტიო ურთიერთობას სხვაგვარი ურთიერთობისაგან. გარანტი კისრულობს ვალდებულებას, მოახდინოს თანხის გადახდა მის მიერ გაცემული გარანტიის პირობების საფუძველზე;

31.8. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობისა და გარანტიის პირობების უპირატესობის პრინციპი აღიარებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესებითა და „დამოუკიდებელი აკრედიტივისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ“ გაეროს კონვენციის შესაბამისად. ამ დოკუმენტებით აღიარებულია საბანკო გარანტიათა მიმართ მოქმედი რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრინციპი: 1) კეთილსინდისიერება, 2) დამოუკიდებლობა, 3) არააქცესორულობა, 4) მოთხოვნის მართლზომიერება, 5) გარანტიის პირობებთან ზუსტი შესაბამისობა;

31.9. კეთილსინდისიერების პრინციპი: გაეროს კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, „კონვენციითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას ბენეფიციარი ვალდებულია უფლება-მოვალეობები განახორციელოს კეთილსინდისიერად და გონივრული წინდახედულებით“. გარანტი არ შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევისა და უხეში, გაუფრთხილებელი ქმედების ჩადენის შემთხვევაში. ამავე კონვენციის მე-15 მუხლის მიხედვით, „ბენეფიციარი, გადახდის მოთხოვნის განხორციელებისას ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მოთხოვნის განხორციელებისას არ არის დარღვეული კეთილსინდისიერების პრინციპი და არ არსებობს ამ კონვენციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე პირობა“, „ნებისმიერი გადახდა, რომელიც არ განხორციელდა მე-15 მუხლის პირობების დაცვით არ უნდა იწვევდეს პრინციპალის ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას“ (17.2). აღნიშნული ნორმები საგარანტიო ურთიერთობების სუბიექტებს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულებას აკისრებს. ამ ვალდებულებით განსაკუთრებით შეზოქილია ბენეფიციარი, რომელმაც სწორად უნდა განახორციელოს მოთხოვნა, ისე, რომ მის მიერ განხორციელებული მოთხოვნის შედეგად ზიანი არ მიაღგეს პრინციპალის ინტერესებს;

31.10. კეთილსინდისიერების პრინციპი ბოჭავს როგორც გარანტს, ისე ბენეფიციარს – სწორად მართოს საგარანტიო მოთხოვნის პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია დაკარგონ მოთხოვნის უფლება. უნიფიცირებული წესები №458-ის შესაბამისად, გარანტის მიერ მოთხოვნის შემოწმება უნდა მოხდეს სათანადო გულისხმიერების

პრინციპით. აღნიშნული პრინციპი ასევე დაცულია სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის ჩანაწერში;

31.11. დამოუკიდებლობის პრინციპი უნიფიცირებული წესების მე-5 მუხლშია გათვალისწინებული. კერძოდ, გარანტია თავისი ბუნებით არ არის დამოკიდებული ძირითად გარიგებასა და განცხადებებზე, ხოლო გარანტი არანაირად არ არის შეზღუდული და არ არის შემოსაზღვრული ამგვარი გარიგებებით. იდენტიფიკაციის მიზნით გარანტიაში ძირითადი გარიგების მითითება არ ცვლის გარანტიის დამოუკიდებელ ბუნებას. გარანტის ვალდებულება – გადაიხადოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა, არ არის დამოკიდებული რაიმე ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებსა და პრეტენზიებზე, გარდა გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობისა. თითქმის იგივე ჩანაწერია გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლში;

31.12. გარანტიის დამოუკიდებელ ბუნებასთან დაკავშირებით არაერთხელ გააკეთა განმარტება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. მათ შორის განასხვავა გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულება უზრუნველყოფის ვალდებულების შინაარსიდან და მისგან გამომდინარე სხვაგვარი მოთხოვნისაგან (სუსგ საქმე №ას-562-871-09, 20 ოქტომბერი, 2009 წელი; №3კ-62-01-17, 20 იანვარი, 2001 წელი; №ას-781-996-08, 17 მარტი, 2009 წელი);

31.13. კონვენციის შესაბამისად, „საგარანტიო თანხის გადახდის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს გარანტიის პირობების შესაბამისად“ (7.2). მოთხოვნა შესაბამისი უნდა იყოს გარანტიის პირობებთან და მასში ზუსტად უნდა იქნეს აღწერილი ვალდებულების დარღვევის შესახებ და დაერთოს მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღნიშნული პრინციპი ცნობილია, როგორც „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი და იგი გათვალისწინებულია სსკ-ის 885-ე მუხლით. აღნიშნული პრინციპის დარღვევა, სსკ-ის 887-ე მუხლთან ერთად გარანტიის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია. სსკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის ფორმაზე, კერძოდ, საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. აღნიშნული ნორმა ავსებს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის შესახებ (სუსგ საქმე №ას-781-996-08);

31.14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე №28/3772-14 (შესულია კანონიერ ძალაში) აღნიშნულია, რომ „მართალია კანონი გარანტიისათვის ფულადი თანხის გაცემის დამოუკიდებელ ვალდებულებას აწესებს, თუმცა გარანტი მაინც ვალდებულია ბენეფიციარისთვის თანხის გადახდამდე, გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეამოწმოს თანხის გადახდის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნის საფუძვლები და გარანტიის ვადა“;

31.15. საერთაშორისო სავაჭრო პალატის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა სახელშეკრულებო ბონდების უნიფიცირებული წესები – URCB N758, რომელიც ცალსახად განმარტავს გარანტიას, როგორც ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ და აქცესორულ უფლებას. ამასთან, ბენეფიციარის მოთხოვნის უფლებას უკავშირებს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევას. თითოეულ შემთხვევაში გარანტიის ვალდებულება დამოკიდებულია (აქცესორულია) პრინციპალის ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებაზე და ამგვარი დამოკიდებულება შეუზღუდავია – საავანსო უზრუნველყოფის, ხელშეკრულების შესრულების, სატენდერო და ხარისხის გარანტიებისათვის. URCB საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც დოკუმენტურ ურთიერთობას. კერძოდ, იგი უნდა იქნეს გაცემული წერილობითი ფორმით. ამასთან, მისგან გამომდინარე მოთხოვნა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მასში უნდა იქნეს გათვალისწინებული პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

31.16. URCB საგარანტიო მოთხოვნის წარდგენისას მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს ბენეფიციარისათვის და მოთხოვნის საფუძვლის არსებობას პირდაპირ უკავშირებს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევას. შესაბამისად, მისი აქცესორული ბუნება, რომელიც თავად წესების ძირითად ტექსტშია განმარტებული, გარანტიის მოთხოვნას უკავშირებს ძირითადი ვალდებულების არსებობას. გარანტი ვალდებულია მოახდინოს მოთხოვნის სათანადო და სრული შემოწმება და სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უარი უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომელიც წერილობითი სახით უნდა იქნეს გადაცემული;

31.17. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ არ მოხდა იმ ფაქტობრივი გარემოების შესწავლა, რომ არ არსებობდა ბენეფიციარის მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი, კერძოდ, ადგილი არ ჰქონდა გარანტიის ამოქმედების წინაპირობას. სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა 887-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიიჩნია, რომ გარანტიის მიერ არ უნდა მომხდარიყო ბენეფიციარის მოთხოვნის შესწავლა და უპირობოდ მოეხდინა თანხის გადარიცხვა, რაც

ენინაალმდეგება უნიფიცირებული წესებით დადგენილ მოთხოვნებს და თვით სასამართლო პრაქტიკას;

31.18. სასამართლო პრაქტიკითაც დადასტურებულია, რომ გარანტი ვალდებულია ფორმალურად შეამოწმოს წარდგენილი მოთხოვნა. შესაძლოა გარანტიის პირობა დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებას არ ითვალისწინებდეს, თუმცა აუცილებელია მოხდეს მინიმუმ იმის მითითება, რომ პრინციპალმა დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია;

31.19. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ საბანკო გარანტია რაიმე დამატებით პირობას არ ითვალისწინებდა და მოთხოვნა გარანტის წარედგინა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრებამდე. საბანკო გარანტია, ითვალისწინებდა გარანტის ვალდებულებას, მოეხდინა საგარანტიო თანხის ანაზღაურება პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენა უნდა მომხდარიყო პრინციპალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში. ბენეფიციარის მიერ წარდგენილი მოთხოვნა არ შეიცავდა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის თაობაზე მითითებას, ასევე არ ახლდა ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები;

31.20. განსახილველი დავა, საბანკო გარანტიის ანაზღაურების არასამართლოზომიერი მოთხოვნის კლასიკური მაგალითია, როცა ბენეფიციარი, რომელმაც მიიღო შესრულება 2-დღიანი ვადაგადაცილების მიზეზით (ვადის გადაცილება არ მომხდარა პრინციპალის ბრალით) ცდილობს მთლიანი ხელშეკრულების შესრულების გარანტიის თანხის მიღებას. ფაქტია, რომ ხელშეკრულების არსებითი დარღვევა პრინციპალის მიერ არ მოხდარა. დადასტურებულია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო მოვალის მიერ ვადის გადაცილებისათვის. დადასტურებულია, რომ მოვალის მიერ ვადის გადაცილებას ბენეფიციარისათვის ზიანი არ მიუყენებია. შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის არსის სწორად განმარტების შემთხვევაში, სასამართლოს არ უნდა მიეღო ამგვარი გადწყვეტილება. აღნიშნული დადასტურებულია საქართველოს უზენესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით. „შესრულების საბანკო გარანტია წარმოადგენს არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მაკომპენსირებელ საშუალებას და მისი ჯარიმის სანქციის ფორმით გამოყენება საბანკო გარანტიის მიზანთან წინააღმდეგობაში მოდის“. ამასთან, სასამართლო ამავე გადწყვეტილებაში მიუთითებს შემდეგს: „შესრულების ნაკლი თუ უმნიშვნელოა ძირითად ვალდებულებასთან მიმართებით, ასეთ შემთხვევა-

ში ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება სახეზე არ არის“ (სუსგ საქმე №ას-959-2019; №ას-1115-2019).

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

33. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

34. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოპასუხისათვის, როგორც გარანტიისათვის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის დაკისრების მართლზომიერება.

35. საბანკო გარანტიდან გამომდინარე ფულადი თანხის დაკისრების თაობაზე მოსარჩელის/ბენეფიციარის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი [საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე].

36. კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა მოპასუხის/გარანტის მიერ გაცემული საბანკო გარანტიებიდან გამომდინარე, მოსარჩელის/ბენეფიციარის მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობა, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნები გარანტიის პირობების შესაბამისად არ იყო წარდგენილი. კერძოდ, მასში არ იყო მითითებული პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის თაობაზე, ასევე, არ ახლდა ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

37. გარდა ამისა, კასატორის მტკიცებით, კომპანიის მხრიდან ადგილი არ ჰქონია 25.02.2013წ. №1.1.1/30/87-3 და №1.1.1/30/87-1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას. კომპანიამ აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გზების შეკეთების სამუშაოები დადგენილ ვადებში განახორციელა. ხოლო, საბანკო გარანტიები ითვალისწინებდა გარანტის ვალდებულებას, საგარანტიო თანხის ანაზღაურება მოეხდინა პრინცი-

პალის მირ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენა უნდა მომხდარიყო პრინციპალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში, რასაც ადგილი არ ჰქონია და რაც, მოპასუხის მოსაზრებით, საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველია.

38. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე და 880-ე მუხლების თანახმად, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას.

39. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების მიხედვით, საბანკო გარანტია წარმოადგენს ფულად ვალდებულებას, რომელიც ბენეფიციარს შესაძლებლობას აძლევს, მოვალის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს გარანტს წერილობით, მოითხოვოს გადახდა და მიიღოს მოთხოვნილი თანხა. მას თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არ სჭირდება წინასწარ მიმართვა რომელიმე იურისდიქციის ორგანოსთვის (იხ. სუსგ საქმე №ას-1038-999-2016, 01 თებერვალი, 2017 წელი).

40. სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე (იხ. სუსგ საქმე №ას-562-871-09, 20 ოქტომბერი, 2009 წელი; №ას-781-996-08, 17 მარტი, 2009 წელი). პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას (იხ. სუსგ საქმე №ას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი).

41. საბანკო გარანტიის ზემოაღნიშნული თავისებურება ასახულია სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლში, რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირით-

თად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.

42. საბანკო გარანტიების დამოუკიდებლობის პრინციპი ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო კომისიის მიერ შემუშავებულ „დამოუკიდებელი გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლში.

43. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპი ასევე განმარტებულია დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ (The Uniform Rules for Demand Guarantees) საერთაშორისო სავაჭრო პალატის №458 უნიფიცირებული წესების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტსა და დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ (The Uniform Rules for Demand Guarantees) საერთაშორისო სავაჭრო პალატის №758 უნიფიცირებული წესების მე-5 მუხლის პირველი პუნქტში.

44. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე გარანტის მხრიდან შესასრულებელია იმ მომენტიდან, როდესაც ბენეფიციარი გარანტს წარუდგენს მოთხოვნას ფულადი თანხის გადახდის შესახებ. მხარეები საბანკო გარანტიაში ჩვეულებრივ თვითონ განსაზღვრავენ იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდა. მოთხოვნის წარდგენის ფორმალური წინაპირობების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება „პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის გარანტიის“ დროს ექცევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ბენეფიციარს ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია, რისი კომპენსირებაც სწორედ ამ ფორმალურ პროცედურაზე აქცენტის გადანით ხდება (იხ. სუსგ საქმე №ას-1038-999-2016, 01 თებერვალი, 2017 წელი).

45. სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლით მოწესრიგებულია ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის ფორმა და მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის საკითხი. კერძოდ, საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა.

46. სამოქალაქო კოდექსის 885-ე და 887-ე მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ექვემდებარება მხოლოდ ფორ-

მალური პროცედურის დაცვის მხრივ შემომწმებას და, შესაბამისად, ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარიც სწორედ ფორმალური პროცედურის დარღვევაზე მითითებით არის შესაძლებელი (იხ. სუსგ საქმე №ას-960-925-2016, 27 სექტემბერი, 2017 წელი).

47. რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორიცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტიის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება (სსკ-ის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილი) (იხ. სუსგ საქმე №ას-781-996-08, 17 მარტი, 2009 წელი).

48. ამდენად, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის სახის და ხარისხის კვლევა გარანტიის მხრიდან გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტიით შეთანხმებული მოთხოვნის ან თანდართული დოკუმენტების წარდგენის პირობების დაცვის კვლევის ფარგლებში ანუ ფორმალური სახით (დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენა). სწორედ ამიტომ უნოდებენ კომერციულ პრაქტიკაში საბანკო გარანტიას ე.წ. „დოკუმენტურ ოპერაციას“ (იხ. სუსგ საქმე №ას-782-739-2015, 19 ოქტომბერი, 2015 წელი).

49. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ექვემდებარება მხოლოდ ფორმალური საფუძვლით შემომწმებას და პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა თავისთავად არ იწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები (იხ. სუსგ საქმე №ას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი).

50. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ გაცემული საბანკო გარანტიების თანახმად, გარანტმა იკისრა საგარანტიო თანხის ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის ვალდებულება, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე. კერძოდ, საქმეში არსებულ №FRI/13-019638 და №FRI/13-019637 საბანკო გარანტიებში მითითებულია შემდეგი: „ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე 14 400/12 510 ლარზე და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პი-

რობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველი მოთხოვნისთანავე“. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აღნიშნულ ჩანაწერში იგულისხმება გარანტიის ინფორმაციის მიწოდება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევისა და საგარანტიო თანხის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის თაობაზე და არა ამ გარემოების უტყუარად დადასტურება.

51. ამდენად, საკასაციო სასამართლო №FRI/13-019638 და №FRI/13-019637 საბანკო გარანტიების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა უპირობო და პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი გარანტიები, რომელთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა წარმოშობს გარანტიის მიერ თანხის გადახდის ვალდებულებას ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის საფუძველზე დამატებითი მტკიცების გარეშე.

52. შესაბამისად, წარმოდგენილი საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენას, რაც სამართლის დოქტრინაში ცნობილია „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპით (Principle of Strict Compliance). აღნიშნული პრინციპის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა ზუსტად შესაბამისი უნდა იყოს საბანკო გარანტიის პირობებთან და მასვე უნდა დაერთოს გარანტიაში გათვალისწინებული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

53. „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი გათვალისწინებულია დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ (The Uniform Rules for Demand Guarantees) საერთაშორისო სავაჭრო პალატის №458 უნიფიცირებული წესების მე-9 მუხლით, რომლის თანახმად, „ყველა დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია ან წარდგენილია საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მათ შორის მოთხოვნა, შემოწმებული უნდა იქნეს გარანტის მიერ გონივრული წინდახედულობის გათვალისწინებით, შეესაბამება თუ არა ისინი საბანკო გარანტიის პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები არ შეესაბამება პირობებს, გარანტია უნდა იქნას უარყოფილი“.

54. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 25 თებერვალს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხის მიერ გაიცა №FRI/13-019638 და №FRI/13-019637 საბანკო გარანტიები, რომელთა მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 20 თებერვლის ჩათვლით; დადგენილია ასევე, რომ მოსარჩელემ/ბენეფიციარმა 2014 წლის 31 იანვარს წერილობით მიმართა მოპასუხეს/გარანტს და პრინციპალის მიერ ხელშეკრუ-

ლების პირობების დარღვევის, კერძოდ, ვადაგადაცილების გამო, საგარანტიო თანხების ნაწილის სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხვა მოითხოვა; იგივე მოთხოვნით მოსარჩელემ კვლავ მიმართა მოპასუხეს 2014 წლის 25 ივლისს. ამდენად, საგარანტიო თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნა გარანტს გარანტიების მოქმედების ვადაში წარედგინა.

55. კასატორის მტკიცებით, აღნიშნული მოთხოვნები არ იყო წარდგენილი გარანტიების პირობების შესაბამისად. კერძოდ, მასში არ იყო მითითებული პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და არ ახლდა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება, ვინაიდან საწინააღმდეგოს მეტყველებს საქმეში მოსარჩელის მიერ წარდგენილი ბენეფიციარის 31.01.2014წ. წერილი, სადაც საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ფულადი თანხის მოთხოვნის საფუძველად მითითებულია ის გარემოება, რომ „მიმწოდებლის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულების პირობები (წერილში მითითებულია კონკრეტული ხელშეკრულების ნომრები, მათ შორის ხელშეკრულებები № 1.1.1/30-87-1 და № 1.1.1/30-87-3), კერძოდ, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ მიცემული შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადები გადაცილებული იქნა 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით“. წერილში ასევე მითითებულია ხელშეკრულების 13.3 პუნქტზე, რომლის თანახმად, „კონკრეტულ ობიექტზე გადაცემული გეგმა-გრაფიკის 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 3%-ის ოდენობით“.

56. ამდენად, ზემოაღნიშნული წერილიდან ნათელია, რომ ბენეფიციარმა საბანკო გარანტიის თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნაში მიუთითა თუ რაში გამოიხატებოდა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები საბანკო გარანტიებით მოთხოვნის წარდგენის რაიმე სპეციალურ წინაპირობებზე არ შეთანხმებულან. ხოლო, რაც შეეხება ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენას, ბენეფიციარს არ ეკისრება საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების დარღვევის მტკიცების ტვირთი. გარანტი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის კვლევას არ ახდენს და კანონი საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შე-

უსრულებლობას გარანტიის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველად არ განიხილავს. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, გარანტი ბენეფიციარის მოთხოვნის შემოწმებას მხოლოდ ფორმალური წინაპირობების დაცვის თვალსაზრისით ახორციელებს.

57. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ/ბენეფიციარმა საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნა მოპასუხეს/გარანტს წარუდგინა საბანკო გარანტიებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, ბენეფიციარმა გარანტს მოთხოვნა წარუდგინა წერილობითი ფორმით, გარანტიის მოქმედების ვადაში და მასში კონკრეტულად მიუთითა თუ რაში გამოიხატებოდა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რაც ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილების საკმარისი საფუძველია და გამორიცხავს გარანტის უარს გადაუხადოს პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულადი თანხა.

58. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

59. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

60. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული ნესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

61. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. სს „ა.დ-ვის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge